რატომ არ იქმნება პროფესიული არმია A2

"ახალი საქართველოსთვის" - ძველი სახეებითა და ძველი იდეებით A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 7 მაისი, 2003 წელი. №123 (335)

ფასი 50 თეთრი

# კოლინ პაუელი თბილისში არ ჩამოვა

### სამაგიეროდ, თბილისს ესტუმრება ჯორჯ რობერტსონი

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

კოლინ პაუელის ვიზიტი საქართველოში აღარ შედგება. ორი დღის წინ ამერიკის საგარეო უწყებამ საბოლოოდ დაადასტურა ინფორმაცია, რომ, დატვირთული გრაფიკის გამო, სახელმწიფო მდივანი თბილისში ვეღარ ჩავა.

საქართველოში პაუელის ვიზიტი, ბოლო რამდენიმე კვირაა, იგეგმებოდა. სახელმწიფო მდივანი თბილისში მოსკოვიდან უნდა ჩასულიყო და იქ რამდენიმე საათი გაეტარებინა. პაუელი მადლობას გადაუხდიდა პრეზიდენტ შევარდნაძეს ერაყის ომში მხარდაჭერისათვის (თუმცა, ეს მხარდაჭერა წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა) და, გარდა ამისა, მოსკოვში გამართული შეხვედრების შემდეგ, სადაც რუსეთის ოფიციალურ პირებთან საუბრის ერთ-ერთი თემა აფხაზეთიც უნდა იყოს, მის ვიზიტს საქართველოში პოლიტიკური დატვირთვა ექნებოდა.

სამაგიეროდ, თბილისში, სავარაუდოდ 14 მაისს, ჩამოდის ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი. გუშინ, ამერიკის ატლანტიკური საბჭოს მიერ გამართულ სადილზე, სადაც რობერტსონს და გენერალ ჯოზეფ რალსტონს სპეციალური ჯილდო გადასცეს დამსახურებული მოღვაწეობისთვის, საშუალება მქონდა, პირადად გავსაუბრებოდი ნატო-ს გენარალურ მდივანს. ლორდ რობერტსონმა განაცხადა, რომ თბილისს ერთ კვირაში ესტუმრება და იქ ნახევარ დღეს გაატარებს.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ერაყის ომი და ზოგადად ახლო აღმოსავლეთში დაწყებული პროცესები დააჩქარებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესს (ეს მოსაზრება საკმაოდ გავრცელებულია ვაშინგტონში, სამხრეთ კავკასიით და საქართველოთი დაინტერესებულ წრეებში), რობერტსონმა უარყო და განაცხადა, რომ ერაყის ომი არც ხელს შეუწყობს და არც შეაფერხებს საქართველოს ნატო-ში შესვლას.

ივნისის შუა რიცხვებში თბილისში ვიზიტს გეგმავს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტიც. ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში განაცხადეს, რომ ისინი ჯერ-ჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებენ ამ ინფორმაციას, თუმცა, ყოფილ სახელმწიფო მდივანს დიდი სურვილი აქვს, რომ საქართველოს ესტუმროს.

და ბოლოს: დაახლოებით 18-20 მაისისთვის საქართველოში ვიზიტით ჩამოდის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპული და ევრაზიული ბიუროს დირექტორის მოადგილე ლინ პასკო. მისი ვიზიტი სპეციალურად ემთხვევა თბილისში სუუამ-ის წევრი სახელწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რაც ნათელი მინიშნებაა იმაზე, რომ სუუამ-ის ამოქმედების იდეას ისევ ოპტიმისტურად უყურებენ და მხარს უჭერენ ვაშინგტონში.

გარდა სუუამ-ისა, ლინ პასკო თავისი ვიზიტის დროს რამდენიმე ძირითად საკითხს შეეხება. ესენია: საქართველო-ამერიკის ურთიერთობების განვითარება, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრობლობა, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მიმდინარეობა, კონფლიქტების მოგვარება და, ბუნებრივია, ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში. ბოლო დღეებში მომხდარმა რელიგიური უმცირესობების დარბევის ახალმა ფაქტებმა და პოლიციის უმოქმედობამ სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში.



ჯორჯ რობერტსონი და კოლინ პაუელი.

REUTERS

## ცესკო მთლიანად უცხოელებით დაკომპლექტდეს

### თუ ხელისუფლებას ოდნავ მაინც შერჩენია სინდისი, ამ წინადადებას არ დაიწუნებს - ამბობს სააკაშვილი

სოფო ბუკია

*საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით, ოპოზიციამ საერთო აზრს მიაგნო - ოთხი პოლიტიკური ძალის შეთანხმებით, ცესკო მთლიანად ეუთო-სა და ევროსაბჭოს მაღალკვალიფიციური ექსპერტებით უნდა დაკომპლექტდეს.*
*ამ ოპოზიციური პოზიციის გამჟღავნება გუშინ მიხეილ სააკაშვილმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე იკისრა.*
*რამდენად მოეწონება "გადამთიელებით" შედგენილი ცესკო-ს ვარიანტი პრეზიდენტს, რომელიც ცხრა წევრიდან შვიდის დანიშვნას თავად აპირებდა, ძნელი სათქმელია. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს ოპოზიციის აღნიშნული ინიციატივა სასაცილოდაც არ ჰყოფნით.*

ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა ცესკო-ს საკითხთან დაკავშირებით "მრეწველთა" ოფისში გამართულ ორრაუნდიან თავყრილობას, რომელიც სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ბლოკის - "ახალი საქართველოსთვის" - მიღმა დარჩენილი ძალები პრეზიდენტის მიერ მათთვის გამეტებულმა საარჩევნო კომპრომისმა ძალიან გაალიზიანა. არც იმის ილუზია არსებობს, რომ დღევანდელ პარლამენტში არჩევნებთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია.

როგორც სააკაშვილი აცხადებს, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაა.

კონსულტაციებით, რომელშიც "ნაციონალებთან" ერთად "ახლები", "დემოკრატები" და "ლეიბორისტები" მონაწილეობდნენ, გადაწყდა, რომ დემოკრატიული არჩევნების

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### დეპუტატები რჩეულიშვილის სისხლს „ვერ ხედავენ„

დაზარალებული ვახტანგ რჩეულიშვილი გუშინ პარლამენტში არ გამოჩენილა. გუშინ თავად დეპუტატებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს წინა დღეს არც არაფერი მომხდარა და არ ყოფილა ის შელაპარაკება, რასაც რჩეულიშვილის თავის გატეხა და ზაზა შერაზადიშვილის ხელის გაჭრა მოჰყვა...

A3

## ეკონომიკა

### მოსახლეობის უიმედო აღწერა

საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის საერთო რიცხვმა, ქვეყნის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ოთხი მილიონ 371 ათას 400 კაცი შეადგინა და წინა აღწერის შედეგებთან შედარებით თითქმის ერთმილიონიანი კლება აღინიშნა.

A4

## უცხოეთი

### ბუშმა ერაყის სამოქალაქო ხელმძღვანელი დანიშნა

აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირთა პროგნოზის შესაბამისად, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყის სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი პოლ ბრემერი დანიშნა.

A5

## საზოგადოება

### დასაქმების სახელმწიფო პროგრამა ძალაში შედის

მაისის ბოლოს საქართველოში მცხოვრები რეგისტრირებული უმუშევრები დასაქმების კიდევ ერთ შანსს მიიღებენ. როგორც ხელისუფალნი გვპირდებიან, წელს პროგრამა, სულ ცოტა, 500 უმუშევარს დაასაქმებს.

A6

## სამართალი

### პროკურატურა პატიმრებს საქმეების გადასინჯვას ჰპირდება

გუშინ, გვიან ღამით, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს. ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების კომენტარი ვთხოვეთ იმ პიროვნებებს, ვის შეყვანასაც ითხოვდნენ პატიმრები მათი საქმეების შემსწავლელ კომისიაში.

A7

## თვალსაზრისი

### შვედეთის ქართული სათვისტომო სოლიდარობას უცხადებს "კმარას"

"კმარა" თქვენი შვილები არიან, რომელთაც მობეზრდათ თქვენი უმოქმედობა! - აცხადებს შვედეთის ქართული სათვისტომო.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 9 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 11 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.4293 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4835 |
| რუბლი | 0.0696 |

## საბაჟო დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

მაია ურუშაძე

*გუშინ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე შეიცვალა. ქვეყნის მთავარი მებაჟის თანამდებობაზე, ინგლისური ენის სპეციალისტი ალეკო ასლანიკაშვილი, ორგანიზაციული სისტემების მართვის ავტომატიზაციის სპეციალისტმა, დავით თარხან-მოურავმა ჩაანაცვლა. საბაჟოს ახალი ხელმძღვანელი აქამდე საქართველოს ინფორმატიზაციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.*

ასლანიკაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას გუშინ ფინანსთა სამინისტრო შუადღისთვის დანიშნულ კოლეგიაზე გეგმავდა, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც უნდა დასწრებოდა. მაგრამ კოლეგიას ჯორბენაძე არ დაესწრო, ასლანიკაშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გახმაურება კი საღამოსთვის გადაიდო და ამის თაობაზე ღიად მხოლოდ საღამოს 7 საათზე, საბაჟო დეპარტამენტში გამართულ თათბირზე ითქვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პარიზი აცხადებს, რომ „ალ ქაიდას„ ბაზები საქართველოში გადმოინაცვლებს

### ავღანელთა ტერორისტული დაჯგუფებები, სავარაუდოდ, აფხაზეთში გამაგრდებიან

ინგა ალავიძე

*შესაძლოა, ავღანეთში არსებულმა "ალ ქაიდას" ბაზებმა ჩეჩნეთისა და საქართველოს მიმართულებით გადაინაცვლონ. ინფორმაცია ამის შესახებ გააკეთა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ, პარიზში გამართულ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შეხვედრაზე.*

პარიზში გამართული შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შეხვედრა უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომების პირობებში ტარდება. ტერიტორია, სადაც მინისტრების კონფერენცია მიმდინარეობს, გამაგრებულია პოლიციისა და უშიშროების ქვედანაყოფებით.

**ტერორიზმის საფრთხე კვლავ მაღალია და ამიტომაც ჩვენ ყველანი**

გაგრძელება A7 გვერდზე

## სახელისუფლებო ბლოკი არ აპირებს სააკაშვილის წინადადების გაზიარებას

თამარ ხორბალაძე

უკვე სამი კვირაა, საქართველოს პრეზიდენტი პრესას არ შეხვედრია.

უკვე სამი კვირაა, სხვადასხვა "ობიექტური მიზეზებით" საქართველოს პირველი პირის ბრიფინგი არ იმართება.

გუშინაც, ჰეიდარ ალიევის დაბადების დღის აღსანიშნავად აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების შემსწავლელ ცენტრში სტუმრად მყოფი პრეზიდენტი ტრიბუნასთან ორი ქვეყნის მეგობრობაზე საუბრით შემოიფარგლა. დამატებითი კომენტარები კი (რისთვისაც იყო მისული ჟურნალისტების უმრავლესობა) თავიდან აიცილა.

ცხადია, სიტუაცია ყოველ წუთს იცვლება და ედუარდ შევარდნაძესაც აშკარად არ ძალუძს, ჯერჯერობით მაინც, ყველა კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა.

საქართველოს პრეზიდენტი ამ ბოლო დღეების მანძილზე საკმაოდ სერიოზულ ზეწოლას განიცდის: ურეიტინგო სახელისუფლებო პარტიის გამარჯვების მთავარი წინაპირობა არჩევნებში სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებაა, ამ დროს კი საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ითხოვს; ოპოზიცია არ თანხმდება ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ხელით გაგზავნილ ე.წ. კომპრომისზე;

გაგრძელება A3 გვერდზე

## „რეალი„ ფრეს გადაურჩა

**რეალი 2:1 იუვენტუსი**

**რეალი:** *კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, გუტი, ფიგუ, ზიდანი, მორიენტესი (სოლარი 80`), რონალდო (პორტილიო 50`).*

**იუვენტუსი:** *ბუფონი, ტიურამი, ფერარა, იულიანო (პესოტო 46`), ბირინდელი, კონტე, ძამბროტა, ტუდორი ( კამორანეზი 80`), ნედვედი (დი ვაიო 82`), დელ პიერო, ტრეზეგე.*

**გოლები:** *1:0 რონალდო (23`), 1:1 ტრეზეგე (45`), 21 რობერტო კარლოსი (73`).*

**გაფრთხილება:** *ბირინდელი, იულიანო, ძამბროტა, კონტე, ფერარა.*

**მსაჯი:** *ტერიე ჰაუგე (ნორვეგია).*

გაგრძელება B4 გვერდზე



გოლი, რომელმაც შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

REUTERS

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 საზოგადოება A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# „ჩვენს ქვეყანას მეფე გადაარჩენს"



*თავად-აზნაურობა მონარქისტულ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.*

ბელა მახარაძე

*საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობით ამჯერად თავად-აზნაურობა დაინტერესდა. მათ საზოგადოებას საქართველოს გადარჩენის სრულიად განსხვავებული და ორიგინალური ვარიანტი შესთავაზეს - ისინი ფიქრობენ, რომ საქართველოს ახლა მხოლოდ მეფე თუ იხსნის. ამ მიზნის განსახორციელებლად მათ საკუთარი გეგმა აქვთ და წარმატებაშიც დარწმუნებულნი არიან.*

გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში "საქართველოს მონარქისტული მოძრაობა - სამეფო გვირგვინის" დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა. ყრილობის გახსნის პატივი ია ბაგრატიონ-მუხრანელის თავად-აზნაურთა სკოლის აღსაზრდელებს ხვდათ წილად, რომლებმაც ლექსებითა და სიმღერებით ქრონოლოგიურად გაიხსენეს საქართველოს მეფეები.

საზოგადოების წინამძღოლმა კოტე ჩოლოყაშვილმა დამსწრეებს მიულოცა გიორგობა და მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ისტორია. მას დღეს საქართველოში არსებული კუთხურობის პრობლემა აღელვებს და აცხადებს, რომ ამისგან ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მეფე თუ იხსნის.

ყრილობაზე მოწვეული იყო თბილისის ნოტარიუსი, რათა ყველაფერი კანონის ფარგლებში დარეგისტრირებულიყო.

თავად-აზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარე ია ბაგრატიონი ამ დღეს ისტორიულს უწოდებს და მტრის გასაგონად ამბობს: "**ვარსებობდით, ვარსებობთ და ვიარსებებთ! ჩვენ მზად ვართ, ავაშენოთ მონარქისტული საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე**". საზოგადოების წევრთათვის არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ არის მნიშვნელოვანი, მათი მთავარი მიზანი მონარქისტული მთავრობის შექმნაა. "**ნუთუ, ყოველ ოთხ წელიწადში შეიძლება დედისა და მამის არჩევა?!**" კითხულობს გაკვირვებული ბაგრატიონი.

მონარქისტული მოძრაობის წევრებს შემუშავებული აქვთ საკუთარი წესდება, რომელიც შვიდი თავისაგან შედგება. მათი მთავარი მიზნებია: დამკვიდრდეს მონარქისტული იდეოლოგია, რეფერენდუმის საშუალებით მოხდეს საქართველოში მონარქისტული წყობის აღდგენა და ეროვნული რეკვიზიტების აღდგენა პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში.

მონარქისტებმა წარმოადგინეს ფინანსური შემოსავლები. მოძრაობის ქონებას ქმნის შემოწირულობები, საწევრობი და, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოდან გამოყოფილი თანხები.

საზოგადოების წევრებს გამარჯვებისა და წარმატების დიდი იმედი აქვთ. მათ სჯერათ, რომ საქართველოში აღდგება მონარქისტული წყობა და საქართველოს სათავეში ისევ ბაგრატიონები მოგვევლინებიან.

# მოკლულის თანასოფლელებმა გზა ხელმეორედ გადაკეტეს

ვასილ გულეური
გორიდან

5 მაისს გორი-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე დაახლოებით სამი საათის მანძილზე ავტომანქანების მოძრაობა შეჩერდა. ამის მიზეზი გორის რაიონის სოფელ არცევის მოსახლეობის საპროტესტო აქცია იყო.

წელს, 30 მარტს სოფელ არცევში შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ საბაშვილების ოჯახს და ფული გაიტაცეს, წინააღმდეგობის გაწევისას კი მოკლეს მამ-შვილი - გურამ და ენგურ საბაშვილები.

გარდაცვლილის ახლობლებმა და თანასოფლელებმა პირველი გამაფრთხილებელი აქცია მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ მოაწყეს, გადაკეტეს გორი-თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალი და მკვლელების დაკავებას მოითხოვდნენ. აქცია მხოლოდ მაშინ დაიშალა, როცა ადგილობრივი სამართალდამცავები მოსახლეობას მკვლელების დაკავებას უახლოეს პერიოდში დაჰპირდნენ.

იმის გამო, რომ დაკავებულთა ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია, არცევის მოსახლეობამ ხელმეორეედ მიმართა პროტესტის ამ ფორმას. ისინი ადგილობრივი სამართალდამცავების მიმართ უნდობლობას გამოხატავდნენ და შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ჩამოსვლას ითხოვდნენ. თუმცა, საბოლოოდ ენდვნენ აგორის შს სამმართველოს უფროსის რევაზ კოტიაშვილის ნათქვამს, რომელმაც განაცხადა, რომ ეჭვმიტანილები დაკავებულები არიან და მოკლულთა ახლობლებს მათ ანახვებს.

## მოკლედ

**თბილისი.** მიმდინარე სასესიო კვირას საქართველოს პარლამენტი განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს - დილის 11 საათიდან 22 საათამდე. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, განსაკუთრებული სამუშაო რეჟიმი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღების სურვილითაა განპირობებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის ბატალიონის 15-კაციანი ჯგუფი ხვალ გერმანიის ქალაქ ბაუმ ჰოლდერში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სომეხთა დიასპორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პარლამენტარი ვან ბაიბურთი ზოგიერთი პოლიტიკოსის სომხური წარმომავლობის შესახებ ლაპარაკს ქვეყნის სირცხვილად მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებს ოპტიმისტურად აღიქვამს. თედო ჯაფარიძის თქმით, ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს მას სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას ბოლოდროინდელი განცხადება აძლევს, სადაც მან მზადყოფნა გამოთქვა, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით საქართველოს მხარესთან ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებები განაახლოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „ტრადიციონალისტის" წევრის ნატო ჩხეიძის თქმით, გაუგებარია, მისი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა რატომ მოხვდა პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში მე-12 საკითხად.

როგორც ცნობილია, პარლამენტარის ეს ინიციატივა 8 მარტის აღნიშვნის გაუქმებას და თამარ მეფის ხსენების დღის - 14 მაისის დღესასწაულად გამოცხადებას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით საქართველოში ჩამოვიდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ექსპერტთა სამკაციანი ჯგუფი, რომელსაც ნატოს თავდაცვისა და მართვის დეპარტამენტის შეიარაღებული ძალების დაგეგმარების განყოფილების უფროსი ფრენკ ბოლანდი ხელმძღვანელობს. ექსპერტები საქართველოს მიერ აღიარებული ნატოსთან პარტნიორობის 29-პუნქტიანი პროგრამის შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად ჩამოვიდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსმა სპეციალისტებმა აფხაზეთში მდინარე ფსოუზე გამავალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა დაიწყეს.

მდინარე ფსოუზე საავტომობილო ხიდი ადრეც არსებობდა, მაგრამ ბოლო წლებში იმის გამო, რომ იგი ავარიული იყო, აღარ ფუნქციონირებდა. მისი კაპიტალური რემონტით ამჟამად რუსი სპეციალისტები არიან დაკავებული. **მედია-ნიუსი**

# რატომ არ იქმნება პროფესიული არმია

ვერიკო თევზაძე

*"ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებაზე არავინ ფიქრობს, ყელში ამოვიდა ფულის კეთებაზე საუბარი. ჩვენი მოთხოვნაა, დავიწყოთ პროფესიული არმიის მშენებლობა. შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა უნდა წარმოადგინონ გეგმა, როგორ შეიძლება საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიულ არმიად გარდაიქმნას; რა პერიოდი და თანხებია საჭირო საამისოდ; ვინ იქნება პასუხისმგებელი ყოველივე ამაზე.... თუ იმ გზით ვივლით, რომელსაც დღეს ვადგავართ, თუ ხელისუფლება არმიაში რეფორმებს არ გაატარებს, საქართველო ნატოში შევა მაშინ, როცა ეს, გარკვეული გეოპოლიტიკური მოსაზრების გამო, ნატო-ს მოუნდება: ადგება და შეგვიტანს... კანცელარიის ინიციატივა იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ პროფესიული არმიის შექმნა არ გვინდა," - სამხედრო საკითხებზე მომუშავე ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" მკაცრად აკრიტიკებს საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკის და მართვის სამსახურის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს "სამხედრო ვალდებულების შესახებ" კანონში ცვლილებების თაობაზე, რომელიც სამხედრო ბეგარის 600 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.*

ასოციაციის გენერალური დირექტორის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, სამხედრო ბეგარის გაზრდა ერთადერთ მიზანს – "ფულის კეთებას" ემსახურება: **"ვისაც 600 ლარი არ ექნება, იმას ნაკლებს გადაახდევინებენ და ჯიბეში ჩაიდებენ. ყველასათვის ცნობილია, რა ფული ტრიალებდა კომისარიატებში. გარკვეული "რეფორმების" შემდეგ კომისრებმა "პაგონები" მოიხსნეს და სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვეს. დღეს ისინი რაიონულ გამგეობებში სამხედრო განყოფილებებს ხელმძღვანელობენ და კვლავ ფულს აკეთებენ."**

სესიაშვილი საზოგადოებას შეახსენებს, რომ თვით 2002 წლის ივნისში განხორციელებული ცვლილებებიც კი, როცა 200-ლარიანი სამხედრო ბეგარა შემოიღეს, სრულიად უშედეგო გამოდგა: **"საშემოდგომო გაწვევა ჩავარდა. ნაცვლად 16-18 მილიონისა, თავდაცვამ 256 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილის 1,6 პროცენტი ამოიღო. მობილიზებული თანხები არ მოხმარდა არმიის რეფორმას. თავდაცვის სამინისტროს რამდენჯერმე მივმართე შეკითხვით, წარმოედგინათ ანგარიში, რაში დახარჯეს ბეგარის თანხა, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე,"** - ასოციაციის - "სამართალი და თავისუფლება" - დირექტორი პასუხისმგებელი პირების დასჯას მოითხოვს.



*სოსო ბარნაბიშვილი*

კანონპროექტის ავტორები და თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი ფიქრობენ, რომ ეს ცვლილება ჯარში წამსვლელთა რიცხვს გაზრდის. სესიაშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება: **"უმჯობესია იმაზე დავფიქრდეთ, თუ რატომ არ სურთ ახალგაზრდებს ჯარში წასვლა. წელიწადში 20-25 კაცი რომ იღუპება, არმიაში "დედოვშჩინა" რომ არის დამკვიდრებული, იმიტომაც გამორბიან ჯარისკაცები. საერთოდ, ბეგარის შემოღება დისკრიმინაციას ნიშნავს – იგი ჯარს ღარიბთა სამსახურად აქცევს... სამხედრო ნაწილის მეთაურები ხშირად აღნიშნავენ, რომ ჯარისკაცებმა ნორმალურად წერა-კითხვა არ იციან, საათს ვერ ცნობენ..."**

პარლამენტის სამხედრო ექსპერტი სოსო ბარნაბიშვილი 600-ლარიანი ბეგარის დაწესების წინააღმდეგ გამოდის. ბარნაბიშვილს უჭირს, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი ბათიაშვილს არაკომპეტენტური უწოდოს და საკითხს შორიდან უვლის: **"ბათიაშვილისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა ხდება არმიაში. პოლიტიკოსს გაუჭირდება, დაინახოს იქ არსებული მგომარეობა..."** სამაგიეროდ, ირონიული ბარნაბიშვილი "ყოფილ კომისრებს" თამამად ამხელს: **"ევოლუცია რომ მოხდა და წყალი დაშრა, თევზებს ფეხები გამოუვიდათ და ხვლიკებად იქცნენ. აქაც ასეა, ამ ადამიანებმა კომისარიატებიდან გამგეობაში გადაინაცვლეს და იქ აგრძელებენ კორუფციულ საქმიანობას. ბათიაშვილს კი ატყუებენ, თითქოსდა პატრიოტები არიან..."**

სოსო ბარნაბიშვილმა აღრიცხვიანობის საკითხზეც გაამახვილა ყურადღება: **"წელიწადში 300 ათასი წვევამდელია, თავდაცვის სამინისტრო კი მხოლოდ 170 ათასს წარმოადგენს. დანარჩენი აღურიცხავი კაცი კორუფციის წყარო ხდება."** ჯარში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებაზე საუბრისას სამხედრო ექსპერტმა განაცხადა: **"აქამდე არმიაში გამოსვლები რომ ხდებოდა, მასში არაპროფესიონალი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ და ყველაფერი უმტკივნეულოდ მთავრდებოდა. ჩვენს ჯარში უკვე ამერიკული პროგრამის მიხედვით გაწვრთნილი ჯარისკაცები ირიცხებიან. ამათი აჯანყება საქართველოსთვის სახიფათოდ დამთავრდება."**

ქართულ ჯარში არსებულ სავალალო ვითარებაზე ირაკლი სესიაშვილიც წუხს. მისი აზრით, თუ ხელისუფლებამ უახლოეს მომავალში არმიის განვითარების პროგრამა არ შეიმუშავა და საქმიანი ნაბიჯები არ გადადგა, ამერიკელთა დახმარება "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება.

# „კმარას" შარაძისეული ინტერპრეტაცია

მერაბ მეტრეველი

გურამ შარაძე საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს. მხოლოდ აპირებს, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, შარაძეს დანაპირები შეესრულებინოს.

ბატონი გურამი ამ მდგომარეობამდე უზენაეს სასამართლოს მიუყვანია. თუმცა, უზენაესი ამ საქმის ბოლო რგოლია. ყველაფერი კი იმ ავადსახსენებელ დღეს დაიწყო, როცა თავისუფლების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ლევან რამიშვილი "ღამის კურიერში" გამოვიდა და შარაძე სუკ-ის აგენტობაში დაადანაშაულა. საქართველოში ოპონენტები ისე ბითუმად ადანაშაულებენ ერთმანეთს აგენტობაში, რომ ამ კომპრომატმა უკვე ფასიც კი დაკარგა. თუმცა, შარაძისთვის ეს მაინც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი აღმოჩნდა და მანაც სამართლის ძებნაში "მთა და ბარი შეაჯერა". ჯერ პარლამენტის დატოვება დააპირა, თან პარლამენტის საგამოძიებო კომისიას მიმართა (რომელსაც უშიშროების ყოფილი გენერალი მიხეილ ოსაძე ხელმძღვანელობს) და მისი აგენტობის დადგენა მოითხოვა. მოგვიანებით კი, პარლამენტის დატოვება გადაიფიქრა და განაცხადა, სამუდამოდ კი არა, დროებით ვტოვებ, მანამ, სანამ საგამოძიებო კომისია მოკვლევას დაასრულებსო.

მოკვლევა დასრულდა. შარაძე ამის შემდეგ პარლამენტს და სასამართლო დარბაზებს ერთდროულად დაუბრუნდა. სასამართლოში მან რამიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მისი ცილისწამებისთვის დასჯა მოითხოვა. რაიონულში ეს საქმე შარაძემ წააგო, რასაც მოსამართლე ტაბატაძის კარიერა შეეწირა. თურმე, თემურ ტაბატაძეს განაჩენი ისე გამოუტანია, რომ სხდომაც არ ჩაუტარებია. შარაძემ მის წინააღმდეგ იუსტიციის საბჭოში იჩივლა და მოსამართლე ტაბატაძეს მანტია გახადეს. ეს ამბავი გუშინ შარაძემ გამარჯვებულის იერით გვამცნო: **"ექსკლუზიური უფლებით ვაცხადებ: ყალბის მქმნელი ტაბატაძე გაძევებულია სასამართლოდან."** შემდეგ კი დანანებით დაამატა: **"თუმცა, რად გინდა? სარჩელი ახლა საოლქო სასამართლოში შევიტანე და იქ, ერთი ტაბატაძის მაგივრად, სამი ტაბატაძე დამხვდა."** ამ "ტაბატაძეებმაც" რამიშვილი გაამართლეს. თანაც, გადაწყვეტილებაში ჩაწერეს, რომ მოსარჩელეს უზენაესში გასაჩივრების უფლება ჰქონდა. არადა, როცა სისხლის სამართლის საქმე კერძო სარჩელის საფუძველზე იხილება, ის საოლქოზე ზევით აღარ მიდის. ამ ჩანაწერით, საოლქოს მოსამართლეებმა, ფაქტობრივად, კანონი დაარღვიეს. უზენაესი სასამართლო ჯერჯერობით სარჩელის განხილვისგან თავს იკავებს. ახლა შარაძის რისხვა საოლქოს და უზენაესს ერთდროულად ატყდება თავს. შარაძე საოლქოს მოსამართლეებსაც "გახდას" ჰპირდება: **"თუ უზენაესმა ჩემი სარჩელი არ განიხილა, საოლქოს იმ სამ მოსამართლესაც ტაბატაძის მსგავსად გავხდი მანტიებს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს".**



*შარაძე მოსამართლეებს გახდით ემუქრება.*

თუმცა, რა გვიჭირს, ბატონი შარაძე მარტო მოსამართლეების "გატიტვლებით" რომ კმაყოფილდებოდეს. როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმითაც იმუქრება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უზენაესი სასამართლო მისთვის არასასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანს, ანუ სარჩელის განხილვაზე უარს იტყვის. მოვლენების ასე ტრაგიკულად განვითარების შემთხვევაში "ერის მამას" დავკარგავთ, ამას თავად შარაძეც ადასტურებს. მოწმედ კი ბერძენი მათემატიკოსი თალესი მოჰყავს. **"ყველას კარგად მოგეხსენებათ თალესის დოქტრინის ერთი მუხლი, სადაც წერია: თუ გინდათ, რომ ქვეყანა დააჩოქოთ, პირველ რიგში ნიშანში ამოიღეთ ის ადამიანი, რომელსაც ხალხი უსმენს. თუ ვერ იპოვით კომპრომატს, დააბრალეთ ის, რის წინააღმდეგაც ეს ადამიანი იბრძვის. თუ ვერ დაუმტკიცებთ ბრალდებას, არაფერია, ხომ აიძულებთ ამტკიცოს, რომ აქლემი არ არის, მისი სახელი ხომ შეირყევა. ჩემთან დაკავშირებით, სწორედ, ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე,"** – განაცხადა გუშინ შარაძემ.

და ვინ ებრძვის "ადამიანს, ვისაც ხალხი უსმენს"? პასუხი ერთია: მასონებისგან დაფინანსებული "თავისუფლების ინსტიტუტი". და კიდევ - "სასამართლოების დამღუპველი" სააკაშვილი. **"სანამ სააკაშვილი იქნება, სამართალს ვერ ვიპოვით. კმარა სააკაშვილის და ე.წ. "ნაციონალური მოძრაობის" ბოგინი და მისი სასამართლოების არსებობა საქართველოში!"** – ასეთია "კმარას" შარაძისეული ინტერპრეტაცია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# სახელისუფლებო ბლოკი არ აპირებს სააკაშვილის წინადადების გაზიარებას


ლევან მამალაძე


სახელისუფლებო ბლოკი სააკაშვილის ინიციატივას ირონიით შეხვდა.


ირაკლი გოგავა

პირველი გვერდიდან

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი "დაუკრეფავში გადადის" და მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად მიუღებელი ფორმებით ურჩევენ მას საქმეს, სახელისუფლებო ბლოკის წევრებს მისი დაცვის ხალისი ეკარგებათ, ბლოკის სპიკერს კი იმის ახსნა უხდება, რომ რჩეულიშვილის ნათქვამი სახელისუფლებო ბლოკის მოსაზრება არ გახლავთ; ამას ყველაფერს კი ემატება სააკაშვილის ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტდეს.

რა გასაკვირია, რომ წინასაარჩევნო "ზეწოლის" ქვეშ მოხვედრილი ქვეყნის პრეზიდენტი საკუთარი ბლოკის პირველ პირებს თითქმის ყოველდღე იკრებს და მათთან ერთად "მომავალი ერთი თვის მოქმედების გეგმას" და "საარჩევნო კოდექსის ძირითად პრინციპებს" განიხილავს.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მორიგი ასეთი შეხვედრა შედგა. შეხვედრას არ ესწრებოდა ვახტანგ რჩეულიშვილი, თუმცა მის თავს დამტყდარი უსიამოვნების თემა გუშინდელ შეხვედრაზე განიხილეს და საერთო დასკვნაც გამოიტანეს – ინციდენტი პროკურატურამ უნდა შეისწავლოს (როგორც გვითხრეს, აქ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა არა ბატონი ვახტანგის თავზე, არამედ დაცვის სამსახურის დაზარალებულ წევრზე, რომლის მდგომარეობაც, როგორც ითქვა, ვახტანგ რჩეულიშვილისაზე ბევრად მძიმეა); დაიგმო პარლამენტში მსგავსი პრეცედენტების არსებობის ფაქტი; აღინიშნა, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ისიც ითქვა, რომ ბლოკის ყველა წევრი უნდა იყოს კორექტული.

ლევან მამალაძემ არ გაუშვა მომენტი, ეთქვა, რომ **"თუ ჟვანიას საპასუხო არგუმენტები ან კაცობა ჰყოფნის, სხვები კი არ უნდა მიეშვა რჩეულიშვილთან საქმის გასარჩევად, არამედ – თვითონ მისულიყო... თუ თავი არა აქვს ამის, კიდევ უარესი."**

ვახტანგ რჩეულიშვილთან დაკავშირებული ინციდენტის გარდა, რალა თქმა უნდა, ბლოკის გუშინდელი შეხვედრის მთავარი თემა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხი გახლდათ.

**"უცხოელებს ჩავაბაროთ ქვეყანა? ეს არასერიოზულია... თუმცა დამკვირვებლებად ჩამოსვლას მათ აუცილებლად სთხოვს თავად პრეზიდენტი. ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა ის არის, რომ არასამართლიანი არჩევნების ორგანიზატორია არა ხელისუფლება, არამედ ოპოზიციური ჯგუფი,"** – აცხადებდა შეხვედრიდან გამოსული ირაკლი გოგავა.

**"საქართველო უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოა და ჩვენ ჩვენი ძალებით, ჩვენი ადგილობრივი საშუალებებით უნდა მივაღწიოთ დემოკრატიას,"** – აცხადებს ლევან მამალაძე.

**"ჩვენ ყველა ვარიანტში ვითვალისწინებდით ევროსაბჭოს მოთხოვნებს. ევროსაბჭოს მოთხოვნები გაცილებით მძიმეა ოპოზიციისთვის, იქ უზენაესი სასამართლოს და შსს-ს მონაწილეობაც არის გათვლისწინებული კომისიაში, რაც, არა მგონია, რომ მისაღები იყოს ოპოზიციისთის,"**– თქვა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ.

ირაკლი მინდელის აზრით, **"საარჩევო კომისიების დაკომპლექტების შესაძლო ვარიანტის "ძირითად პრინციპებზე" სახელისუფლებო ბლოკში უკვე შეთანხმდნენ, დეტალები კი დასაზუსტებელია."**

დეტალებზე გუშინ სახელისუფლებო ბლოკის არც ერთი წარმომადგენელი არ საუბრობდა, მაგრამ ამბობდნენ, რომ სააკაშვილის წინადადების გაზიარებას არ აპირებენ.

# "ახალი საქართველოსთვის" - ძველი სახეებითა და ძველი იდეებით

მაია მოსიაშვილი

**"პირველი ფოლადი მე გამოვუშვი და მე არ მაძლევთ სიტყვას?"** - იძახდა აღშფოთებული მოხუცი და სცენაზე ასვლას ლამობდა. დაბნეულობამ და პანიკამ, რომელიც პირველი მეფოლადის - იროდი ხარბედიას დაუგეგმავ გამოსვლას მოჰყვა, კინაღამ ჩაშალა "მოქალაქეთა კავშირის" რუსთავის კონფერენცია. ბოლოს მასპინძლები გონს მოეგნენ და მოხუცი სცენაზე აუშვეს.

**"ბატონებო, მე 1995 წელს, როცა "მოქალაქეთა კავშირი" დაარსდა, მე-17 ვიყავი და ჩვენ ძალიან კარგად მიგვყავდა საქმე. მერე თანდათანობით შესუსტდა მუშაობა და 2003 წელს სულ განიავდა პარტია. ერთი წიგნი გამოუშვეს წინასაპარლამენტო არჩევნების დროს. ერთ მხარეს ეხატა პრეზიდენტი შევარდნაძე და მეორეზე ბატონი ჟვანია. ამ წიგნში ვკითხულობთ: 1999-2003 წლებში პენსია უნდა გაზრდილიყო სამმაგად, განათება და საექიმო მომსახურეობა უნდა ყოფილიყო უფასო, გაზიფიცირებული უნდა ყოფილიყო მთელი საქართველო. არც ერთი, არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა! პირიქით, უკან წავედით და 7-8 თვის საპენსიო დავალიანება გვაქვს ამჟამად. ბატონი ჯორბენაძე ბრძანდებოდა მინისტრი და მან გამოაცხადა სიტყვა-სიტყვით - პენსია დარიგდება ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვში. არ გამართლდა! თვეობით მიდის დავალიანება. ახლა თქვენ რას ფიქრობთ, თქვენ ბაბუები გყავთ? დედ-მამა გყავთ? ასეთ დროს კიდევ მოქალაქეთა კავშირი იქმნება... მე თანახმა ვარ, კი ბატონო, მაგრამ ამდენი ტყუილი, კაცო? ამდენი მოტყუება ხალხის? მე არ მინდა დავუპირისპირდე მთავრობას, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ. ავაშენოთ ახალი საქართველოო, სად იყავით ათი-თორმეტი წელიწადი, ახლა ვაშენებთ ახალ საქართველოს?! ნახევარი მაინც აგვეშენებინა აქამდე,"** - მოხუცი მეფოლადის ემოციურ გამოსვლას გუბერნატორი ლევან მამალაძე და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გამოეხმაურნენ.

**"სწორი თქვა ამ კაცმა. მეც მყავს 85 წლის ბაბუა, რომელიც გურიაში ცხოვრობს, ჩამოვა-ხოლმე და პენსია გვინდაო, მეუბნება. მინდა შეგახსენოთ, მე გამოვედი მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე და ერთ ყოფილ მინისტრს ვკითხე, სად გაქრა 400 მილიონი? მერე რომ დავთვალე, 400 კი არა, 970 მილიონზეა ლაპარაკი. სად გაქრა ეს თანხა? ეს იყო ის თანხები, რომლებიც ჩვენს ბაბუებს უნდა მიეღოთ, რომელიც პენსიონერებს, პედაგოგებს, გაჭირვებულ ადამიანებს უნდა მიეღოთ. საქმე ისაა, რომ ამ ხალხმა გამოიყენა ყველაფერი და დღეს მათი გამოისობით პრობლემები ჩვენ გვაქვს დაგროვილი. ამიტომ ვამბობ, რომ ისინი ოპოზიციას არ წარმოდგენენ. ისინი არიან ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობას გაექცნენ, უამრავი პრობლემა დაგვიტოვეს და ბინძური მეთოდებით გვებრძვიან,"** - მამალაძის ამგვარი განმარტება სავსებით მისაღები აღმოჩნდა სახელმწიფო მინისტრისათვის.

**"საბაჟო, ლეგიონის და სხვა სამსახურების უფროსების მიმართ, რომლებიც აღმოჩნდნენ არაპროფესიონალი და არაწესიერი ადამიანები, მკაცრი ზომები იქნება მიღებული. მათ გამო მე დღეს ვალდებული ვარ, ბოდიში მოვუხადო ყველა იმ პენსიონერს, ვისაც პენსია არ მიუღია რუსთავში, ვინც ქვეყნის ბიუჯეტის შეუსრულებლობით დაზარალდა. ასეთი ადამიანების და მათი კავშირების აღმოფხვრის გარეშე ქვეყნის ეკონომიკას კრიზისიდან ვერ გამოვიყვანთ,"** - განაცხადა ჯორბენაძემ.

"მოქალაქეთა კავშირის" რუსთავის კონფერენციაზე საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ქვემო ქართლის სტანდარტების სამსახურის უფროსი ალექსანდრე კაციაშვილი აირჩიეს. ასევე დამტკიცდა "მოძრაობა ახალი საქართველოსათვის" საზოგადოებრივი სათათბიროს და საბჭოს წევრების შემადგენლობა. ამ სიაში მყოფ საკმაოდ გავლენიან და ცნობილ ადამიანებს ერთი რამ აერთიანებთ - მათ არასოდეს უთქვამთ აუგი პრეზიდენტ შევარდნაძეზე და მუდამ მისი პოლიტიკის მხარდამჭერნი იყვნენ. მაგალითად: სოსო არეშიძე, რომელიც ბოლოს "აზოტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა; გოგი გოგოლაძე - "აზოტის" გენერალური დირექტორი; გოგი სალაყაია - ცემენტის ქარხნის გენდირექტორი; ნოდარ ღვამბერია - მეტალურგიულის გენდირექტორი; ირაკლი ჟორდანია - მეტალურგიულის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ასე შემდეგ. განახლებული სმკ-ს ბევრი ახალი ძველი სახე წინა არჩევნებზე "მრეწველებსა" და "ახლებს" წარმოადგენდნენ. მათ რიგებში გამოჩნდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც რუსთავის მერიასთან ასოცირდებიან. მაგალითად: ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ილია ხამისი. მისი კონფერეციაზე სიტყვით გამოსვლა თავად ტყეშელაშვილს მოუთხოვია. ხამისმა პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის, ლევან მამალაძის (რომელსაც, მისი თქმით, ათი წლის მანძილზე ერთი პაპკა უჭირავს) და მერაბ ტყეშელაშვილის "ქებით ძირის გაგდებინების" შემდეგ, ავთანდილ ჯორბენაძეს საქმის ჩაწყობა და ნაცნობობით ერთი ახალი ნაგვის მანქანის გამოყოფა სთხოვა. ასეთი სერიოზული გამოსვლის შემდეგ დარბაზში ხმა დაირხა, რომ მამალაძე-ტყეშელაშვილმა უკვე ყველაფერზე მოილაპარაკეს და არჩევნებზე მამალაძეს რუსთავში პრობლემები არ შეექმნება.

რუსთავში რამდენიმე საათით ჩამოსულმა სახელმწიფო მინისტრმა პარტიის ახალი ოფისის, "აზოტისა" და ცემენტის ქარხნების მონახულება მოასწრო. მან არაერთხელ აღნიშნა, რომ მისი პარტიის მთავარი ამოცანა მომავალი არჩევნებისათვის იქნება სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლება და ადამიანებისათვის პრობლემების გადაწყვეტა. **"ამიტომ გვინდა ჩვენ გაუყალბებელი არჩევნები. თუ ჩვენ შევძელით ადამიანებისათვის ხელის შეწყობა და სახელმწიფოს ექნება მართვის სადავეები ხელში აღებული, შესაბამისად შედეგიც არ დააყოვნებს. ბლოკი ვალდებულია, საქართველოს მოქალაქეებს დაანახოს ყველაზე უმთავრესი - თავისი შრომის შედეგი, ოღონდ არა ცრუ დაპირებებით, არა ტყუილებით, არა ძალადობით და არაწესიერი ქმედებებით. მოქალაქეებისათვის ხელის შეწყობა, სამუშაო ადგილების, ნორმალური გარემოსა და საზოგადოებრივი წესრიგის შექმნა - ეს არის ამოცანა, რომელიც მოსახლეობასთან ერთად უნდა გადავლახოთ,"** - ასე ჩამოაყალიბა სმკ-ს წინასაარჩევნო პლატფორმა სახელმწიფო მინისტრმა.

**"ქვეყანა ძალადობისგან უნდა გათავისუფლდეს,"** - ეს პოსტულატი

ჯორბენაძისათვის, როგორც ჩანს, რჩეულიშვილის ინციდენტმა უფრო აქტუალური გახადა. **"არა ძალადობას და არა "კმარას",** - კატეგორიული იყო სახელმწიფო მინისტრი. **"საქართველოს სახელმწიფო ამ ტიპის ქმედებებს არ დაუშვებს, ქვეყნის მდგრადობას და უსაფრთხოებას საშიშროება არ უნდა შეექმნას. არავის აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრებები სხვებს მოახვიოს თავზე. ეგ პროექტი ამ წესით ამ ქვეყანაში ვერ განვითარდება. ქვეყანაში უნდა არსებობდეს განსხვავებული აზრი, კრიტიკა შეიძლება, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ქართული საზოგადოება მას მხარს არ დაუჭერს,"-** თქვა მან.

# ცესკო მთლიანად უცხოელებით დაკომპლექტდეს

პირველი გვერდიდან

ჩასატარებლად ადგილობრივი კადრები გამოუსადეგარია, ამიტომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მთლიანად უცხოელ ექსპერტებს უნდა გადაელოცოთ. ოპოზიციური სცენარით, ეუთო-სა და ევროსაბჭოს დამკვირვებლები, ასევე, ამერიკელი ექსპერტები საქართველოს ერთი თვით ადრე ეწვევიან, შეისწავლიან შექმნილ ვითარებას, მოამზადებენ საარჩევნო კომისიას, არ მისცემენ საშუალებას ვანო ზოდელავას, ლევან მამალაძეს, ავთანდილ ჯორბენაძეს, გამგებლებს, პოლიციას და ა.შ. საარჩევნოდ კარგად ნაცადი ხერხები გამოიყენონ, ჩაატარებენ არჩევნებს და ახალი პარლამენტის გამოცხადებისთანავე წავლენ.

მაღალკვალიფიციური ექსპერტების სტუმრობამდე კი, საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, წინასაარჩევნოდ საქართველოს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი ეწვევა. "ნაციონალები" აქტიურად ეცდებიან, ასევე, საარჩევნოდ თბილისში აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ჩამოიყვანონ და საარჩევნო ციებ-ცხელებას დაასწრონ.

საუბნო და საოლქო კომისიების დასაკომპლექტებლად ოპოზიცია უცხოელ ექსპერტებს არ შეაწუხებს. სააკაშვილის განცხადებით, ამ "თანამდებობებს" ოთხპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი პარტიების წარმომადგენლები დაიკავებენ.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, **"თუ ხელისუფლებას ოდნავ მაინც შერჩენია სინდისი",** ამ წინადადებას არ დაიწუნებს. **"შევარდნაძე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ყოველდღე ხვდება და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად დახმარებას სთხოვს. საინტერესოა, თუ ეს შეთავაზება არ მოეწონათ, მაშინ, იგივე საერთაშორისო ორგანიზაციებს რა პასუხს გასცემენ,"** – აცხადებს სააკაშვილი.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავის მართლებას ხელისუფლება არც აპირებს. სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები ოპოზიციის "აბსურდულ ინიციატივას" ღიმილნარევი ირონიით შეხვდნენ. ვიტალი ხაზარაძემ პარლამენტში ნატო-ს ჯარების შემოყვანის თაობაზეც იხუმრა.

"ნაციონალების" ლიდერი საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობაზე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს გეგმავს. პირველი შეხვედრა გუშინ დიდი ბრიტანეთის ელჩთან დებორა ჯონსთან შედგა. დიპლომატიური კორპუსი არ არის წინააღმდეგი, ოპოზიციის წინადადებები მოისმინოს და გარკვეულ დახმარებაზეც იფიქროს.

ასეა თუ ისე, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხი საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია. დღევანდელ პარლამენტში კი, არათუ კომპრომისის გამონახვა, ყოველი ახალი ინიციატივით გამოსვლა, შეიძლება, სიცოცხლისათვის სახიფათო აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში ამ საკითხის მხარდამჭერი ჯანსაღი ძალა აუცილებლად გამოჩნდება.

# დეპუტატები რჩეულიშვილის სისხლს „ვერ ხედავენ„


"დემოკრატები" გუშინ მობილიზებულნი იყვნენ.

*დაზარალებული ვახტანგ რჩეულიშვილი გუშინ პარლამენტში არ გამოჩენილა. გუშინ თავად დეპუტატებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს წინა დღეს არც არაფერი მომხდარა და არ ყოფილა ის შელაპარაკება, რასაც რჩეულიშვილის თავის გატეხა და ზაზა შერაზადიშვილის ხელის გაჭრა მოჰყვა... თუმცა, "სისხლიანი ინციდენტის" კვალი გუშინ პარლამენტში ნამდვილად შეიმჩნეოდა და დაძაბულობის ხარისხიც აშკარად მაღალი იყო. "გაერთიანებული დემოკრატების" სრული მობილიზება, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი დეპუტატები და პროკურატურის წარმომადგენლების სიჭარბე სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. პარლამენტში ყველა ვახტანგ რჩეულიშვილის გამოჩენასა და მის პირველ პოლიტიკურ განცხადებებს ელოდა, მაგრამ გუშინდელი დღე ისე დასრულდა, რომ მეხუთე ვიცე-სპიკერი პარლამენტის შენობას არ გაჰკარებია.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტარებმა უჩვეულოდ წყნარად იმუშავეს. დილიდან კვორუმიც შეგროვდა და დღის წესრიგის საკითხების დამტკიცებაც, თითქმის, უპრობლემოდ მოხერხდა. პოლიტიკურ განცხადებებს დაჩვეული ტელეაუდიტორია, შესაძლოა, გაწბილებულიც კი დარჩა – მიკროფონთან მისული დეპუტატები შეგნებულად არიდებდნენ თავს წინა დღით მომხდარზე საუბარს და აქცენტს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე აკეთებდნენ.

დარბაზში მყოფი "გაერთიანებული დემოკრატები" კი დეტალურად უყვებოდნენ სხვა ფრაქციების წევრებს ვახტანგ რჩეულიშვილთან "დიალოგის" დეტალებს. ამის მიუხედავად, მიკროფონებთან თითქმის ყველა დუმდა.

საგულისხმოა, რომ გუშინ პარლამენტის მუშაობაში "სოციალისტებს" მონაწილეობა თითქმის არ მიუღიათ. ფრაქციის წევრები ხანდახან თუ გამოჩნდებოდნენ დარბაზში და მალევე უჩინარდებოდნენ. როგორც გაირკვა, პარტიის აქტივისტები ინციდენტის შედგომი პერიოდისთვის ემზადებოდნენ. გუშინვე გაირკვა, რომ "სოციალისტები" უკან დახევას არ აპირებენ. მეტიც: ისინი შეტევისთვის ემზადებიან და მათი რისხვა არა მხოლოდ "გაერთიანებულ დემოკრატებს", არამედ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესაც დაატყდება თავს.

თავად განსაჯეთ: ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი ღიად აცხადებს, რომ "დემოკრატებს" საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე ლობირებს. **"სწორედ ამიტომ არ იქნება გამოძიებული ვახტანგ რჩეულიშვილის ინციდენტის ფაქტი. მე თავად ვიყავი ამ ინციდენტის თვითმხილველი, თუმცა გენერალურ პროკურატურას ჯერ არ დავუკითხივარ,"** - განაცხადა მინდელმა და ამის დასტურად ის მოსაზრება გაიმეორა, რომელიც წინა დღით თავად რჩეულიშვილმა "რუსთავი-2-ის" პირდაპირი ეთერით გამოთქვა. **"რჩეულიშვილს ბიუროს სხდომაზე სწორედ პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებიდან დაურეკეს და სხდომაზე მისვლა დაჟინებით სთხოვეს,"** - აცხადებს მინდელი, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ რჩეულიშვილის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია სწორედ "დემოკრატების" ოფისში დაიგეგმა. **"ამ ფაქტთან დაკავშირებით, ვახტანგ რჩეულიშვილს უკვე ესაუბრა ქვეყნის პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი,"** – განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი მინდელმა. მისივე თქმით, დღეს პარტია ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. ინციდენტი კი მაშინ ამოიწურება, როდესაც ქვეყანაში "დემოკრატების" "თარეში დამთავრდება".

რჩეულიშვილის ამაო ლოდინის შემდეგ "დემოკრატებმა" გამაგრებული პოზიციები დატოვეს. თანაც, საღამოს ექვსი საათისთვის უკვე ყველამ იცოდა, რომ რჩეულიშვილი პარლამენტში არ მივიდოდა – მეხუთე ვიცე-სპიკერი პრეზიდენტთან შესახვედრად ემზადებოდა და რვა საათისთვის მას სახელმწიფო კანცელარიაში ელოდნენ.

"დემოკრატების" თავდაჯერებულობამ სახელისუფლებო ფრაქციების არაერთი წარმომადგენელი საკმაოდ აღაშფოთა. მაგალითად, ფრაქცია "აფხაზეთის" წევრმა დიმიტრი ჯაიანმა "დემოკრატების" "გალიმებული სახეების გამო" გაღიზიანება ვერ დამალა (სხვათა შორის, იგი ერთადერთი იყო, რომელმაც ამის თაობაზე საჯაროდ, მიკროფონთან განაცხადა). **"იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის ყოფილი მხარდამჭერი ძალა დღეს მას ცემით ემუქრება, ცხოვრება აღარ შეიძლება",** - განაცხადა ჯაიანმა და იქვე მიიღო პასუხი გიორგი ბარამიძისაგან: **"თქვენი ფრაქცია, პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვის მოთხოვნის მაგიერ, ხელისუფლების და პრეზიდენტის უფასო ადვოკატად გამოდის."**

## "ბიპიმ" სარეკორდო მოგება ნახა

თორნიკე შარაშენიძე

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მსოფლიოს სიდიდით მეორე ნავთობკომპანიის, "ბრიტიშ პეტროლიუმის" მოგებამ 3,7 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს კომპანიის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია, რაც ერაყული ომის წინა პერიოდში ნავთობის ფასის მკვეთრ აწევას უკავშირდება. ნავთობის გაძვირებაში იმავე პერიოდში დიდი წვლილი შეიტანა გაფიცვებმა ვენესუელაში და არეულობებმა ნიგერიაში – "შავი ოქროს" ექსპორტიორ კიდევ ორ მსხვილ ქვეყანაში.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, "ბიპის" მოგებებმა 136 პროცენტით აიწია. იანვრიდან მოყოლებული - მარტის ჩათვლით, კომპანია საშუალოდ დღეში 41 მილიონ დოლარს იგებდა.

ყველასათვის ცხადია, რომ ამგვარი დღესასწაული "ბიპისათვის" – ისევე, როგორც სხვა ნავთობკომპანიებისათვის – კარგა ხანს აღარ დადგება. ახლა საწვავი საგრძნობლად გაიაფდა და ერაყში ნავთობმრეწველობის სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ, "შავ ოქროზე" ფასები კიდევ უფრო დავარდება. ერაყში უკვე განაახლა ფუნქციონირება კირკუკის ნავთობსაბადომ და სულ მცირე ხანში ნავთობმოპოვება აქ ომამდელ მაჩვენებლებს დაუბრუნდება. შორს არაა ის დრო, როცა ერაყში ნავთობმოპოვება სპარსეთის ყურეში პირველ ომამდე არსებულ მაჩვენებლამდეც ავა.

## ამერიკამ "დოიჩე ბანკი" დააჯარიმა

აშშ-ს მთავრობამ 10 ათასი დოლარით დააჯარიმა "დოიჩე ბანკი." ამის მიზეზი გერმანული საბანკო გიგანტის მიერ სუდანთან განხორციელებული ფინანსური ოპერაციები გახდა, რომლის წინააღმდეგაც ამერიკული სანქციები მოქმედებს.

როგორც აშშ-ს ხაზინის დეპარტამენტი იუწყება, "დოიჩე ბანკი" სუდანთან 1999-2000 წლებში აწარმოებდა ოპერაციებს, მაშინ, როცა ვაშინგტონმა სანქციები ამ ქვეყნის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1997 წელს შემოიღო. სუდანს საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირში ედება ბრალი.

ამერიკა ცდილობს, მსგავსი სანქციების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩეს. "დოიჩემდე" დაჯარიმდა აშშ-ს დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტების უდიდესი მწარმოებელი ფირმა "ავედის ზილჯიანი," რომელიც ასევე 1999-2000 წლებში კოსოვოში ეწეოდა ექსპორტს. კოსოვოზე აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციები 2001 წელს მოიხსნა. გარდა ამისა, სანქციების დარღვევასთან დაკავშირებით, მოხსენიებულნი იყვნენ ამერიკის ისეთი კორპორაციული მონსტრები, როგორებიცაა "სიტიგრუპი," "შევრონტექსაკო," "უოლმარტი" და "ნიუ იორკ იანკის." მათ მიერ გადახდილი ჯარიმების საერთო ჯამმა 250 ათასს მიაღწია. ცხადია, ეს არც ისე სერიოზული თანხებია და ისინი უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ხაზინის სამდივნოს უცხოურ ქონებაზე კონტროლის ოფისი (რომელსაც ეკონომიკური სანქციების დამრღვევთა გამოვლენა და დასჯა ევალება) აქამდე ჯარიმათა მოცულობას არ აქვეყნებდა. ეს მხოლოდ მარტში დაიწყო - მას შემდეგ, რაც ამის გამო ოფისი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა.

ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგ ამერიკული სანქციები მოქმედებს: ბირმა, კუბა, ირანი, ლიბერია, ჩრდილო კორეა, სუდანი, ლიბია, სიერა ლეონე და ზიმბაბვე.

## "ბოინგს" კომერციულ შპიონაჟში ადანაშაულებენ

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავიამწარმოებელი "ბოინგი" ამერიკის სამართალდამცავთა ყურადღების სფეროში მოექცა. "ბოინგს", აშშ-ს მთავრობისგან თავდაცვის სფეროში კონტრაქტის მოპოვების მიზნით, მის მეტოქე კომპანიაზე თვალთვალი და მოპოვებული ინფორმაციის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება ედება ბრალად.

გამოძიებას აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტი აწარმოებს. ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა თქმით, ჭეშმარიტების დასადგენად "ბოინგი" სამართალდამცავებთან თანამშრომლობს.

ამ სკანდალს "უოლ სტრიტ ჯორნალმა" ახადა ფარდა. გაზეთში გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, სამხედრო მრეწველობის სფეროში "ბოინგის" უპირველესი მეტოქის, "ლოკჰიდ მარტინის" ყოფილმა თანამშრომელმა "ბოინგს" "ლოკჰიდის" ახალი სარაკეტო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ორ კომპანიას შორის კონტრაქტზე ქიშპობა საბოლოოდ "ბოინგის" გამარჯვებით დასრულდა, რომელიც ახლა თანამგზავრების გამშვებ "ატლას ფაივის" რაკეტებს ამზადებს. როგორც იუწყებიან, ამ პროექტზე მუშაობისათვის "ლოკჰიდის" "ჯაშუშიც" - კენეტ ბრენჩიც მიიწვიეს.

ამ ცნობის გამოქვეყნებას "ბოინგის" აქციათა საგრძნობი დაცემა მოჰყვა. ეს სკანდალი კომპანიის რეპუტაციას უთუოდ დიდ ზიანს მიაყენებს და მომავალში სამხედრო კონტრაქტების მოპოვებაში, შეიძლება, გარკვეული პრობლემებიც შეუქმნას. არადა, ეს სფერო "ბოინგის" შემოსავლის უმთავრესი წყაროა. კომერციული ლაინერების ბიზნესში "ბოინგს" ბოლო ხანს აშკარად ჩაგრავს ევროპული "ეარბასი." ამის გამო, კომპანია უპირველესად აშშ-ს მთავრობის იმედზეა, რომლისთვისაც ის ერთ-ერთ უმთავრეს კონტრაქტორად რჩება.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში "ბოინგმა" 478 მილიონი დოლარი იზარალა. თუკი კომპანიას სამხედრო კონტრაქტების მხრივ პრობლემები შეექმნა, ზარალი გაცილებით დიდი იქნება.

## მოკლედ

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშზე დადებული ყადაღა დღეს მოიხსნა. "ეი-ი-ეს თელასსა" და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად სპეციალური სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომელსაც ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა უხელმძღვანელებენ. "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ სახელმწიფოს მიერ დაგროვილი დავალიანების დაფარვის საკითხს კომისია ერთი კვირის ვადაში გადაჭრის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრობლემების გამო, ბრიტანულმა კომპანიამ "ბრითიშ ეარვეიზმა" გააუქმა მაისის პირველ ნახევარში დაგეგმილი რეისები: ლონდონი-თბილისის 3, 5 და 7 მაისის და თბილისი-ლონდონის 4, 6 და 8 მაისის რეისები. მგზავრებს, რომელთაც შეძენილი ჰქონდათ ბილეთები აღნიშნულ რეისებზე, მისი ღირებულება მთლიანად შეუძლიათ დაიბრუნონ ან შეცვალონ ფრენის თარიღი. შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად ავიაკომპანია საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აგრძელებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის რამდენიმე უბანი კვლავ გაზის გარეშეა დარჩენილი. "თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის თენგიზ არშილავას ინფორმაციით, უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ავარიის ლიკვიდაცია კონიაკის დასახლებაში, სადაც გაზის მიწოდება, თითქმის ერთი თვეა, შეწყვეტილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თურქეთის ავიახაზების" საკასაციო საჩივრის განხილვა დღეს 12 საათზე დაიწყება. საჩივარი ისანი-სამგორის, საოლქო საგადასახადო ინსპექციისა და საგადასახადო დეპარტამენტის მიერ კომპანიისთვის თანხის გადახდის დაკისრებას ეხება. "თურქეთის ავიახაზები" 1998 წელს დაკისრებულ საგადასახადო დავალიანებას უკანონოდ მიიჩნევს. თუ კომპანია ამ დავალიანებას გადაიხდის, მას მომდევნო წლების დავალიანების გადახდაც მოუწევს. "თურქეთის ავიახაზებს" 7 მილიონ ლარამდე ოდენობის საბიუჯეტო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 30 აპრილიდან საქართველოში ფრენა აკრძალული აქვს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-23 მაისს კომპანია "ჯი-ვი-ესი" მონაწილეობას მიიღებს ლონდონში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში. "ჯი-ვი-ესი" ლონდონის გამოფენაზე წარმოადგენს პრემიალურ ასორტიმენტს "თამადა". ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა ლონდონში, უკვე ოცდაერთი წელია, იმართება. "ჯი-ვი-ესი" ლონდონის გამოფენაში 1999 წლიდან მონაწილეობს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** PA Consulting 1,5 წლის განმავლობაში განახორციელებს საქართველოს ელექტრო სადისტრიბუციო კომპანიის მენეჯმენტს. 5 მაისს საღამოს შევარდნაძემ PA Consulting-ის პრეზიდენტისაგან მიიღო ინფორმაცია საქართველოს სადისტრიბუციო კომპანიის უახლოეს გეგმებზე. უახლოეს დღეებში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში ხელი მოეწერება შეთანხმებას PA Consulting-სა და საქართველოს ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიას შორის. **კავკას-პრესი**




## საბაჟო დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

პირველი გვერდიდან

ოფიციალურად, ასლანიკაშვილი თანამდებობიდან "სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით" გაათავისუფლეს (ის, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში, ერთ-ერთი სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს), თუმცა, როგორც ჩანს, მისი გადადგომა ბიუჯეტში საბაჟოს კუთხით კვარტალური მაჩვენებლის შეუსრულებლობას უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ ასლანიკაშვილის გათავისუფლებას წინ უსწრებდა სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძის მკვეთრი გამონათქვამები მის მიმართ. გუშინ დილით ჯორბენაძემ მას "არაკომპეტენტური" და "კორუმპირებული" უწოდა.

გუშინვე, ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი იმ პრობლემებზე ალაპარაკდა, რომელთა გამოც ბოლო დროს "საბაჟოს კუთხით ბიუჯეტის შესრულება გაჭირდა". გოგიაშვილის თქმით, **"ეს უფრო სისტემური პრობლემებია"**.

რაც შეეხება საბაჟოს ახალ უფროსს, თავის დროზე დავით თარხან-მოურავმა პრეზიდენტი შევარდნაძე სწორედ საბაჟო სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის იდეით მოხიბლა. სავარაუდოდ, ახალ თანამდებობაზე მოსვლისთანავე, იგი "საბაჟოს ტვირთბრუნვის თანამგზავრული კონტროლისა" და "საბაჟო-საგადასახადო მონაცემთა საერთო საინფორმაციო ბანკის" შექმნის იდეის ხორცშესხმას შეუდგება. **"ჩვენ ყურადღებას საბაჟოზე ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე გავამახვილებთ,"** – აცხადებს ის საბაჟოს პერსპექტივებზე საუბრისას. თარხან-მოურავს შესაბამისი პროექტები უკვე მზად აქვს. **"პროექტი დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი დაჯდება,"** – ვარაუდობს თარხან-მოურავი და იმედოვნებს, რომ მისი დაფინანსებისთვის ინვესტორი მალე გამოჩნდება.



ალეკო ასლანიკაშვილი



მირიან გოგიაშვილი



დავით თარხან-მოურავი

გუშინ დილიდან ვარაუდობდნენ, რომ ფინანსთა სამინისტროში დაგეგმილი ცვლილებები ქვეყნის მთავარი მებაჟის ჩანაცვლებით არ შემოიფარგლებოდა და საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელს, თემურ ძიძიგურსაც შეეხებოდა. მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მის ნაცვლად ლეგიონის ხელმძღვანელად "ავღანელთა კავშირის" თავმჯდომარე ნუგზარ კახნიაური უნდა დანიშნულიყო. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, გაგრძელდება თუ არა საკადრო ცვლილებების ტალღა ფინანსთა სამინისტროში. ყოველ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი შიშობს, რომ შესაძლოა, საკადრო ცვლილებები მის უწყებასაც შეეხოს.

## მოსახლეობის უიმედო აღწერა

ნინო ნარჩემაშვილი

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2003 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველი მონაცემები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. აღნიშნული ღონისძიებები ამერიკისა და ბრიტანეთის საერთაშორისო სააგენტოების, გერმანიისა და ჰოლანდიის მთავრობათა ტექნიკური დახმარებით გახდა შესაძლებელი. საჭირო თანხების დიდი ნაწილი კი სახელმწიფო ბიუჯეტმა გაიღო.

მოსახლეობის აღწერა 2002 წლის 17-24 იანვარს - სულ რამდენიმე დღეში განხორციელდა. ამ პერიოდიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე თეიმურაზ ბერიძე აცხადებს, რომ აღწერის საბოლოო შედეგები მხოლოდ აგვისტოს თვის ბოლოს იქნება მზად. წინასწარი მონაცემებით კი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის საერთო რიცხვმა, ქვეყნის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ოთხი მილიონ 371 ათას 400 კაცი შეადგინა და წინა აღწერის შედეგებთან შედარებით თითქმის ერთმილიონიანი კლება აღინიშნა. ფაქტობრივი ანუ სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვი კი ოთხი მილიონ 355 ათას 700 -ია.

თეიმურაზ ბერიძის თქმით, მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის იმ ტერიტორიებზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტმა ინფორმაციის ალტერნატიული წყაროებისა და ექსპერტული შეფასების გათვალისწინებით დაადგინა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა 230 ათას კაცს შეადგენს და, აქედან გამომდინარე, გასული წლის იანვრის შუა რიცხვებში საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ფაქტობრივად, ოთხი მილიონ 585 ათას 700 კაცი ცხოვრობდა.

მისივე განცხადებით, ყველაზე მეტი კლება - 18,2 პროცენტი - ქვემო ქართლის მხარის მოსახლეობის რაოდენობაში აღინიშნა, ხოლო ყველაზე ნაკლები, 2,4 პროცენტი, შიდა ქართლის მხარის მოსახლეობისაში. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებულმა ჩასახლებამ მოსახლეობის რაოდენობა აქ 9,7 პროცენტით გაზარდა. შიდა ქართლისა და იმერეთის მხარეების სოფლის მოსახლეობაში კი შესაბამისად 7,8 და 5,1-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ წინა აღწერასთან შედარებით ქვეყნის ხუთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქიდან (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი), ყველაზე დიდი კლება, 26,8 პროცენტი, რუსთავში, ხოლო ყველაზე ნაკლები - 6,9 პროცენტი, ფოთში აღინიშნა.

რაც შეეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში შექმნილმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა მიმდინარე ფასებში 1,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 4,4-პროცენტიან მატებას აფიქსირებს. საინტერესოა მონაცემები მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, რომელმაც შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის - 130,0 ლარი, საშუალო მომხმარებლისთვის - 114,0 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახისათვის 226,1 ლარი შეადგინა. უმუშევართა რაოდენობა კი, 1 აპრილის მდგომარეობით, 40,5 ათას კაცს აღწევს. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველოს უმსხვილეს საგარეო- სავაჭრო პარტნიორად კვლავ რუსეთი რჩება, რადგან აღნიშნულ პერიოდში მის წილად მთელი სავაჭრო ბრუნვის 18,7 პროცენტი მოდის. მისივე თქმით, ქვეყანაში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების დაბალ დონეს მჭიდროდ უკავშირდება აღურიცხავი ანუ ე.წ ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი პროცენტი. პროდუქციაზე გადასახადების (დღგ, აქციზი, საბაჟო) აკრეფის საერთო ზრდა უთანაბრდება საერთო ეკონომიკურ ზრდას, რაც ფისკალური დარგების დაბალი დონის შენარჩუნებაზე მეტყველებს გადასახადების ამ ნაწილის მიხედვით.

ასეთი გახლავთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მშრალ ციფრებს, თუკი მათ მნიშვნელობას არავინ შეაფასებს. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, მიზეზების დადგენა და გამოსწორება უკვე სახელმწიფო და სახელისუფლებო სტრუქტურების მოვალეობაა.

## კავკასიის ქვეყნებში საბაჟო კანონმდებლობა ერთმანეთს ჰგავს

ზაზა ბროლაძე

საბაჟო კანონმდებლობა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში იდენტურია. განვიხილოთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბაჟო რეჟიმები და ამ რეჟიმებით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრის წესები.

**რეჟიმი N1.** საქონლის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტი) – დეტალურად განხილული იქნება შემდგომ სტატიაში.

**რეჟიმი N2.** რეიმპორტი განთავისუფლებულია სამივე ქვეყანაში.

**რეჟიმი N3.** ტრანზიტი განთავისუფლებულია სამივე ქვეყანაში.

**რეჟიმი N4.** საბაჟო საწყობის რეჟიმში ქვეყანაში შემოტანილი და ქვეყნიდან გასატანი საქონლის შენახვა განთავისუფლებულია გადასახადებისაგან საქართველოსა და აზერბაიჯანში. სომხეთში განთავისუფლება ეხება მხოლოდ შემოტანილ საქონელს. ამასთან, საქართველოში აღნიშნულ რეჟიმს ეწოდება "საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა", აზერბაიჯანში – "საბაჟო საწყობი", ხოლო სომხეთში – "იმპორტი საბაჟო საწყობში".

**რეჟიმი N5.** უბაჟო ვაჭრობა განთავისუფლებულია გადასახადებისაგან სამივე ქვეყანაში. რეჟიმის სახელწოდებები: "უბაჟო ვაჭრობა" - საქართველო, "უბაჟო ვაჭრობის მაღაზია" - აზერბაიჯანი, "იმპორტი უბაჟო ვაჭრობის მაღაზიებში" – სომხეთი.

**რეჟიმი N6.** გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე (საქართველო) – საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან გადამუშავების პროდუქტების ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან გატანის პირობით; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე (აზერბაიჯანი) – საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან და გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტის რეჟიმით გატანის შემთხვევაში ხდება უკვე გადახდილ იმპორტზე გადასახადების დაბრუნება; დროებითი იმპორტი გადამუშავებისათვის (სომხეთი) – განთავისუფლებულია გადასახადებისაგან.

**რეჟიმი N7.** გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ (საქართველო და აზერბაიჯანი) - გადამუშავების პროდუქტების იმპორტის ან სხვა რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან; დროებითი იმპორტი (სომხეთი) - განთავისუფლებულია იმპორტის 1 წლის განმავლობაში, გარდა სომხეთის საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

**რეჟიმი N8.** დროებითი შემოტანა და/ან გატანა (საქართველო) - შემოტანილი და/ან გატანილი საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა (აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს აუცილებლობის შემთხვევაში); დროებითი იმპორტი/ექსპორტი (აზერბაიჯანი) - შემოტანილი და/ან გატანილი საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა (აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს ან შემცირდეს საქონლის გარკვეული კატეგორიებისათვის); დროებითი ექსპორტი (სომხეთი) - განთავისუფლებულია ექსპორტის 1 წლის განმავლობაში, გარდა სომხეთის საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

**რეჟიმი N9.** თავისუფალ საბაჟო ზონაში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება (საქართველო) - უცხოური საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან, ხოლო ადგილობრივი საქონლისადმი გატარდება ექსპორტის საბაჟო რეჟიმი; თავისუფალი საბაჟო ზონა (აზერბაიჯანი) - უცხოური საქონელი არ დაიბეგრება, ხოლო ადგილობრივი საქონლისადმი გატარდება ექსპორტის საბაჟო რეჟიმი. საქონელი აღნიშნულ რეჟიმში შეიძლება იმყოფებოდეს განუსაზღვრელი ვადით; იმპორტი თავისუფალ საბაჟო ზონაში (სომხეთი) – განთავისუფლებულია გადასახადებისაგან.

**რეჟიმი N10.** თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება (საქართველო) - უცხოური საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან, ხოლო ადგილობრივი საქონლისადმი გატარდება ექსპორტის საბაჟო რეჟიმი; თავისუფალი საწყობი (აზერბაიჯანი) - უცხოური საქონელი არ დაიბეგრება, ხოლო ადგილობრივი საქონელისადმი გატარდება ექსპორტის საბაჟო რეჟიმი. საქონელი აღნიშნულ რეჟიმში შეიძლება იმყოფებოდეს განუსაზღვრელი ვადით; იმპორტი თავისუფალ საბაჟო საწყობში (სომხეთი) – განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. საქონელი აღნიშნულ რეჟიმში შეიძლება იმყოფებოდეს 3 წლამდე ვადით.

**რეჟიმი N11.** გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ (საქართველო) - საქართველოს საქონელი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანისას მისი გადამუშავებისა და მიღებული პროდუქციის საქართველოში იმპორტირების მიზნით; გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ (აზერბაიჯანი) - აზერბაიჯანის საქონელი საბაჟო გადასახდელებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია აზერბაიჯანის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანისას მისი გადამუშავებისა და მიღებული პროდუქციის აზერბაიჯანში იმპორტირების მიზნით; დროებითი ექსპორტი გადამუშავებისათვის (სომხეთი) - განთავისუფლებულია სომხეთის საქონელი, რომელიც გატანილი იქნა სომხეთის საბაჟო ტერიტორიის გარეთ და არა უმეტეს 1 წლის პერიოდის შემდეგ ექსპორტირებული იქნა სომხეთის რესპუბლიკაში.

**რეჟიმი N12.** საქონლის ექსპორტი სამივე ქვეყანაში იბეგრება დღგ-ის და აქციზის (აქციზური საქონლის ექსპორტირებისას) ნულოვანი განაკვეთით; აღნიშნულ რეჟიმს საქართველოსა და აზერბაიჯანში ეწოდება "ექსპორტი", ხოლო სომხეთში "ექსპორტი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის".

ამასთან, აზერბაიჯანში ნავთობის იმპორტიორთათვის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია) დაწესებულია გადასახადი ექსპორტზე, რომლის განაკვეთი შეადგენს ადგილობრივ და მსოფლიო ფასებს შორის განსხვავების 20 პროცენტს.

**რეჟიმი N13.** უცხოური საქონელი, რომელიც რეექსპორტის რეჟიმში გატანილი იქნა საქართველოს/აზერბაიჯანის/სომხეთის საბაჟო ტერიტორიიდან, არა უგვიანეს 6 თვისა (სომხეთის შემთხვევაში – 180 დღისა) მასზე საბაჟო დეკლარაციის მიღების დღიდან განთავისუფლებულია გადასახადებისაგან.

**რეჟიმი N14.** განადგურების რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონელი სამივე ქვეყანაში განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. განადგურება უნდა მოხდეს მესაკუთრის ან მფლობელის (აზერბაიჯანში მფლობელის, ხოლო სომხეთში იმპორტიორის) საკუთარი სახსრებით;

**რეჟიმი N15.** უარის თქმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც სახელმწიფოს მხრიდან არ იწვევს რაიმე ხარჯს, განთავისუფლებულია გადასახადებისაგან სამივე ქვეყანაში.

# ჰეიდარ ალიევი ისევ საავადმყოფოშია

შოთა უტიაშვილი

აზერბაიჯანულმა საინფორმაციო საშუალებებმა გუშინ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ალიევი, რომელიც ანკარაში, გულჰანეს კლინიკაში მკურნალობს, კარდიოლოგიური რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს.

10 მაისს ალიევი 80 წლისა ხდება. კოლეგის იუბილეს აღსანიშნავად, ბაქოში ჩასვლას საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები აპირებენ. თუმცა, მოახერხებს თუ არა ჩასვლას თავად იუბილარი, ჯერ არავინ იცის.

პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. რომ არა 21 აპრილის საჯარო კოლაფსი, მისი ავადმყოფობის შესახებ, ალბათ, გარეშე პირები ვერც გაიგებდნენ. თუმცა, ამის შემდეგაც კი, აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები (ჯანდაცვის მინისტრი, აზერბაიჯანის ელჩი თურქეთში) ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტის მდგომარეობა ნორმალურია.

საპირისპირო მოსაზრებებს გამოთქვამს ოპოზიციური მედია, რომელიც განსხვავებულ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებს. პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ სპეკულირება ძვირად დაუჯდა ოპოზიციურ იენი მუსავატს, რომლის ოფისიც ამ დღეებში დაარბიეს.

ზუსტი ინფორმაციის არქონის ფონზე, მიმომხილველები იძულებულნი არიან, არაპირდაპირ მონაცემებს დაეყრდნონ. ეჭვს იწვევს ორი გაუთვალისწინებელი ვიზიტი. მაისის დასაწყისში აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის, რასიზადეს ჩასვლა ვაშინგტონში, და ილჰამ ალიევის მოულოდნელი სტუმრობა მამასთან ანკარაში.

უფროსი ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მითქმამოთქმა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისა და ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საკითხთან.

ილჰამ ალიევის თქმით, კოლაფსის მერე, უკეთეს შემთხვევაში, მამამისს გამოჯანმრთელებისათვის 4-5 კვირა დასჭირდება. რა მოხდება, ასეთი რამ მას არჩევნების დროსაც რომ დაემართოს? კითხულობენ აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები. ალიევმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს (ეს მისი მესამე საპრეზიდენტო ვადა იქნება. მაგრამ, რადგან პირველი ვადა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დაიწყო, კონსტიტუციის მოთხოვნა, მაქსიმუმ, ორი საპრეზიდენტო ვადის შესახებ, არ ირღვევა). არჩევნებამდე მშვიდობიანადაც რომ მიაღწიოს, საკითხავია, შეძლებს თუ არა იგი კიდევ ხუთი წლის მანძილზე ქვეყნის მართვას.


ილჰამ და ჰეიდარ ალიევები.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ალიევი მომავალ პრეზიდენტად თავის შვილს, ილჰამს ამზადებს. ასევე ცნობილია ისიც, რომ როგორც ქარიზმით, ისე პოლიტიკური ინტუიციით, გამოცდილებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შვილი მამას ბევრად ჩამორჩება. ის ფაქტი, რომ კანდიდატურა სწორედ ჰეიდარმა წამოაყენა და არა ილჰამმა, მიუთითებს, რომ მემკვიდრე "სამეფო ტახტისათვის" ჯერ მზად არ არის.

ბევრი ფიქრობს, რომ მამის მხარდაჭერის გარეშე, ილჰამი ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებს. აზერბაიჯანულ მედიაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ე.წ. "ნახჭევანის კლანი", რომელიც, უკვე თითქმის 30-წელია, ალიევის პოლიტიკურ და ფინანსურ საყრდენს წარმოადგენს, "შავი დღის" შემდეგ, მხარს არა ილჰამ ალიევს, არამედ ასევე ყარაბაღელ ყოფილ სპიკერს, ამჟამად დევნილს, რასულ გულიევს დაუჭერს. იმავე ვარაუდის თანახმად, უმცროსი ალიევი მხარდამჭერთა ბაზის შექმნას ყოფილ კომკავშირულ ელიტაზე დაყრდნობით შეეცდება. მეორე ვარაუდით, ალიევის თანამებრძოლები აზერბაიჯანში მყოფ ოპოზიციის ლიდერებთან მისასვლელ გზებს უკვე ეძებენ.

აზერბაიჯანელებისათვის სამწუხაროდ, ხელისუფლების გადაცემისათვის საშინაოზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო ფაქტორი. ბაქოზე "თვალი უჭირავთ" ერთი მხრივ რუსეთსა და ირანს (ორივე ამ ქვეყანაში აზერბაიჯანული ოპოზიციის წარმომადგენლები არიან თავშეფარებულნი), მეორე მხრივ თურქეთსა და აშშ-ს. ამ უკანასკნელთ უფრო რთული ამოცანა აქვთ გადასაჭრელი: მათ სასურველი კანდიდატის გაყვანასაც უნდა შეუწყონ ხელი და ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებასაც. სხვათა შორის, საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში კორექტივების შეტანა შეუძლია სომხეთსაც, რომელიც აზერბაიჯანთან "გაყინული კონფლიქტის" მდგომარეობაში იმყოფება.

ევრაზიის ამერიკელი ექსპერტი არიელ კოენი წერს: "აშშ ადმინისტრაციის "აზერბაიჯანულ გუნდს" (კოენის თქმით, მასში შედიან დიკ ჩეინი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე რიჩარდ არმიტიჯი, თავდაცვის სამინისტროდან მირა რიკარდელი, ეროვნული უშიშროების საბჭოდან მეთიუ ბრეიზა და ელჩი აზერბაიჯანში როს უილსონი) ჰყავს თავისი ფავორიტები. მათ შორის არიან პრეზიდენტის ვაჟი ილჰამი, რომელიც ამჟამად სახელმწიფო ნავთობკომპანიის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. ვაშინგტონს აგრეთვე არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, პრეზიდენტად სახალხო ფრონტის ლიდერი ალი ქერიმლი, მუსავატების ხელმძღვანელი ისა გამბარი, ან ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ეტიბარ მამედოვი რომ ყოფილიყო".

"ვაშინგტონი უარყოფითად შეხედავს აზერბაიჯანის ყოფილი ლიდერის, აიაზ მუტალიბოვის გაპრეზიდენტებას. მას მეტისმეტად მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთთან. სხვა არასასურველი კანდიდატები არიან ხსენებული რასულ გულიევი, პრეზიდენტის აპარატის უფროსი რამიზ მეხტიევი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნამიკ აბასოვი".

აზერბაიჯანში ყველაზე დიდ საფრთხეს ვაშინგტონი პრო-რუსული ძალების გაძლიერებაში, ან რადიკალური ისლამისტური ძალების მოსვლაში ხედავს. მოვლენების განვითარება ერთ-ერთი ამ სცენარით, პრობლემებს შეუქმნიდა ვაშინგტონს, როგორც კასპიის ნავთობის ათვისებასა და ტრანსპორტირებაში, ისე ამ ქვეყნის მთავრობასთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაგრძელებაში.

სრულიად განსხვავებული ინტერესები აქვს რუსეთს, რომელიც აზერბაიჯანში ჯერ კიდევ ინარჩუნებს გავლენის უამრავ ბერკეტს, მათ შორის - სამხედროს.

ერთი სიტყვით, თუ ალიევს რამე დაემართა, აზერბაიჯანის ბედი არავის შეშურდება. პრეზიდენტს თითი თითზე არ დაუკარებია იმისათვის, რომ ხელისუფლების ისეთი ინსტიტუტები შეექმნა, რომელიც მის გარეშეც იმუშავებდა. პოლიტიკური ნიჭიერებით არც ილჰამი ბრწყინავს. ამიტომ, ექსპერტები შიშობენ, რომ რკინის მუშტით მართვა, შეიძლება, ანარქიით დასრულდეს.

# რუსეთი ირანის ბირთვული პროგრამების არსებობას უარყოფს

რუსეთის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ირანის თაობაზე გამართული მოლაპარაკებების დეტალებს იცნობს, "როიტერთან" საუბარში აღნიშნა, რომ მართალია, თეირანის ბირთვული პროგრამების შესახებ გარკვეული ეჭვები არსებობს, მაგრამ არანაირი დამადასტურებელი ფაქტი არ მოიპოვება იმის თაობაზე, რომ ირანს ატომური ბომბი აქვს.

ვაშინგტონი დარწმუნებულია, რომ ირანი ბირთვული შეიარაღების პროგრამას ახორციელებს და საერთაშორისო შეთანხმებებს არღვევს. ორშაბათს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯონ ბოლტონი მოსკოვში ჩავიდა, რათა რუსეთის ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ თეირანთან ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა შეწყვიტოს.

"ვინმეს დასადანაშაულებლად სამხილი უნდა არსებობდეს. დღემდე ამგვარი სამხილი არც ამერიკას წარმოუდგენია და არც სხვა ქვეყანას", - "ინტერფაქსთან" საუბრისას აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ ლოსიუკოვმა.

"გარკვეული ეჭვები, მართლაც, არსებობს, რომელიც ჩვენ უნდა გავფანტოთ. ეს თავად ირანის ინტერესებშია", - დასძინა მან.

შეერთებული შტატების ხელისუფლება ძალიან შეშფოთებულია რუსეთის მიერ ირანში გაყიდული ბირთვული ტექნოლოგიების გამო, რომლის მეშვეობით, თეირანი ბუშერში 1000 მეგავატიანი რეაქტორის აშენებას გეგმავს. რუსეთში ყოფნისას ჯონ ბოლტონმა განაცხადა, რომ ირანის ბირთვული პროგრამები ბირთვული შეიარაღების გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

თავის მხრივ, ირანი ამტკიცებს, რომ მისი ბირთვული ამბიციები მხოლოდ დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავებით შემოიფარგლება.

ლოსიუკოვი ბოლტონთან ერთად, ირანის გარდა, ჩრდილოეთ კორეის კრიზისზე და სადამის შემდგომი ერაყის მართვის პრობლემებზეც მუშაობს. რუსი დიპლომატის თქმით, რუსეთი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან მუშაობას გააგრძელებს, რათა ირანის ბირთვული პროგრამები უფრო გამჭვირვალე გახადოს.

ბუშერის რეაქტორზე საუბრისას, ლოსიუკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი და თეირანი ატომური სააგენტოს წესების მკაცრი დაცვით მოქმედებენ.

ლოსიუკოვის კომენტარებმა დაადასტურა, რომ ამერიკელები და რუსები ირანის ბირთვული პროგრამების მონიტორინგის შესახებ ვერ შეთანხმდნენ.

# ბუშმა ერაყის სამოქალაქო ხელმძღვანელი დანიშნა

აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირთა პროგნოზის შესაბამისად, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყის სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი პოლ ბრემერი დანიშნა.

თეთრ სახლთან დაახლოებული წყაროების ცნობით, ბუშმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდთან შეხვედრის დროს განაცხადა. "ერაყში ვაგზავნი ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელს, რომელიც უდიდესი გამოცდილების წყალობით ნებისმიერ ამოცანას გაუმკლავდება," - თქვა აშშ-ს პრეზიდენტმა.

პოლ ბრემერი ერაყის მართვის სადავეებს არმიის გადამდგარი გენერლის ჯეი გარნერისაგან გადაიბარებს, რომელიც ბაღდადში ქვეყნის ოკუპირებისთანავე იქნა გაგზავნილი. ბრემერს გარნერზე მაღალი თანამდებობა ექნება და ერაყში დემოკრატიული მთავრობის შექმნასა და ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას გაუწევს მეთვალყურეობას. ბრემერი განსაზღვრავს ერაყის პოლიტიკას და დაემორჩილება უშუალოდ დონალდ რამსფელდს.

ბრემერი კრიზისების საკონსულტაციო ცენტრს ხელმძღვანელობდა. 1986 წელს მაშინდელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ბრემერი სახელმწიფო დეპარტამენტში ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსად დანიშნა, რომელსაც, ფაქტობრივად, ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკის პოლიტიკის განსაზღვრა ევალებოდა. იგი აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო მდივნისა და პრეზიდენტის პირადი მრჩეველი იყო.


REUTERS
აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ბრემერი, აგრეთვე, "კისინჯერ ასოშიეტედში" მუშაობდა - იმ საკონსულტაციო ფირმაში, რომელსაც ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ხელმძღვანელობს. მან ამ ფირმაში მუშაობა 1989 წელს, 23-წლიანი დიპლომატიური მოღვაწეობის შემდეგ დაიწყო.

პრესკონფერენციაზე, აგრეთვე, თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ დაადასტურებს "ნიუ-იორკ თაიმსში" დაბეჭდილ ინფორმაციას, რომლის თანახმად, სადამ ჰუსეინის ვაჟმა ომის დაწყებამდე ერაყის ცენტრალური ბანკიდან ერთი მილიარდი დოლარი გამოიტანა. ფლეიშერის თქმით, შეერთებული შტატები შეეცდება, ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი ფული უკან დააბრუნოს.

# პოლიტიკური პარტიები ქოჩარიანის გულის მოგებას ცდილობენ


რობერტ ქოჩარიანი

რევაზ ბახტაძე

სომხეთში, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დაპირისპირება პრეზიდენტის მხარდამჭერ პარტიებს შორისაც გამწვავდა. თითოეული მათგანი ქოჩარიანს ერთგულებას ეფიცება და ცდილობს, მომავალ პარლამენტში პრეზიდენტის დასაყრდენი ძირითადი ძალა გახდეს.

პრეზიდენტის გულის მოგებას სამი პარტია ეცილება ერთმანეთს: პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანის "რესპუბლიკური პარტია", "დაშნაკციუტუნი" (სომხეთის რევოლუციური ფედერაცია) და "ორინაც იერკირი".

ქოჩარიანის კარზე მიმდინარე ბრძოლა სააშკარაოზე ორი დღის წინ გამოვიდა, როდესაც პარლამენტში ყველაზე დიდი რესპუბლიკური ფრაქციის ლიდერმა გალუსტ საჰაკიანმა განაცხადა, რომ "პრეზიდენტის მხარდამჭერი ყველა დანარჩენი პარტია (რესპუბლიკური პარტიის გარდა), უფრო ანტისამთავრობო გახდა, ვიდრე ნებისმიერი ოპოზიციური პარტია".

საჰაკიანმა ყველა გააფრთხილა, რომ რესპუბლიკელები აუცილებლად მიმართავენ სადამსჯელო ზომებს, თუ სხვა პროქოჩარიანული პარტიები მარქარიანის კაბინეტის წევრებზე თავდასხმას გააგრძელებენ, რათა 25 მაისს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა გულები მოიგონ. "მათ ავიწყდებათ, რომ მთავრობაში ყოფნისას ისინი რესპუბლიკური პარტიის პროგრამას ახორციელებდნენ", - გაღიზიანებულმა აღნიშნა საჰაკიანმა, რომელსაც მხედველობაში აშკარად "დაშნაკციუტუნი" ჰყავდა.

"დაშნაკციუტუნი" ერთადერთი პარტიაა, რესპუბლიკურის გარდა, რომელიც მთავრობაში არის წარმოდგენილი. სომხეთის რევოლუციური ფედერაციის ერთ-ერთი ლიდერი არტაშეს თუმანიანი ქოჩარიანის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია. სომხეთის უძველეს ნაციონალისტურ პარტიას სომხეთის მთავრობაში დამატებითი პორტფელების მიღება სწორედ რესპუბლიკური პარტიის ხარჯზე სურს. მთავრობის პოლიტიკის შეცვლა და ხელისუფლებაში არსებული კორუფცია "დაშნაკციუტუნის" წინასაარჩევნო კამპანიის ძირითად თემას წარმოადგენს. პარტია ცდილობს, მთავრობისაგან მაქსიმალური დისტანცირება მოახდინოს.

დაშნაკებსა და რესპუბლიკელებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც რესპუბლიკური პარტიის წევრმა, ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა, თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარგსიანმა საჯაროდ მიიტანა იერიში ჰრანტ ვართანიანზე, თამბაქოს მაგნატზე, რომელიც მაისის საპარლამენტო არჩევნებში "დაშნაკციუტუნის" სიით მონაწილეობს და პარტიის მსხვილ დამფინანსებლადაც ითვლება. ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სარგსიანმა ვართანიანი "თუთუნად" მოიხსენია.

რესპუბლიკელებს კრიტიკას არც "ორინაც იერკირი" აკლებს, რომელიც ქოჩარიანის პოლიტიკის გულმხურვალე მხარდამჭერად არის ცნობილი. პარტიის ლიდერმა არტურ ბაღდასარიანმა თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში აღნიშნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, სომხეთში "კანონის უზენაესობას აღადგენს", რომელსაც ამჟამად მდიდარი და კორუმპირებული ელიტა მართავს. "კანონის აღსრულება მხოლოდ მდიდრებისა და ძლიერების ინტერესებისათვის ხდება", - განაცხადა ბაღდასარიანმა ერევანში მიტინგზე გამოსვლისას.

რესპუბლიკური ფრაქციის ლიდერის მუქარას "დაშნაკციუტუნი" სასწრაფოდ გამოეპასუხა. მათი თქმით, პარტიამ, შესაძლოა, ქოჩარიანის მხარდაჭერაზე ხელი აიღოს, თუ პრეზიდენტი წინასაარჩევნო დაპირებებს არ შეასრულებს.

"ჩვენ იმის იმედით დავუჭირეთ მხარი პრეზიდენტს, რომ საერთო მიზნებს მივაღწევდით", - განაცხადა პარტიის წარმომადგენელმა არმენ რუსტამიანმა.

რუსტამიანის თქმით, "დაშნაკციუტუნი" იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში პრეზიდენტი მთავრობაში მყოფ არაპოპულარულ და კორუფციაში ეჭვმიტანილ წევრებს გაათავისუფლებს, კანონის უზენაესობას უზრუნველყოფს და ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას შეებრძოლება. თუმცა, რუსტამიანს ის თანამდებობის პირები არ დაუკონკრეტებია, რომელთა გათავისუფლებას "დაშნაკციუტუნი" მიზანშეწონილად მიიჩნევს.

# ალ-ქაიდა საბოლოოდ დაუძლურდა

ამერიკული სადაზვერვო ორგანიზაციების თქმით, ის ფაქტი, რომ ერაყის ომის დროს ალ-ქაიდამ ვერც ერთი ტერაქტის განხორციელება ვერ შეძლო, იმაზე მიუთითებს, რომ ეს ორგანიზაცია წელშია გატეხილი. როგორც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული სამსახურის უფროსმა კოფერ ბლეკმა განაცხადა, ალ-ქაიდას წევრები ერთმანეთთან დაკავშირებას, გადაჯგუფებას და ახალი ოპერაციების დაგეგმვას ველარ ახერხებენ. ყოველთვის, როდესაც კონცენტრაციას ახდენენ, ისინი ახალ დარტყმას იღებენ.

თუ 2002 წლის მანძილზე ბინ ლადენის ყოველ მუქარას მოსდევდა ან წინ უსწრებდა ახალი ტერაქტი (პაკისტანში, ტუნისში, კუვეიტში, იემენსა და ბალიზე), 2003 წელს ბინ ლადენის განცხადებებს რეალური არაფერი მოჰყოლია.

მიუხედავად იმისა, რომ ბინ ლადენი და მოჰამად ზავაჰირი ჯერ კიდევ თავისუფლად გადაადგილდებიან, ალ-ქაიდას 20-კაციანი ხელმძღვანელობის თითქმის ნახევარი ან დაპატიმრებულია, ან მკვდარი. ლიდერების დაპატიმრებამ ალ-ქაიდას განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა, რადგან მათ მიერ გამჟღავნებულმა ინფორმაციამ სხვა დაპატიმრებები გამოიწვია.

ავღანეთში დაბომბვების დროს მოკლეს ალ-ქაიდელი "ნომერი ორი" მოჰამად ატეფი, დააპატიმრეს მისი შემცვლელი ხალიდ შეიხ მოჰამედი (რომელსაც ბრალი 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში ედება) და მისი სამი მოადგილე: აბუ ზუბაიდა, რამზი ბინალშიბი და ტავფიკ ბინ ატაში.

გარდა ამისა, ალ-ქაიდამ დაკარგა დასაყრდენი და საწვრთნელი ბაზები ავღანეთში. ახალი ბაზების შექმნა ამ ორგანიზაციამ ვერ შეძლო. მისი ნარჩენები, ძირითადად, ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე არიან გაფანტულნი.

ბლეკის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ალ-ქაიდას უძლიერესი დარტყმა მიაყენეს, ამ ორგანიზაციას ჯერ კიდევ დიდი ტერაქტების განხორციელების პოტენციალი აქვს. მისი თქმით, საუბარია ადრე დაგეგმილ ტერაქტებზე, თორემ ახლების ჩაფიქრების, დაგეგმვისა და განხორციელების თავი ბინ ლადენის ტერორისტულ ქსელს არ გააჩნია.

# ჩინეთში ატიპური პნევმონიის შემთხვევები იზრდება

თუკი კანადამ და ვიეტნამმა "სარს"-ის გავრცელების შეკავება მოახერხეს, ამას ვერ ვიტყვით ჩინეთზე, სადაც ყოველდღიურად დაავადების ასზე მეტი შემთხვევა აღირიცხება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გრო ჰარლემ ბრუნდტლანდმა გუშინ განაცხადა, რომ ჩინეთსა და ჰონგ-კონგში დაავადებას პიკისათვის ჯერ არ მიუღწევია.

ჩინეთში სარსით უკვე 4400 ადამიანი დაავადდა, აქედან 214 გარდაიცვალა. დაავადება განსაკუთრებით სწრაფად ჩინეთში უცხოელებით დასახლებულ კვარტალებში ვრცელდება.

ხელისუფლება ამ სენის წინააღმდეგ საგანგებო ზომებს მიმართავს. შეიქმნა სპეციალური საძიებო რაზმები, რომლებშიც 30 ათასი კაცი შედის და რომლებიც ყველაზე სარისკო უბნებში თითოეულ შენობას ამოწმებს. 2 მილიონზე მეტ ადამიანს თერმომეტრები და სხვა სამედიცინო ნივთები დაურიგეს. რამდენიმე ათასი კაცი კარანტინში იმყოფება. ჯერჯერობით, ეს ზომები შედეგს არ იძლევა. გუშინ სარსით 138 ადამიანი დაავადდა და 8 გარდაიცვალა.

# პირველი ევროპული მისია მარსზე

"მარს ექსპრესი" პირველი ევროპული კოსმოსური ხომალდია, რომელიც მარსზე გაემგზავრება. ამჟამად რაკეტაში საწვავის ჩატვირთვა მიმდინარეობს.

სტარტი 2 ივნისისათვის იგეგმება. ბაიკანურის კოსმოდრომიდან ორ ხომალდს რუსული რაკეტა "სოიუზ-ფრეგატი" გაიყვანს. მარსამდე მოგზაურობას 6 თვე დასჭირდება. ხომალდი "წითელ პლანეტას" წლის ბოლოს მიაღწევს.

სამი დღის შემდეგ მარსზე ხომალდის გაგზავნას ნასა – აშშ-ს ავიაკოსმოსური სააგენტო გეგმავს. თვის ბოლოს ევროპელები კოსმოსში კიდევ ერთ ხომალდს გააგზავნიან, ამჯერად - მთვარეზე. "სმარტ-1" გაფრენისათვის უკვე ემზადება.

# არასამთავრობები მთავრობის დახმარებას ელიან

*საქართველოში მცხოვრებ უნარშეზღუდულ ბავშვთა უფლებები ხშირად ირღვევა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, მათი თანატოლებთან ინტეგრაცია მაინც ვერ ხერხდება. ამ და კიდევ სხვა მწვავე პრობლემებზე, გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილი საზოგადოება მსჯელობდა.*

თამარ დვალი

2001 წელს ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჯანდაცვის სამინისტროში წარადგინა პროექტი და მოიპოვა გრანტი, რომლის თანახმადაც, 12-მა უნარშეზღუდულმა ბავშვმა 6 თვის განმავლობაში სასწავლო პროგრამა ჩვეულებრივ სკოლებში გაიარა. "მაშინ, როდესაც ისინი შეეჩვივნენ თავიანთ თანატოლებს და თავი იგრძნეს ამ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, პროგრამის დაფინანსება შეწყდა და ბავშვები ისევ თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო იზრუნებს ამ ბავშვებზე და 2003 წელს ამ პროგრამას კვლავ დააფინანსებს",- გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაცია "სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა ასოციაციის" ხელმძღვანელმა მაია ასაკაშვილმა.

დაფინანსების პრობლემა თითქმის ყველა, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციას აწუხებს. "შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თემქაზე მცხოვრები 357 რეგისტრირებული უნარშეზღუდული ბავშვისათვის სარეაბილიტაციო კომპლექსის შექმნას. ავიღეთ ობიექტი, რომელიც ქალაქის განათლების სამმართველოს ეკუთვნოდა. იგი მთლიანად განადგურებული იყო და მისი შეკეთება მოვახერხეთ. ეს პროგრამა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა. სამწუხაროდ, მეორე წელიწადია სახელმწიფოსაგან ის მინიმალური დახმარებაც ვერ მივიღეთ, რასაც ობიექტამდე დენისა და გაზის მიყვანა ჰქვია. ბევრჯერ მივმართეთ მერიას, მაგრამ პასუხიც კი არ მიგვიღია,"- განაცხადა ორგანიზაცია "ანიკა"-ს ხელმძღვანელმა ირინა ინასარიძემ.

შეკრებილთა აზრით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური კანონი. "უნარშეზღუდული ადამიანების დისკრიმინაცია რომ კანონით ისჯება, სოციალურად დაცვის შესახებ კანონში ზოგადად წერია. მაგრამ არ არის მითითებული რას გულისხმობს, ჯარიმა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ თუ ციხეში უნდა ჩაჯდეს არ არის გარკვეული,"- აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების" პრეზიდენტმა მაია ბიბილეიშვილმა.

ითქვა ისიც, რომ სწავლების პრობლემასთან ერთად, არანაკლებ გასათვალისწინებელია დასაქმების პრობლემაც, რადგან 18 წლის შემდეგ, უნარშეზღუდული ბავშვები თითქმის უფუნქციოდ რჩებიან.

# კონფერენცია ამერიკის გასაცნობად

*საქართველოს მეგობარმა ამერიკამ საზოგადოებას დახმარების განსხვავებული ფორმა შესთავაზა და ჩვენი ქვეყნისთვის თავის უკეთ გაცნობა გადაწყვიტა. ამ მიზნით, საქართველოში მოღვაწე ამერიკანისტებმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს მოღვაწეობა.*

ირინე სანებლიძე

ამერიკული ცხოვრების, წარმატების მიზეზებისა და გამოცდილების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად კონფერენციები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობა. გუშინ დაიწყო მეხუთე ასეთი კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები არიან ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრი.

კონფერენციის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ამერიკის ელჩი საქართველოში, რიჩარდ მაილსი, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, გელა ჩარკვიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, როინ მეტრეველი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, ვასილ კაჭარავა.

რიჩარდ მაილსისთვის, რომელიც უკვე რამდენიმე წელია საქართველოშია და დანგრეულ გზები და ჩაბნელებული ქუჩები დისკომფორტს მასაც უქმნის, ცხადია, რომ უამრავი პრობლემით დაღლილ საზოგადოებას ამერიკასთან მარტო მეგობრობის დეკლარირება ვერ ანუგეშებს. ამდენად, ელჩის აზრით, აუცილებელია სასწრაფო, რეალური რეფორმები, რომლებიც რეალურ შედეგებს მოიტანს; ხოლო შედეგებამდე უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ და როგორი სახელმწიფო უნდა ვაშენოთ.

წლევანდელ კონფერენციაზე ორასზე მეტი მოხსენება არის წარმოდგენილი და მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და გორის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ - მასწავლებლები, მაგისტრანტები და სტუდენტები; ხოლო, რადგანაც კონფერენცია საერთაშორისოა, მასში ამერიკელი მეცნიერებიც მონაწილეობენ.

კონფერენციაზე დასწრება თავისუფალია.

# მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, 2002 წლის 17-24 იანვარს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად დადგინდა, რომ 2002 წელს საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა, 1989 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, 15 პროცენტით შემცირდა, რაც დაბალმა შობადობამ, მაღალმა სიკვდილიანობამ, მიგრაციის გაძლიერებამ და ქვეყნის ტერიტორიიდან რუსი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახების წევრების გასვლამ განაპირობა.

აღწერის თანახმად, საქართველოში ყოველ 1000 მამაკაცზე 1120 ქალი მოდის. ამ მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, კლება აღინიშნება როგორც ქალების, ისე მამაკაცების რიცხოვნობაში. თუ 1989 წელს ქალთა რიცხვი 2,8 მილიონს აჭარბებდა, მამაკაცთა რიცხვი კი 2,6 მილიონამდე იყო, შარშან დაფიქსირდა 2,3 მილიონი ქალი და 2,1 მილიონამდე მამაკაცი.

"მოსახლეობის აღწერა ვერ ჩატარდა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, მაგრამ ინფორმაციის ალტერნატიული წყაროებიდან გაირკვა, რომ ამ ტერიტორიებზე 230 ათასი კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის ეს რაოდენობა აღწერის საერთო შედეგებს დავამატეთ," - განაცხადა სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ბერიძემ.

***ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი***

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ფინანსური დაგეგმარების ანალიტიკოსის ვაკანსიაზე აცხადებს კონკურსს

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ფინანსური დაგეგმარების ანალიტიკოსის ვაკანსიაზე კონკურსს აცხადებს.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სებბ), ენერგეტიკული სექტორის ლიცენზიანტთა ასოციაცია ხელს უწყობს ელექტროენერგიის ბაზრის განვითარებას, რათა რამდენიმე წელიწადში იგი კონკურენტუნარიანი და ეფექტური გახდეს.

სებბ ეძებს კვალიფიციურ ფინანსურ ანალიტიკოსს, რომელიც იმუშავებს ფინანსურ განყოფილებაში. მას უნდა გააჩნდეს საბითუმო ბაზარში არსებული სავაჭრო პროცესების, ხელშეკრულებებისა და თანხების განაწილების პროცედურის შესწავლის უნარი, რის შესახებაც ინფორმაცია სებბში არსებული ფონდების მართვის განყოფილებას უნდა მიაწოდოს.

დაწვრილებით ინფორმაციას აღნიშნული ვაკანსიის შესახებ მიიღებთ ქვემოთ მოყვანილ მისამართზე, რომელზეც, ასევე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ თქვენი მონაცემები (CV):

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი

ტელ: 25 35 70/71
კადრების განყოფილება
ალ. ყაზბეგის გამზ. 45

# ზოდელავა კოლექტორების დანიშნულების არეალს აფართოებს

"სააკაშვილი და ნათელაშვილი აქ უნდა დაიმარხონ" - ხელისუფლების წარმომადგენლები "კორექტულობაში" ერთმანეთს ტოლს არ უდებენ

ნანა ქადაგიშვილი

*ვანო ზოდელავამ გუშინდელი ტრადიციული შემოვლა გლდანი-ნაძალადევის რაიონში განახორციელა და ორი მშენებარე კოლექტორი და ერთიც 1989 წელს დაწყებული კორპუსი დაგვათვალიერებინა. "ნათელაშვილსა და სააკაშვილს ერთად აღებულს ვაჯობებ და ფორასაც მივცემ კიდევ," – დაიტრაბახა საკუთარი აღმშენებლობითი საქმიანობით კმაყოფილმა თბილისის მერმა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დაღმასვლა.*

ნაძალადევის რაიონში, წრომისა და დობროლიუბოვის ქუჩებზე, ახალი კოლექტორების მშენებლობა ორ თვეში დასრულდება. ამასთან ერთად, ამ ქუჩებზე ქვაფენილიც დაიგება. ორივე კოლექტორის ხარჯებს, 600 ათას ლარს, მერია ქალაქის ბიუჯეტიდან გაიღებს. წლის ბოლომდე ამ რაიონში წეროვანის ქუჩაც საკომუნიკაციო ქსელიანად გაკეთდება. ამ წელს მერიამ, ჯერჯერობით, უკვე 5-6 კოლექტორი გააკეთა, ძირითადად, ქალაქის გარეუბნებში. "ჩემზე ამბობენ, ნაძალადევი-გლდანის რაიონში მაჟორიტარობა უნდა და ამიტომაც აქტიურობსო, მაგრამ მართალი არ არის, ამ ქუჩებზე კოლექტორების გაკეთება განსაკუთრებით სასწრაფო იყო," – განმარტა ზოდელავამ და დაამატა, სააკაშვილი და ნათელაშვილი აქ უნდა დამარხო, ეგენი დაანგრევენ ქვეყანასო.

ამ ფრიად საინტერესო განცხადების შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელმა ნაძალადევიდან გლდანში გადაინაცვლა და გლდანის მე-5 მკრ-ში მშენებარე 26-ე კორპუსი გვაჩვენა. მისი მშენებლობა 14 წლის წინათ დაწყებულა, მაგრამ, როგორც ყველა კოოპერატიული მშენებლობა, შეჩერებულა და მხოლოდ 1999 წელს განახლებულა. "წესით, ასეთი კორპუსებისთვის ხარჯები ფინანსთა სამინისტროს უნდა გამოეყო, მაგრამ კოოპერატიული მშენებლობების დასრულება მერიამ ითავა. შარშან სამი კორპუსი აშენდა, წელსაც ამდენივეს მშენებლობა დასრულდება, წლის ბოლომდე მათი მფლობელები კუთვნილ ბინებს ჩაიბარებენ. მომავალ წელს კი დარჩენილ 8 კორპუსსაც ავაშენებთ," – ოპტიმისტურად არის განწყობილი ქალაქის ხელმძღვანელობა. მერმა შეგვახსენა ის, რომ "არჩევნების წინ სააკაშვილმა მოსახლეობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა პრობლემას ერთ წელიწადში თუ ვერ მოაგვარებს, გადადგება" და პირობა დადო, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას უყურადღებოდ არ დატოვებს. მიმდინარე კვირის სამშაბათის ანგარიში ამით ამოიწურა. თავის მოსაწონებელი სხვა ობიექტები ქალაქის მერმა მომდევნო სამშაბათისთვისაც შემოიტოვა.

# მორიგი სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ!

"სოლიდარობის" სიურპრიზი საქართველოს ექიმთა კონგრესს

ზაზა ფარუაშვილი

*სათაურით - "უწყვეტი სამედიცინო განათლების პრობლემები" - გუშინ თბილისში ორი ღონისძიება ჩატარდა. დილით პრესკონფერენცია მოაწყვეს ექიმთა თავისუფალი პროფკავშირის "სოლიდარობის" წევრებმა, საღამოს გაიმართა საქართველოს ექიმთა I კონგრესის შემაჯამებელი სხდომა.*

უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) პრობლემების შესახებ ორივე ღონისძიებაზე ისაუბრეს, მაგრამ "სოლიდარობის" წევრებმა გაცილებით უფრო რადიკალური განცხადებები გააკეთეს. მათ შორის ერთი სიურპრიზიც – "სოლიდარობამ" საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის № 478-ე ბრძანებულების შეჩერების მოთხოვნით. სწორედ ამ ბრძანებულების საფუძველზე დაიწყო ქვეყანაში უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის დანერგვა. ამრიგად, შეჩერების საფრთხე დაემუქრა უსგ-ის პროცესს, რომლითაც კონგრესის გახსნის დღეს ასე იამაყა თავად პრეზიდენტმა. "სოლიდარობის" წევრების მტკიცებით აღნიშნული პროცესი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – ექიმთა რაოდენობრივ შემცირებას. მათი არგუმენტი შემდეგია: სახელმწიფო სერტიფიკატის ასაღებად საჭირო 250 კრედიტ-ქულის დაგროვებაში თითოეულ ექიმს 5 წლის განმავლობაში 500 ლარი მაინც დაეხარჯება, რასაც ბევრი მათგანი ვერ შეძლებს. **"ჩვენ, ექიმთა ახალი იძულებითი ბეგარის წინააღმდეგნი ვართ!"** – აცხადებს "სოლიდარობის" თავმჯდომარე დოდო ნაფეტვარიძე.

ამას გარდა, ექიმთა თავისუფალი პროფკავშირი მოითხოვს უსგ-ის მიღების ნებაყოფლობითობას და ექიმთა პროფესიული ასოციაციების მიერ მის მართვას.

როგორც კონგრესის შემაჯამებელ სხდომაზე გამოჩნდა, პროფესიულ ასოციაციებისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭებას ეთანხმება ექიმთა მთელი საზოგადოება. მათ შორის აღმოჩნდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაც, თუმცა ვადებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით პოლემიკა გაიმართა.

**"ხარვეზები იმდენია, რომ თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ. ამის შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია მე მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესი შევაჩეროთ... განათლება შევაჩეროთ?! ერთმანეთს ნიშნისმოგებით არ უნდა ველაპარაკოთ. საჭიროა თანადგომა და ერთად მუშაობა,"** –ამბობს ამირან გამყრელიძე. მისი განცხადებით, ცხადია, რომ უწყვეტ სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებით ყველა ფუნქცია ექიმთა პროფესიულ ასოციაციებს უნდა გადაეცეთ, ოღონდ თანდათან და ეტაპობრივად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მინისტრის ვარაუდით, დარგში დაიწყება ქაოსი, ვინაიდან პროფესიულ ასოციაციათა მხოლოდ ნაწილი თუ იქნება მზად ასეთი პასუხისმგებლობისათვის.

ბოლოს, ამირან გამყრელიძემ ყველა ოპონენტს სთხოვა შენიშვნების წერილობით მიწოდება და აღუთქვა, რომ გათვალისწინებული იქნება ყველა რაციონალური წინადადება.

კონგრესი ასე დამთავრდა. ახლა სასამართლო განხილვის დაწყებას უნდა ველოდოთ.

# დასაქმების სახელმწიფო პროგრამა ძალაში შედის

მაკა ჭაიანი

*მაისის ბოლოს საქართველოში მცხოვრები რეგისტრირებული უმუშევრები დასაქმების კიდევ ერთ – წლევანდელ შანსს მიიღებენ. 29 მაისს, თორმეტ საათზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიხსნება ფსიქომეტრული ტესტების პაკეტი და დასაქმების სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი დაიწყება. როგორც ხელისუფალნი გვპირდებიან, წელს ეს პროგრამა, სულ ცოტა, 500 უმუშევარს დაასაქმებს.*

ტესტებს დანიშნულების ადგილებზე 29 მაისს, ტესტირების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, დალუქული სახით მიიტანენ. ყველა, ვისაც მათი შინაარსის გაგების, ანუ ტესტირებაში მონაწილეობის სურვილი აქვს, უმუშევრებად 2003 წლის პირველ მაისამდე უნდა იყვნენ რეგისტრირებულები. პროგრამაში მონაწილეობის შესახებ წერილობითი განაცხადი დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში მათ 2003 წლის 15 მაისამდე უნდა შეიტანონ. იქვე მიიღებენ პროგრამის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია, უმუშევრებს დეტალური წერილობითი ინფორმაცია გააცნოს. გარდა ამისა, დასაქმების სამსახურები ვალდებულნი არიან, პროგრამაში მონაწილეობის მსურველ უმუშევრებს გააცნონ ტესტების ნიმუშები, აუხსნან ტესტირების პროცედურა, 19-დან 28 მაისამდე აცნობონ ტესტირების ადგილი. მეორე ეტაპზე გასულ უმუშევრებს კი – მისამართები კონკრეტული კონსალტინგ-ცენტრებისა, სადაც ტრეინინგები ჩატარდება.

ტესტირების მიზანი უმუშევართა ბიზნეს-შესაძლებლობების გამოვლენაა. მისი წარმატებით გავლის შემდეგ, უმუშევრებს კონსალტინგ-ცენტრებში ათდღიანი, უფასო მომზადება ჩაუტარდებათ. კიდევ ერთი ტესტირებისა და საინტერესო ბიზნეს-გეგმის შემუშავების შემდეგ, სესხის გატანის მომენტი დგება. თითო უმუშევარს 6 ათასი ლარის ოდენობის კრედიტის აღების უფლება აქვს. ბიზნეს-გეგმების გაერთიანების შემთხვევაში, თანხის მოცულობა იზრდება. თანხის გაცემის მექანიზმი ასეთია: ბანკი საკრედიტო რესურსს სრული ოდენობით გასცემს, მის ანგარიშზე კი დამატებით ყადაღდება საგრანტო რესურსი. უმუშევრების შემთხვევაში, ბანკი კრედიტს ადებს მხოლოდ გაცემული რესურსის 60 პროცენტს, თანხის დანარჩენი ნაწილი ნულოვანი პროცენტით გაიცემა. სესხზე დარიცხული პროცენტი პროგრამის საგრანტო რესურსიდან დაიფარება. იქიდანვე დაიფარება უმუშევრის სიცოცხლის, უბედური შემთხვევის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და ქონების დაზღვევის სათავდებო თანხებიც.

თუ სესხზე გადასახდელი პროცენტის თანხა აღემატება სესხის თანხაში გრანტის ზღვრულ მოცულობას, გრანტის მოცულობა გადასახდელი საპროცენტო თანხის სიდიდემდე იზრდება. სესხის დაზღვევის შემთხვევაში, ამას სადაზღვევო შენატანის მოცულობაც ემატება. სესხის ხანგრძლივობა 6-დან 24 თვემდეა. უმუშევარს უნდა ჰქონდეს გასაცემი სესხის 36 პროცენტის ოდენობის გირაოს ჩადების შესაძლებლობა. ერთგვარი პრივილეგიით ისარგებლებენ მრავალშვილიანები, I და II ჯგუფის ინვალიდები, ხანგრძლივად (12 თვე და მეტი) უმუშევრები. პროგრამაში მათ ჩასართველად წელს ცალკე თანხა გამოიყოფა. I ჯგუფის ინვალიდებისთვის, გრანტის სახით 2800 ლარის გამოყოფაა ნავარაუდევი, დანარჩენებისთვის - 2000 ლარის. უნარშეზღუდულებისა და მრავალშვილიანებისთვის პროგრამა თბილისში განხორციელდება, ხანგრძლივად უმუშევრებისთვის - ბათუმში. ხელისუფალთა წინასწარი გათვლებით, ამ გზით, სულ ცოტა, 140 ადამიანი დასაქმდება.

"უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა" რეგისტრირებული უმუშევრების დასაქმებას წელს საშუალო და მსხვილი მეწარმეების საშუალებითაც შეეცდება. პროგრამაში მონაწილეობის მსურველ მეწარმეებს, კარგი ფინანსური მდგომარეობის გარდა, მინიმუმ, 20 ადამიანი უნდა ჰყავდეს დასაქმებული და, სესხის მიღების შემთხვევაში, კიდევ 5-ს მაინც უნდა ასაქმებდეს. ბანკის მიერ პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, მას, ბანკსა და პოტენციურ დასაქმებულს შორის ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მეწარმეს დაქირავებულის გამოცდის საშუალებას აძლევს. საგამოცდო ვადის დასრულების შემდეგ, მეწარმე დაქირავებულს უვადო შრომით ხელშეკრულებას უფორმებს. სამუშაოზე აყვანილ ადამიანს ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ ადგილს მხოლოდ საწარმოს დახურვის შემთხვევაში დაკარგავს. მეწარმისადმი წაყენებული პირობები იმასაც მოითხოვს, რომ დასაქმებულის ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მეწარმის დაფინანსების შემთხვევაში, საუბარია 30000-ს ლარიან კრედიტებზე. ბანკი პროცენტს გაცემული რესურსის მხოლოდ 70 პროცენტს ადებს. თანხის დანარჩენი ნაწილი ნულოვანი პროცენტითაა. დარიცხული პროცენტი ამ შემთხვევაშიც საგრანტო რესურსიდან დაიფარება. ბანკის მიერ მიღებული და მოწონებული პროექტი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან უნდა შეთანხმდეს. სესხების ვადა, დარგების მიხედვით, ასეა დიფერენცირებული: ვაჭრობისა და მომსახურების სფერო – არაუმეტეს თვრამეტი თვისა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, საშენ მასალათა წარმოება, მსუბუქი და კვების მრეწველობა; ქიმიური მრეწველობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება; სხვა დარგები - არაუმეტეს ოცდაოთხი თვისა. ეს ის ვადააა, რომელიც მსესხებელმა კრედიტის დასაბრუნებლად უნდა გამოიყენოს. პროგრამის ავტორების აზრით, ეს პროცესი განსაკუთრებულ პრობლემებთან არ იქნება დაკავშირებული. მთავარია, კრედიტორი საქმეს გონივრულად მიუდგეს.

# პროკურატურა პატიმრებს საქმეების გადასინჯვას ჰპირდება

თამარ კაკიტაძე

*დღეს პატიმართა შიმშილობის აქციის მეშვიდე დღეა. საქართველოს თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სავარაუდოდ, 4 ათასამდე პატიმარი შიმშილობს. თუმცა, რამდენი პატიმარი შეძლებს აქციის ბოლომდე შიმშილობის გაგრძელებას, ძნელი სათქმელია. ჩვენი ინფორმაციით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რამდენიმე ათეულმა ტუსაღმა შიმშილობა უკვე შეწყვიტა. რამდენიმე პატიმარს კი სამედიცინო დახმარება დასჭირდა და ისინი დაწესებულებების ადმინისტრაციამ სამედიცინო პუნქტებში გადაიყვანა.*

მიუხედავად ამისა, აქცია, რომლის სათავეებთანაც კრიმინალური სამყაროს ლიდერებს მიიაზრებენ, მაინც გრძელდება და ამ ეტაპზე უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ მან გარკვეული შედეგიც გამოიღო. გენერალურმა პროკურატურამ გენპროკურორის მოადგილის, ვენედი ბენიძის ხელმძღვანელობით, სპეციალური კომისია შექმნა. აქციის მონაწილეთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროკურორო კომისია საგამოძიებო ორგანოებთან პრეტენზიის მქონე ყველა პატიმრის საქმეს შეისწავლის და იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მიმართ კანონდარღვევებს აღმოაჩენს, საქმეებს ხელახალი შეფასებისთვის სასამართლოებს გადაუგზავნის.

მოხვდება თუ არა ამ საქმეებში იმ ე.წ. კანონიერი ქურდების საქმეები, რომლებიც ამ ბოლო დროს დააპატიმრეს და ქურდული ტრადიციების დამკვიდრებისთვის საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ძნელი სათქმელია. არადა, გავრცელებული ხმებს თუ დავუჯერებთ, დღევანდელი აქცია დაიგეგმა მოსკოვში, სწორედ კრიმინალური სამყაროს პრივილეგირებული წარმომადგენლების გასათავისუფლებლად.

სარწმუნო წყაროს ცნობით, თურმე ამჟამად პატიმრობაში მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდები ჩივიან - ფაქტზე თუ დაგვიჭერთ, დაგვაპატიმრეთ, ტყუილად იარაღს და ნარკოტიკს ნუ გვიდებთო (მეკახსენებთ, ბოლო დროს დაპატიმრებულ "ავტორიტეტებს" ბრალდებები, ძირითადად, სწორედ იარაღის უკანონო შენახვა და ნარკოტიკის გამოყენებაა). ქურდების პრეტენზიებს სამართალდამცველები რკინის ლოგიკას უპირისპირებენ - ე.წ. კანონიერი ქურდები დანაშაულის ფაქტებში უშუალოდ არ იღებენ მონაწილეობას და სხვებისათვის როგორ დავიჭიროთ. ერთი სიტყვით, თუ სამართალდამცველები "პრინციპულობას" მართლა შეინარჩუნებენ, არ არის გამორიცხული, რომ ქურდულ სამყაროსა და სამართალდამცველ ორგანოებს შორის ბოლო დროს განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა ვერც ერთი კვირის წინ დაწყებულმა აქციამ დაიცხროს.

კიდევ ერთი: ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებასთან ერთად, შიმშილობას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახლადდანიშნულ უფროსს – გიგლა აგულაშვილსაც უკავშირებენ. გავრცელებული ინფორმაციით, შავი სამყაროს წარმომადგენლებმა აგულაშვილს გარკვეული ულტიმატუმები წაუყენეს. თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე კრიმინალური სამყაროს პრეტენზიებზე არ საუბრობს, თუმცა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"მე შევხვდი პატიმრებს და ვუთხარი, რომ მათი მხრიდან ყველა სამართლიანი მოთხოვნის შემთხვევაში, გვერდით დავუდგები. მაგრამ, რაც შეეხება პენიტენციალურ სისტემაში წესრიგის და რეჟიმის დამყარებას, ეს ჩემი კომპეტენციაა და ისინი ვერ ჩაერევიან,"** – ამბობს აგულაშვილი.

თუმცა, ვიდრე ახალი თავმჯდომარე და, საერთოდ, იუსტიციის სამინისტრო პენიტენციალურ სისტემაში წესრიგის დამყარებას შეუდგება, ჯერ აქციის მშვიდობით დასრულებაზე ზრუნავენ.

გუშინ იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 და რუსთავის №1 და №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოშიმშილე პატიმრებს, უფრო სწორად, მათ წარმომადგენლებს გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის და სპეცკომისიის თავმჯდომარის ვენედი ბენიძის თანხლებით შეხვდა.

**"ჩვენ უკანონოდ ვართ დაპატიმრებულნი. პოლიციამ ნარკოტიკი ჩამიდო... პოლიციამ იარაღი დამიდო... პოლიცია მანქანის გატაცებისთვის ისეთ ხალხს იჭერს, ვინც მანქანის ტარება არ იცის. ციხიდან გასულებს პოლიცია მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევს - ან აგენტებად გახდომას გვაიძულებენ, ან ისევ ციხეში გვიშვებენ. ციხიდან გასულებს სამუშაოდ არავინ გვიღებს, მშიერი ხომ არ მოვკვდებით, იძულებულნი ვხდებით, მოვიპაროთ... თქვენ როგორ დაგვეხმარებით, თქვენ ხომ ჩვენს გამო იმ პოლიციელებს არ დაიჭერთ, ვინც ცხოვრება დაგვინგრია,"** –დაახლოებით ამ შინაარსის პრეტენზიების მოსმენა უხდებოდათ იუსტიციის სამინისტროს და გენპროკურატურის წარმომადგენლებს მოშიმშილე პატიმრებისგან.

**"გენპროკურატურაში შექმნილი კომისია მზად არის, პრეტენზიის მქონე ყველა პატიმრის საქმეს გადახედოს. იმ შემთხვევაში, თუ რეალურ დარღვევებს აღმოვაჩენთ, კანონის შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ და ასეთ საქმეებს სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის გადავგზავნით,"** – დაჰპირდა პატიმართა წარმომადგენლებს გენერალური პროკურორი, თუმცა, როგორც გაირკვა, პატიმრებმა პრეტენზია თავად საპროკურორო კომისიის შემადგენლობისადმი გამოთქვეს. მათ კომისიაში გენპროკურორის მოადგილის გიორგი თვალავაძის, სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარის გიგლა აგულაშვილის (როგორც ჩანს, ახალმა თავმჯდომარემ პატიმართა ნდობის მოპოვება უკვე მოახერხა) ჩართვა მოითხოვეს.

**"თუ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფო ავაშენოთ, პროკურატურაში შექმნილ კომისიას უნდა დავუჯეროთ. თუმცა, მე საგანგაშოს ვერც იმაში ვხედავ, თუ ამ კომისიაში სახალხო დამცველი ან არასამთავრობო ორგანიზაცია შევა. ჩვენ მართლა გვაინტერესებს, რა კანონდარღვევებია პატიმართა საქმეებში. მართალია, პროცესუალურად ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ თუ იქნება დარღვევები, მე, როგორც მოქალაქე, ჩემს პოზიციას აუცილებლად დავაფიქსირებ და სიმართლის მხარეს დავდგები,"** – აღნიშნა პატიმრებთან შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა, რომელიც, გენპროკურორთან ერთად, დღეს ქუთაისის საპყრობილეს ეწვევა.

■ ■ ■

გუშინ, გვიან ღამით, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს. ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების კომენტარი ვთხოვეთ იმ პიროვნებებს, ვის შეყვანასაც ითხოვდნენ პატიმრები მათი საქმეების შემსწავლელ კომისიაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი:

**"მოშიმშილეებთან შეხვედრისას პატიმრებს ვარწმუნებდით, რომ კომისიის მუშაობა ვერ იქნებოდა მოკლევადიანი, რადგან თითოეული საქმე მოითხოვდა შესწავლას. პატიმრებს ეშინოდათ, რომ კომისიის მუშაობა არ იქნებოდა ობიექტური და გამჭვირვალე, მაგრამ ამ დღეებში მათ დაიჯერეს, რომ მასმედია კომისიის მუშაობას აქტიურად გააშუქებდა. გუშინ საღამოს პატიმრებმა მოითხოვეს კომისიის გაფართოება და მასში სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის, გენერალური პროკურორის გიორგი თვალავაძის და ჩემი ჩართვა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა, აქციის წევრებმა შიმშილობა შეწყვიტეს. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო: აქცია, რა ფორმითაც უნდა მოეწყოს, იგი არ ნიშნავს, რომ რომელიმე პატიმრის უკანონო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. ეს მსჯავრდებულებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული."**

სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი:

**"აქციის შეწყვეტაში ჩემი დამსახურება არის ის, რომ პრეზიდენტამდე მივიტანე პატიმართა მოთხოვნა. მე ძალიან გამიხარდა, რომ მსჯავრდებულებმა, რომლებიც პროკურატურისადმი სკეპტიკურად არიან განწყობილნი, ნდობა გამოუცხადეს გენერალური პროკურორის ახალგაზრდა მოადგილეს გიორგი თვალავაძეს და ახლადდანიშნულ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს."**

გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი თვალავაძე:

**"მიმაჩნია, რომ პატიმრები საზოგადოების ისეთივე სრულფასოვანი წევრები არიან, როგორიც ჩვეულებრივი მოქალაქეები. მათი შეზღუდული უფლებები – ჩვენი შეზღუდული უფლებებია. მე, როგორც პროკურორი და მოქალაქე, პირობას ვიძლევი, რომ შევხვდები თითოეულ პატიმარს და მათ პრეტენზიებზე ობიექტურ და კანონიერ გადაწყვეტილებას მივიღებ."**



იუსტიციის მინისტრი პატიმართა პრეტენზიებს ყურადღებით ისმენს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

# პარიზი აცხადებს, რომ „ალ ქაიდას„ ბაზები საქართველოში გადმოინაცვლებს

პირველი გვერდიდან

**დარწმუნებულები ვართ, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება ყურადღების მოდუნება,"** - განაცხადა საფრანგეთის შს მინისტრმა. მისივე ინფორმაციით, ავღანეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, "ალ ქაიდას" ქსელი საკმაოდ დეზორგანიზებულია და ამიტომაც არ არის გამორიცხული, მათი ოპერატიული ცენტრები გადაადგილდნენ საქართველოსა და ჩეჩნეთის მიმართულებით.

მიუხედავად პარიზსა და ვაშინგტონს შორის არსებული დიპლომატიური კრიზისისა, ამ ქვეყნის სპეცსამსახურები კვლავინდებურად აქტიურად აგრძელებენ თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. **"ვაშინგტონსა და პარიზს შორის ანტიტერორისტული განხრით თანამშრომლობა ერთი დღითაც არ შეწყვეტილა,"** – განაცხადა სარკოზმა.

**"საქართველოს უშიშროების სამინისტრო და სხვა კომპეტენტური ორგანოები აკეთებენ ყველაფერს, რათა გამოირიცხოს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების პანკისის ხეობაში დაბრუნება. დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ სიტუაცია კონტროლდება და ამ ეტაპზე პრაქტიკულად გამორიცხულია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ტერორისტული ბაზების გადმოტანა და შექმნა,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა საქართველოს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, ავღანელთა ტერორისტული ბაზების გადმოტანა მოხდეს საქართველოს არაკონტროლირებად რეგიონში, კონკრეტულად - აფხაზეთში.

აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძე გავრცელებულ ინფორმაციას არ უარყოფს; მეტიც, მისი განცხადებით, **"ამ ინფორმაციას არა თუ ვეთანხმები, ეს რეალურად ასეა. აფხაზეთის ტერიტორია უკონტროლო ზონაა, სადაც თავი მოიყარეს სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებმა. იგი კარგა ხანია, ტერორისტებისა და კრიმინალთა თავშესაფრად იქცა. მეტიც, თამამად შემიძლია თქმა, რომ აფხაზეთი ახლა ტერორისტების ბუდეა; ამიტომაც ინფორმაცია, რომ შესაძლოა, "ალ ქაიდას" ბაზები აფხაზეთში იყოს გადმოტანილი, საკმაოდ რეალურად მეჩვენება, რადგან აფხაზეთის საზღვაო ტერიტორია ღიაა, აბსოლუტურად გაუკონტროლებელია და თუ "ალ ქაიდას" შეუძლია ბაზების გადმოტანა, ისე სხვა ტერორისტებსაც შეუძლიათ აფხაზეთში ყოველგვარი პრობლემის გარეშე შესვლა. ამის შესახებ არაერთხელ გავაკეთე განცხადება. ამიტომაც შეგიძლიათ, რომ ჩემი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით დაწეროთ: "ალ ქაიდას" ბაზების აფხაზეთში გადმოტანა რეალურად დასაშვებია."**

აფხაზეთის უშიშროების მინისტრის ინფორმაციით, აფხაზეთში თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების ტერორისტ-კრიმინალები ყალბი საბუთებით თავისუფლად გადაადგილდებიან.

**"ჩვენს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები ტერორისტთა შემოსვლისგან დაცულია, რასაც სამწუხაროდ ვერ იტყვი იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს იურისდიქციას არ ემორჩილება. რუსეთის მიერ შემოღებულმა პასპორტიზაციამ ძალიან შეუწყო ხელი კრიმინალიზაციის ლეგალიზებას. სხვადასხვა ქვეყნების მიერ ძებნილი ტერორისტები და კრიმინალები - ბიოგრაფიაშეცვლილები, ყალბი საბუთებით, თავისუფლად მოძრაობენ. ისინი, ძირითადად, რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან. რუსეთი მის მიერ დაკანონებული პასპორტიზაციის მძიმე შედეგს მალე მოიმკის."** აფხაზეთის უშიშროების მინისტრის განცხადებას საქართველოს უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას ინფორმაციაც ადასტურებს.

**"რეგიონი სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა თავშესაფრად და ისლამის რადიკალთა ძირითად დასაყრდენ ცენტრად იქცა. ისინი რუსული პასპორტებით არიან შეიარაღებულნი. ჩვენ მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან უნდა აღიკვეთოს კრიმინალისა და ტერორიზმის ექსპორტირება,"** - განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ. მისი თქმით, რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა საერთაშორისო ტერორიზმის მფარველობაში, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთი კრიმინალ-ვაჰაბიტებს, **"მათ შორის - არაბული ეთნოსის წარმომადგენლებსა და აფხაზეთის დანარჩენ მოქალაქეებს რუსულ პასპორტებს ურიგებს და ამით თავად ახდენს ტერორისტების საქმიანობის ლეგალიზებას,"** – ამბობს ვალერი ხაბურძანია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტრო არაკონტროლირებად რეგიონებში ჩასატარებელი ანტიტერორისტული ოპერაციების საიდუმლო გეგმას ამზადებს, რომელსაც განსახილველად წარუდგენს უშიშროების საბჭოს.

# მანქანის გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერმა ვენები გადაიჭრა

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებაში ავტომანქანის გატაცებაში ბრალდებულმა სამველ გრიგორიანმა გუშინ ვენები გადაიჭრა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი თევზაძის მტკიცებით, სამველ გრიგორიანმა ვერ გაუძლო ცემასა და წამებას, რასაც ადგილი ჰქონდა პოლიციის განყოფილებაში და ვენები პროტესტის ნიშნად გადაისერა.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი გოგი ნებიერიძე ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ სამველ გრიგორიანის ცემა-წამების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. რაიონული პოლიციის უფროსის მტკიცებითვე, გრიგორიანი ორი დღის წინ "ფაქტზე" დაიჭირეს.

**"გრიგორიანს პოლიციის განყოფილებაში საგამოძიებო მოქმედებას უტარებდნენ. დაკითხვისას გამომძიებლის მაგიდაზე იდო ფურცლის საჭრელი დანა, რომელსაც ბრალდებული უცებ დასწვდა და ვენების გადაჭრა მოასწრო",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გოგი ნებიერიძემ. მისი განმარტებით, გრიგორიანი ავტოგამტაცებელთა ერთ-ერთი ჯგუფის წევრია. მასთან ერთად ამ ჯგუფის სხვა წევრებიც დააკავეს. **"გრიგორიანი ბათუმის ქუჩაზე დავაკავეთ, როცა "მერსედესის" მარკის ავტომანქანის გატაცებას ცდილობდა. ადრე მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებით. რაც მთავარია, უკვე დადგენილია მის მიერ ავტომანქანების გატაცების ადრინდელი ფაქტებიც. გრიგორიანმა, ჯგუფის სხვა წევრებთან – თორნიკე ცაგურიასთან და მიხეილ სვანიძესთან ერთად, რომლებიც უკვე დაკავებულები არიან, ცოტა ხნის წინ ვლადიმერ ჩხარტიშვილს ძალის გამოყენებითა და მუქარით წაართვა "მერსედეს-200" და გატაცებული მანქანა მარნეულის რაიონში მხოვრები ახლობლის ავტოფარეხში გადამალა,"** – აცხადებს ნებიერიძე.

ჩვენი ინფორმაციით, სამველ გრიგორიანს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა გუშინ შეუფარდა. ბრალდებულმა ვენები სწორედ ამის შემდეგ გადაიჭრა. ვენებგადაჭრილ პატიმარს მეცხრე საავადმყოფოს ექიმებმა აღმოუჩინეს დახმარება და გუშინვე სამართალდამცველებმა იგი საავადმყოფოდან მეხუთე საპყრობილეში გაამწესეს.

*"24 საათი"*

# თურქული გემი აუქციონზე იყიდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

რამდენიმე დღის წინ აჭარის საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს საზღვაო დივიზიონმა თურქული დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი "სევე" დააკავა. ქრთველი მესაზღვრეები "სევეს" ბრალს სდებენ საზღვრის უკანონო გადმოლახვასა და ნაოსნობის წესების დარღვევაში.

ჩვენი ინფორმაციით, "სევე" დატვირთული იყო 1500 ტონა საკვები ზეთით და მასზე 12-კაციანი ეკიპაჟი იმყოფებოდა. დაკავებისას ეკიპაჟის წევრებს ქართველი მესაზღვრეებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თუმცა არ არის გამორიცხული, დარღვევების გამო ქართული მხარის მიერ თურქული დროშის ქვეშ მცურავი ტანკერის მიმართ წაყენებული ბრალდებები, რომელთა მიხედვითაც, საზღვრის დამრღვევებს ჯარიმის გადახდა ეკისრებათ, "სევეს" მეპატრონემ სასამართლოს წესით გაასაჩივროს. ჩვენი ინფორმაციით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ მიღებული დაჯარიმების დადგენილება დაკავებული გემის კაპიტანს რამდენიმე დღის წინ გადაეცა.

ის ბრალდებები, რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა თურქულ გემს წაუყენეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, 50 ათასიდან 200 ათასი ლარის ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს. გასაჩივრებისთვის თურქულ მხარეს სამი დღის ვადა დარჩა. გაასაჩივრებს თუ არა "სევე" ქართველი მესაზღვრეების გადაწყვეტილებას ჯარიმის დაკისრების შესახებ, ჯერჯერობით, უცნობია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ქართველმა მესაზღვრეებმა საზღვრის დამრღვევი თურქული გემი "შექერ-ბაბა" მეორედ დააკავეს. თუკი ორი წლის წინ "შექერ-ბაბას" ეკიპაჟის წევრებს ფოთი-გონიოს საზღვარზე უკანონო თევზჭერისას ქართველი მესაზღვრეებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და მოგვიანებით დაკისრებული 100-ლარიანი ჯარიმაც გადაიხადეს, მეორედ დაკავებისას მათი" ადვილად დამორჩილება შეუძლებელი გახდა. საზღვრის უკანონოდ გადმომლახავი თურქული დროშით მოცურავე სეინერი ქართველ მესაზღვრეთა გამაფრთხილებელ სიგნალს არ დაემორჩილა და სხვადასხვა მანევრირებით აფხაზეთის მიმართულებით აიღო გეზი. სეინერის შეჩერება მესაზღვრეებმა მხოლოდ ცეცხლის გახსნის შემდეგ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ გემზე არავინ დაშავებულა, აფხაზურმა მხარემ მეორე დღესვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურქულ სეინერს ნეიტრალურ წყლებში ქართული სამხედრო გემის წევრები დაესხნენ თავს. მაშინ აფხაზებმა ქართველი მესაზღვრეების მოქმედება "პირატობად" მონათლეს და ქართულ მხარეს ბრალდებებიც წაუყენეს. მოგვიანებით სიმართლე გაირკვა და საზღვარზე უკანონოდ გადმოსულ "შექერ-ბაბას" ქართული მხარისთვის ჯარიმის სახით 200 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, "შექერ-ბაბას" კი ჯარიმა ჯერაც არ გადაუხდია.

სწორედ ამის გამო, ქართული კანონმდებლობისა და კონსტიტუციის შესაბამისად, "შექერ-ბაბა" უკვე აუქციონზე გაყიდვას ექვემდებარება. ჩვენი ინფორმაციით, "შექერ-ბაბა" 130 ათას ლარად არის შეფასებული, ამ თანხის 30 პროცენტი კი ქართველ მესაზღვრეებს ეკუთვნით.

# მოსამართლეებს მანტიები გახადეს

სამი მოსამართლე ქვეყნის პრეზიდენტმა მანტიის გარეშე დატოვა. ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის ალექსანდრე ჩხეიძის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ქეთევან ბახტაძის და თბილისის ისანი-სამგორის სასამართლოს მოსამართლის კობა ქამხაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ამ გადაწყვეტილებით, ქვეყნის პირველი პირი დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კომისიის მიერ ორი თვის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქმე ისაა, რომ სადისციპლინო კომისიამ სამივე მოსამართლის საქმიანობა შეისწავლა და თემიდას მსახურთა მოღვაწეობაში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა.

გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობიდან მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევისა და ერთ-ერთ საქმეზე სასჯელის აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებით გათავისუფლდა. გარდა ამისა, ალექსანდრე ჩხეიძის მიმართ ქრთამის აღების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არის აღძრული გენერალურ პროკურატურაში, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის გადაცემა „60 წუთის" საფუძველზე.

რაც შეეხება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ქეთევან ბახტაძეს, მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა მსჯავრდებულთათვის სასჯელის გადავადების შესახებ უკანონოდ გამოტანილი გადაწყვეტილებები. როგორც გაირკვა, ბახტაძემ სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევით, სასჯელი გადაუვადა მკვლელობისთვის მსჯავრდებულ ერთ-ერთ პირს, რომელსაც ჯერ სიკვდილით დასჯა, ხოლო ამ სასჯელის გაუქმების შემდეგ, 15-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მოსამართლე ბახტაძის საქმიანობის შესწავლისას სადისციპლინო კომისიამ დაადგინა, რომ მას ამ სახის არაერთი გადაწყვეტილება ჰქონდა გამოტანილი.

ისანი-სამგორის რაიონის მოსამართლეს კობა ქამხაძეს მიწის ნაკვეთების უკანონოდ დამტკიცებისთვის დაატოვებინეს თანამდებობა. როგორც გაირკვა, ქამხაძემ ის საქმეები, რომლებიც მიწის ნაკვეთებს ეხებოდა, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურების წესით (უდავო წარმოების წესით) განიხილა. კანონით კი მსგავსი საკითხები სასარჩელო წესით იხილება.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კომისიის მიერ ცოტა ხნის წინ დანაშაულში მხილებული მოსამართლეები პრეზიდენტმა საბოლოოდ დაითხოვა. თანამდებობიდან გათავისუფლებულ მოსამართლეებს ამ თანამდებობის ხელმეორედ დაკავებას კანონი უკრძალავს.

*"24 საათი"*

# ინგუშეთში დუისელი ქისტი დააკავეს

ინგუშეთის სუნჟენის რაიონში დააკავეს რუსლან გელაევის ბანდის წევრი. რუსეთის შსს-ს განცხადებით, საქართველოს მოქალაქე, 36 წლის ალექსი მაჩალიკაშვილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გუშინ დილით, კარაბულაკის ბაზრის სიახლოვეს დააკავეს. იგი ეჭვმიტანილია სხვადასხვა მძიმე დანაშაულში.

რუსეთის შსს-ს პრესცენტრის განცხადებით, დაკავებული ეჭვმიტანილია 2002 წლის სექტემბერში, ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გილაევის რაზმთან ერთად, რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გადალახვაში და გალაშკის დასახლებულ პუნქტთან რუს სამხედროებთან მომხდარ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაში. დაკავებულისაგან ამოღებულია პასპორტი, რომელიც გაცემულია გროზნოში მცხოვრებ ალხაზ ბაცაევის სახელზე. რუსეთის შსს ამოწმებს ინფორმაციას, თუ რამდენად მძიმე კატეგორიის დანაშაულები აქვს ჩადენილი მაჩალიკაშვილს.

ჯერჯერობით, საქართველოს უშიშროების სამინისტროს რუსი კოლეგებისგან დაკავებულის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიუღია. თუმცა, უშიშროების სამინისტრო აცხადებს, რომ მაჩალიკაშვილის დაკავებაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ჩეჩნეთში იჩქერიის დამოუკიდებლობისათვის ბევრი ქისტი იბრძოდა. **"ჩვენი ინფორმაციით, მაჩალიკაშვილი დუისელია. იგი ეთნიკური ქისტია და გილაევის რაზმის წევრი იყო. მართალია, რუსი სამართალდამცველებისგან მისი დაკავების შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია, მაგრამ ჩვენი ოპერატიული მონაცემებით შევიტყვეთ მისი დაკავება. ცნობილია ისიც, რომ ამჟამად რუსი კანონდამცველები მაჩალიკაშვილის ვინაობის იდენტიფიკაციაზე მუშაობენ,"** – განაცხადა უშიშროების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა.

# შვედეთის ქართული სათვისტომო სოლიდარობას უცხადებს "კმარას"

ქალბატონებო და ბატონებო!

კმარა უმოქმედობა!

ეს ახალგაზრდები არიან საქართველოს ავანგარდი!

ყველამ უნდა გაიზიაროს და გვერდით დაუდგეს საქართველოს მომავალს, მის ახალგაზრდობას. შვედეთში მცხოვრები ქართველები და პირადად მე - სათვისტომოს თავმჯდომარე, სოლიდარობას ვუცხადებთ საქართველოს პროგრესულ ახალგაზრდობას!

"კმარა" თქვენი შვილები არიან, რომელთაც მობეზრდათ თქვენი უმოქმედობა. ისინი მოითხოვენ მხოლოდ ლამაზ მომავალს. ჩვენი - უფროსების - ვალდებულებაა შვილებს, სტუდენტებს ამოვუდგეთ გვერდში და არ დავაჩაგვრინოთ ეს ბავშვები კორუმპირებულ, კრიმინალურ და ნარკომანების ჯგუფს, მოკალათებულს პოლიტიკურ ელიტაში.

რა არის "კმარა"?

"კმარა" არის მოძრაობა, რომელიც უპირისპირდება ქვეყანაში გაბატონებულ მანკიერებებს (კორუფციას, არჩევნების გაყალბებას, გაუნათლებლობას, წაგების სინდრომს) და ცდილობს, საკუთარი აქტიურობით ხალხის სასიკეთოდ შეცვალოს ეს ყველაფერი. "კმარას" მიზნებია: 1. საკუთარი საქმიანობით გაააქტიუროს მოსახლეობა; 2.აიძულოს ხელისუფლება უზრუნველყოს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება; 3.აიძულოს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, შეასრულოს წინასაარჩევნოდ გაკეთებული დაპირებები.

ვინ არიან კმარას წევრები?

"კმარა" არ არის რეგისტრირებული ორგანიზაცია და არ მოითხოვს ოფიციალურ წევრობას. მისი აქტივისტები არიან ახალგაზრდები, რომლებიც არ ეგუებიან ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და ხმამაღლა გამოხატავენ საკუთარ პროტესტს. ყველას, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში ბევრი რამეა შესაცვლელი და მზად არის აქტიურად დაიცვას საკუთარი უფლებები, შეუძლია შეუერთდეს "კმარას".

ვინ აფინანსებს "კმარას"?

"კმარას" საქმიანობას, მისივე აქტიური წევრების დანაზოგებითა და შემოწირულობებით თითოეული ჩვენთაგანი ახორციელებს.

ვინ მართავს "კმარას"?

"კმარას" მართავს ის პროტესტის გრძნობა, რომელიც თითოეულ საღად მოაზროვნე ადამიანს უნდა გააჩნდეს.

*პატივისცემით ქართული*
*სათვისტომოს თავმჯდომარე*
***მარინა-მარია აქსელი***

# "კმარა" გორში

ვასილ გულეური
გორიდან

ეს ორი დღეა წარწერები "კმარა" გორის ქუჩებშიც გამოჩნდა. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა ცენტრალურ მოედანზე, სტალინის ძეგლისა და რაიონის გამგეობის შენობის გარშემო.

ეს თემა გახდა კამათის ძირითადი საგანი სტუდენტი-ახალგაზრდობის შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებიც.

**"კმარა" გაჩნდა თბილისში, სამტრედიაში, ქუთაისში, ახალციხეში...** - განაცხადა ლევან რამიშვილმა, - **ეს ნიშნავს ჩვენი საზოგადოების გააქტიურებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სადაც შევნიშნავთ მოსახლეობის აქტივობას, ჩვენც იქ ვჩნდებით, რათა უფრო გავააქტიუროთ ხალხი და პატარ-პატარა მოქმედებით რწმენა დავუბრუნოთ მათ."**

შეხვედრის მონაწილეთა ერთი ნაწილი პროტესტის ამ ფორმას მიუღებლად მიიჩნევს. **"მართლაც "კმარა", მაგრამ შეიძლებოდა ჩვენი უკმაყოფილება სხვა ფორმებით გამოგვეხატა,** - აღნიშნა გორის საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა მიხეილ ჩიტაძემ.

**"უკმაყოფილების ასეთი სახით გამოხატვას აზრი არა აქვს. ხვალ რომ მომავალმა თაობამ უარესი ნახატებით "დაამშვენოს" გზები, ლამაზი არ იქნება,"** - ამბობს სტუდენტურ-ახალგაზრდული ალიანსის წარმომადგენელი გიორგი გამყრელიძე.

ამავე აზრისაა გორის რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ამირან გიგუაშვილიც, რომელიც ხელისუფლების მიერ ხშირად გამოთქმულ ბრალდებას იმეორებს: **"ჩატარდება არჩევნები, მობრძანდენ და იქ დააფიქსირონ საკუთარი "კმარა". ქვეყანაში არსებული მდგომარეობაც, რომლის წინააღმდეგ ახლა ილაშქრებენ, ისევ მათი შექმნილია. არსებული სიტუაცია მათი დამსახურებაა, დღეს რომ ოპოზიციურ პარტიებს დიდი მონდომებით უდგანან სათავეში"**.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის თავმჯდომარე სოსო ბორცვაზე კი პროტესტის უფრო მწვავე ფორმების მოხრეა: **"კმარა ტყუილი დაპირებები, კმარა უამრავი რამ, მაგრამ "კმარა" რბილი ნათქვამია."**

"ანტიკორუფციული კავშირის" და "ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის წარმომადგენლები ამ წარწერებს პროტესტის დასაწყისად მიიჩნევენ და მომავალში უფრო აქტიურ ქმედებებს გეგმავენ.

*გამოხმაურება*

# გაუგებრობის განმარტებისათვის

**"ხავსი, რომელიც არასამთავრობოთა ნაწილმა გადაუგდო ხელისუფლებას"** - ასეთი სათაურით გამოაქვეყნა თქვენმა გაზეთმა 5 მაისის ნომერში ბადრი კოპლატაძის სტატია. სტატიის ავტორი ასეთ "ხავსად" მიიჩნევს ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ წინადადებას დეპუტატთა რიცხვის 235-დან 150-მდე შემცირების შესახებ და ამ საკითხზე პრეზიდენტისათვის რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნას.

ჩვენი ინიციატივის ამგვარი ინტერპრეტირება გვაფიქრებინებს, რომ სტატიის ავტორს ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის, თუ რა გარემოებამ გვაიძულა ჩვენ ამგვარი მოთხოვნით გამოსვლა. ამიტომ ძალზე მოკლედ ჩვენი ინიციატივის თაობაზე:

კონსტიტუციის მიღების შემდეგ ჩატარებულმა 2 მოწვევის პარლამენტის მუშაობამ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 235 წევრის არსებობა ხელს უშლის ამ ორგანოს ეფექტურ მუშაობას. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს პარლამენტი ფაქტიურად ქმედუუნარო ორგანოა, რომელიც ვერ ახორციელებს მასზე დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს მოვალეობებს;

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შექმნილი სიტუაცია, კერძოდ ცალკეულ ფრაქციებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირების ტრაგიკომიკური ფორმები და მეთოდები უმძიმეს დარტყმას აყენებს როგორც დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ასევე ზოგადად ქართულ სახელმწიფოებრიობას;

საქართველოში დღეს რეალურად არ არსებობს პროფესიონალ პოლიტიკოსთა ფენა, ამიტომ პარტიები იძულებულნი არიან, ხელოვნურად გაზარდონ თავიანთი საარჩევნო სიები და შეიყვანონ მასში ის კანდიდატები, რომელთაც პოლიტიკასათან საერთო არაფერი აქვთ;

თუ შევადარებთ რაოდენობრივად ჩვენი ქვეყნის თანაბარი მასშტაბის სხვა სახელმწიფოებს, დავინახავთ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობის საკანონმდებლო ორგანოები გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობის წევრებისაგან შედგებიან;

ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზეზი პარლამენტის წევრთა რიცხვის არაგონივრულად გაზრდილი რაოდენობაა და ეს არაერთხელ დაუფიქსირებიათ როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს, თუმცა, ამ მიმართულებით რეალურად დღემდე არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა, რადგან ეს დღეს არც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესში არ შედის.

ახლა რაც შეეხება ჩვენს მიმართ გამოთქმულ ეჭვებსა და ბრალდებებს. თურმე არჩევნების და რეფერენდუმის ერთდროულად ჩატარების პერსპექტივა კანცელარიისათვის მოვლენათა განვითარების მომხიბვლელი პერსპექტივაა და სახელისუფლებო ძალებს ეს საშუალებას მისცემს შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანონ აქცენტები სულ სხვა მიმართულებით". ამას მოსდევს იმის მტკიცება, თუ რა კარგია მრავალრიცხოვანი პარლამენტი პარტიული და დემოკრატიული ცხოვრებისათვის. თურმე "სხვა დროს და სხვა პირობებში ასეთი ინიციატივა შეიძლება სრულიად სხვაგვარად ყოფილიყო აღქმული, მაგრამ არჩევნების წინ სრულიად სხვა შეფერილობას იღებს". ასეთ რთულ სიტუაციაში ავტორი მაინც "გვინდობს" და არ გამორიცხავს, რომ დეპუტატთა რაოდენობის შემცირების საკითხის დაყენება ჩვენი "შეცდომაა" (ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს "შეცდომა" ვინმეს წინასწარ ჩაფიქრებული განზრახვა არ იქნება").

ამრიგად, ჩვენ ეჭვმიტანილი ვართ კანცელარიის დავალების (უკეთეს შემთხვევაში, მათი ინტერესების დაცვის) შესრულებაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სტატიის ავტორის სახით "ბრალმდებლად" ის მხარე გამოდის, ვინც დღე და ღამე გაუყალბებელი არჩევნების ჩატარებაზე ზრუნავს და სხვა რამეზე კრინტის დაძვრასაც კი სამოქალაქო საზოგადოების ღალატად და ხელისუფლების მხარდაჭერად აცხადებს. მათ გასაგონად გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

1. ხელისუფლება რომ ამორალური, უნიათო და უპერსპექტივოა, ამას არა მხოლოდ ბოლო ათწლეულში წარმოებული მისი ანტიხალხური პოლიტიკა, არამედ ის უგუნური რეაქციებიც ადასტურებს, რომელიც მათ თუნდაც უკანასკნელ პერიოდში გამოხატეს (იგივე "კმარას" რუსული კვალის ავადმყოფური ძიებით, სტუდენტთა აქტივობებთან კომუნისტური მეთოდებით ბრძოლით და ა. შ.). ხელისუფლება რომ არჩევნების გაყალბებას შეეცდება, არც ამას უნდა დიდი მტკიცება, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაყალბებას ასევე შეეცდება არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი პოლიტიკური (მათ შორის ოპოზიციური) პარტია, მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამის მდიდარი გამოცდილება გააჩნია. სწორედ იმიტომ, რომ კვლავაც არ მოხდეს პარტიების გარიგებები არჩევნების გაყალბებაში, ჩვენ გამოვდივართ ცენტრალური საარჩევნო კომისიის არაპარტიული პრინციპით დაკომპლექტების ინიციატივით. ამავე პოზიციას ბოლო დრომდე იზიარებდა მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მათ რატომღაც პოზიცია შეცვალეს და ახლა აქტიურად უჭერენ მხარს ცესკოს პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას.

2. ჩვენმა ორგანიზაციებმა სწორედ გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნეს კოალიცია, ჩვენ ყველა დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციას მოვუწოდეთ გაერთიანებისაკენ და საარჩევნო პროცესის მიუკერძოებელი მონიტორინგის წარმოებისაკენ. ასე რომ, გაუყალბებელი არჩევნებისათვის მონიტორინგის აუცილებლობის მტკიცება ჩვენ ნამდვილად არ გვესაჭიროება. უზრალოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის განსხვავება ის არის, რომ მათი ნაწილი ღიად უჭერს მხარს ხელისუფლებას, ნაწილი – ოპოზიციას, მათგან ყველა გაუყალბებლი არჩევნების აუცილებლობაზე ლაპარაკობს, მაგრამ პოლიტიკური ძალების დანამატებად ქცეული არასამთავრობოებისათვის გაყალბებად მხოლოდ მათი მეტოქეების გაყალბებები ითვლება, თორემ მათი ფავორიტი პარტიების ნებისმიერი უკანონო მოქმედება გამართლებულია (რადგან თურმე ის მეტოქესთან შედარებით "სუფთა ძალაა" და ეს ძალა ნებისმიერი გზით უნდა დატოვონ ან მოიყვანონ ხელისუფლებაში). ჩვენთვის კი არჩევნების გაყალბების საფრთხე ხელისუფლებისგანაც და ყველა სხვა პარტიისაგანაც არსებობს. ჩვენთვის მთავარია ამჟამინდელი არჩევნების შედეგებმა მაინც რეალურად ასახოს ამომრჩეველთა განწყობა, თორემ აქამდე ჩატარებულ არჩევნებში რომ მოსახლეობის უმრავლესობის ნება არ იყო გამოხატული, ეს დიდი ხანია, ყველასათვის ცნობილია.

3. პრეზიდენტმა ფაქტიურად უარი განაცხადა დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნაზე. ამდენად, მან არ ჩათვალა ჩვენი წინადადება მისთვის გადაგდებულ "ხავსად" და არ შეეცადა, როგორც ავტორი აღნიშნავს, "ასეთი პრიმიტიული ლოგიკით მისთვის უმძიმესი არჩევნების წინ ფონს გასვლას". პრეზიდენტისა და სტატიის ავტორის პოზიცია სავსებით დაემთხვა ერთმანეთს, რადგანაც პრეზიდენტი ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტი დეპუტატი იქნება პარლამენტში (და არა ქუჩაში), მით უფრო ადვილი იქნება პარლამენტის მართვა (დეპუტატების მოსყიდვა, დაშინება და მათით მანიპულირება). მით უმეტეს, რომ ახალ სახელისუფლებო ბლოკში შესული მრავალი პარტია და პიროვნება პრეზიდენტსაც ისევე ჰყავს დასაკმაყოფილებელი, როგორც სხვა პარტიათა ლიდერებს.

4. გაუგებარია, რატომ უნდა შეუშალოს ხელი არჩევნების პარალელურად დეპუტატთა რიცხვის შემცირების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებამ. პირიქით, ეს იქნება სავსებით რეალური და მისაღები, თუნდაც იმიტომ, რომ ეს კანონი ამუშავდება მხოლოდ 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ამდენად, არც სტატიის ავტორს, არც პრეზიდენტს და არც პოლიტიკური პარტიების სხვა ლიდერებს არ ექნებათ იმის შიში, რომ ამ არჩევნებზე ვერ დააკმაყოფილებენ პარტიის აქტივისტთა გაზრდილ მადას და ვერ მისცემენ შეპირებულ სადეპუტატო ადგილებს თავიანთი პარტიების აქტივისტებს.

კოალიციის წევრი ორგანიზაცების წარმომადგენლებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ პოლიტიკური ძალების მხრიდან საკუთარი მოთხოვნის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი ინიციატივა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის (მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების) მხარდაჭერას მოიპოვებს და იგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ სამწუხარო ტრადიციის ფონზე, როდესაც ყოველი ახალი პარლამენტი მის წინამორბედზე უარესია. მით უფრო სამწუხაროა, რომ თქვენი გაზეთის 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ზემოხსენებული სტატია პარლამენტის წევრთა რიცხვის შემცირების იდეის დისკრედიტაციისაკენ არის მიმართული. ამიტომ, რადგანაც ჩვენმა ინიციატივამ ასეთი "შორსმიმავალი ეჭვები" დაბადა, ვაცხადებთ, რომ მზად ვართ აღნიშნულ თემაზე ყველა დაინტერესებულ მხარესთან მივიღოთ მონაწილეობა დისკუსიაში (როგორც მასმედიის საშუალებებით, ასევე სხვადასხვა შეხვედრებზე მრგვალ მაგიდებთან თუ პირადი შეხვედრების დროს).

**პატივისცემით,**
**არასამთავრობო ორგანიზაციები:**

"ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" - **ნანა კაკაბაძე**
"კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" - **გივი მიქანაძე**
"21-ე საუკუნე" - **პაატა გაჩეჩილაძე**
ქალთა კლუბი "პეონი" - **ნატო შავლაყაძე**
"თავისუფალი ინფორმაციის ასოციაცია" - **თეა კორძაია**
"საქართველოს საქმიანი ქალები" - **მაკა ხვიჩია**
ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ცენტრი "თემიდა" - **ლევან ისახანიანი**
"ფარნი" - **ინგა ბიგანოვა**
მედია-კლუბი - **გია იაკობაშვილი**
"ევროატლანტიკურ ინიციატივათა ცენტრი" - **მამუკა ნებიერიძე**
"დემოკრატიის განვითარების ცენტრი" - **ვანო ცერცვაძე**

**P.S. გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს:**

საკითხის აქტუალურობისა და წერილის მცირე მოცულობის გამო იმედს გამოვთქვამთ, რომ მას გამოაქვეყნებთ უცვლელად. იმ შემთხვევაში, თუ გაზეთს არ გააჩნია წერილის სრულად გამოქვეყნების საშუალება, გთხოვთ ყოველგვარი შემოკლება შეათანხმოთ ავტორებთან, ხოლო დაბეჭდვაზე უარის შემთხვევაში ამის მიზეზები აცნობოთ ავტორებს.

***რედაქციისგან:*** *წერილი იბეჭდება უცვლელად.*



www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

# არჩევნების სამართლიანად ჩატარების გასაღები ოპოზიციის ხელშია

## დესტაბილიზაციის გზით სიარული ამ მთავრობას აჯანყებამდე მიიყვანს

მაია ჭალაგანიძე

*ზუსტად ერთი წლის წინ, 3 მაისს, თანამდებობიდან მოხსნილმა ფინანსთა მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა, პრესასთან გამოსამშვიდობებელი პრეს-კონფერენცია მოაწყო. მას შემდეგ ის ბიზნესს მოეკიდა და საკუთარ თავზე იწვნია მისი მინისტრობისას მიღებული საფინანსო კანონების ავიცა და კარგიც. მან თავის ქართველ პარტნიორებთან ერთად საკონსულტაციო ფირმა შექმნა და საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო სტრუქტურებს საფინანსო, მართვის მენეჯმენტის და იურიდიულ საკითხებში უწევს კონსულტაციებს. ახლა ნოღაიდელი ხელისუფლებაში არ არის, მაგრამ მშობლიური სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით საზოგადოებას ძალზე მძიმე საფინანსო სურათს აცნობს. როგორც ჩანს, აქტიური პოლიტიკიდან წასული ზურაბ ნოღაიდელი სერიოზულად შეურაცხყო აწ უკვე თავგატეხილი მთავარი სოციალისტის მიერ გამოთქმულმა ფერწერულმა შედარებებმა, რამაც მისი პოლიტიკაში დაბრუნება დააჩქარა... ყოფილი მინისტრი კონკრეტული ინფორმაციითა და განახლებული შემართებით ბრუნდება პოლიტიკაში.*

**- რატომ დაუფრთხეთ ძილი მშობლიურ სამინისტროს? როგორც ამბობენ, თქვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს მთელი სამინისტრო დააფრიალებს...**

- ეს კითხვა, ალბათ, ბევრს გაუჩნდა. პარტნიორებთან ერთად გვინდა, გავაცნობიეროთ საზოგადოება, თუ რა ხდება საქართველოს ფინანსურ პოლიტიკაში. როცა ვიწყებდი ამ პროექტზე მუშაობას, ვიცოდი, რომ როგორც ყოფილი ფინანსთა მინისტრი, სამინისტროს მიმართ გარკვეულწილად სუბიექტური ვიქნებოდი.

**- სიყვარულით თუ სიძულვილით?**

- სიყვარულით, რა თქმა უნდა... ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, როგორ შეხვდებოდა საზოგადოება ამ პუბლიკაციებს, რამდენად ირწმუნებდა მონიტორინგის ობიექტურობას. თავიდან შედარებით მსუბუქად დავიწყეთ და აქცენტი იმაზე გავაკეთეთ, რომ ფინანსთა სამინისტროსთვის და სხვა უწყებებისთვის მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მიგვეცა. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ინფორმაცია და კომენტარები კომპეტენტურია. სამწუხაროდ, სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მდგომარეობა მხოლოდ უარესობისკენ იცვლება.

**- რატომ?**

- დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში განხორციელებული სოციალური ხარჯების შედარებით გვიან დაფინანსების ტენდენცია ქვეყნისთვის უარყოფით შედეგებს მოიტანდა...

აგრარული, ჯანდაცვისა და განათლების პროგრამები ჩემი მინისტრობისას უმთავრესი პრიორიტეტები იყო. 2002 წლის ბიუჯეტში ამ დარგების დაფინანსება შემცირდა. სამაგიეროდ, დაფინანსდა ვალების დაფარვის პროგრამა. ეს იყო გაუარესების ტენდენციის დასაწყისი. წელს ამან სახიფათო მასშტაბები მიიღო.

**- ერთი სახის პროგრამების დაფინანსების შემცირება, მეორის გაზრდა - რას ნიშნავს, რა ლოგიკის ნაწილია?**

- ეს ეყრდნობა მხოლოდ თანამდებობის შენარჩუნების სურვილის ლოგიკას. დღეს ფინანსურ პოლიტიკაში მთავრობის ერთადერთი პრიორიტეტი ბიუჯეტის ქაღალდზე შესრულებაა, რათა პარლამენტში განხილვების დროს ნაკლები სალაპარაკო მისცეს ოპოზიციას და თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაიხანგრძლივოს. სხვა პრიორიტეტი ამ ხარჯებში არ ჩანს.

როდესაც მთავრობა ლტოლვილთა შემწეობების დაგვიანებას ბედავს - აღარაფერზე საუბარი აღარ შეიძლება. დღეს აპრილის სოციალური ფონდის ტრანსფერის ნაწილი დაფინანსებული არ არის. პირველი კვარტლის ხარჯების გეგმა ბოლომდე არ შესრულებულა, პრიორიტეტები და ხარჯების პოლიტიკა საერთოდ არ ჩანს.

**- პროგნოზირება თუ შედის თქვენს კომპეტენციაში, სადამდე მიგვიყვანს ეს პოლიტიკა? თუ არის შესაძლებელი დარჩენილ საფინანსო პერიოდში ვითარების გამოსწორება?**

- რა თქმა უნდა, შეიძლება...

**- ოღონდ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ პერიოდს არჩევნებიც ემთხვევა და აქ მრავალი „გაუთვალისწინებელი" ხარჯი გამოჩნდება...**

- არა, ეს მთავრობა ვერაფერს გამოასწორებს. მთავარი გადასახადების ამოღება და ნორმალური საინვესტიციო გარემოს შექმნაა... დღეს კი მთავრობა პირიქით მოქმედებს - ინვესტიციებს ებრძვის. განსაკუთრებით ემტერება უცხოურ ინვესტიციებს - „ეი-ი-ეს თელასს", „კასტელი-საქართველოს", ავიაკომპანიებსა და ა.შ.

მეორეს მხრივ, მთავრობა „ურჩი" გადამხდელების სიას აქვეყნებს. ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ კიდეც, რომ ამ სიის გამოქვეყნებას არაფერი მოჰყვებოდა. თუმცა, შევცდით - კონცენტრირება სწორედ უცხოელ ინვესტორებზე მოხდა. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ მთავრობა ამას გაბედავდა, რადგან ეს მისთვის ხარაკირის ტოლფასია.

„ურჩი" გადამხდელების სიის გამოქვეყნებას ორი ხელშესახები შედეგი მოჰყვა - სააღდგომოდ გაზი გაითიშა და წყალკანალსა და მეტროს სამი საათით შეუწყდა შუქის მიწოდება. აი, ამას მიაღწია მთავრობამ თავისი უგუნური მოქმედებით. ეს იყო მესიჯი „ურჩი" გადამხდელების მიმართ - ან პოლიტიკური გარიგებით, ან, მარტივად, ქრთამების გადახდით მოაგვარეთ თქვენი ურთიერთობებიო... მოგვარდა კიდეც. აპრილის შედეგებს (რომელიც გამოქვეყნებული არ არის და რამდენ ხანს უნდა ითამაშონ კუკუდამალობანა, არ ვიცი) თუ გადავხედავთ, სურათი ნათელი გახდება - რეალურ ურჩ გადამხდელებს გადასახადების გადასახდელად საერთოდ არ სცალიათ, რადგან პოლიტიკური ბლოკების ფორმირებით არიან დაკავებული.

**- არჩევნებამდე თუ არის შესაძლებელი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება? თქვენი აზრით, რატომ ებრძვის მთელი ხელისუფლება „ეი-ი-ეს"-ს?**

- კანცელარია, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი ადგილიდან მართვადი „ლეიბორისტები" „ეი-ი-ეს"-ის წინააღმდეგ თელასის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან. დაახლოებით შემიძლია წარმოვიდგინო, ვის შეიძლება ჰქონდეს ინტერესები ამ სფეროში. „კასტელის," სხვა უცხოური კომპანიების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა - დაკვეთაა, რათა ამ სფეროების მონოპოლიზაცია, ფასის გაზრდა და გაუარესება მოხდეს. „კასტელი-საქართველოს" მეპატრონეა კომპანია BIG - მსოფლიოში სიდიდით მეორე ჩამომსხმელი კომპანია „კოკა-კოლას" შემდეგ... ამ დიდ კომპანიებთან ბრძოლით მთავრობა სხვა ინვესტორებს აფრთხილებს და ეს ნაბიჯები საქართველოს საგადასახადო ბაზის, თითქმის, 450 მილიონი ლარით შევიწროებას გამოიწვევს. ეს არის გარიგება ქვეყნისა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ.

**- მთავრობა ზოგადი სიტყვაა. ეს ადამიანებიც ხომ ამ ქვეყნის შვილები არიან და ძნელი წარმოსადგენია, ისინი ამგვარ გათვლებს აკეთებდნენ...**

- თუნდაც, ბოლო მოვლენები ავიღოთ. მაგალითად, საგადასახადო კოდექსის იმ ფორმითა და შინაარსით მიღება, რაც მრეწველების თაოსნობით მომზადებული კანონპროექტის სახით არის წარმოდგენილი, ყოვლად დაუშვებელია. ეჭვი გვეპარება, რომ ამ პროექტის მხარდამჭერებს, განსაკუთრებით მთავრობიდან - სრული წარმოდგენა ჰქონდეთ, რა შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებას. სწორედ ეს არის უბედურება. საუბარი იმაზე, რომ გადასახადები შემცირდება, მაგრამ შემოსავლები არა - სერიოზული უპასუხისმგებლობაა...

ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, რომ მსხვილ უცხოელ ინვესტორებს შესაბამისი გარემო შევუქმნათ, თორემ სხვების დარწმუნება იმაში, რომ აქ ინვესტიციების ჩადება მომგებიანია, შეუძლებელი გახდება.

**- მთავრობას, ალბათ, აქვს საფუძველი, რომ ამ კომპანიებს ედავოს, ანგარიშები დაუყადაღოს...**

- ერთ-ერთი საფუძველია ადრე დარიცხული გადასახადები. და აბსოლუტურად სწორად იქცევა „კასტელი", რომ სასამართლოში ჩივის. იმედი მაქვს, სასამართლო დაადგენს, რომ „კასტელს" ამ გადასახადების გადახდა არ ეკუთვნის.

ალბათ, სასამართლოში „ეი-ი-ეს თელასიც" წავა და ანგარიშების დაყადაღებას გაასაჩივრებს. ეს საკითხი, ალბათ, პოლიტიკური უფროა, ვიდრე ეკონომიკური



ზურაბ ნოღაიდელი

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

- რეალურ ურჩ გადამხდელებს გადასახადების გადასახდელად საერთოდ არ სცალიათ, რადგან პოლიტიკური ბლოკების ფორმირებით არიან დაკავებული.
- სააღდგომოდ გაზი გაითიშა და წყალკანალსა და მეტროს სამი საათით შეუწყდა შუქის მიწოდება. აი, ამას მიაღწია მთავრობამ თავისი უგუნური მოქმედებით.
- ოპოზიციურმა ძალებმა დღესვე მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ არსებულ ხელისუფლებასთან არანაირ გარიგებებში არ მიიღებენ მონაწილეობას. ეს არჩევნებში დამარცხების ფასადაც უნდა ითქვას.

- სწორედ ახლა რატომ გადაწყვიტა ბატონმა ბორის სარალიძემ ანგარიშების დაყადაღება და არა 3-4 წლის წინ? შარშანწინ იგივე არ ხდებოდა? ალბათ, იმიტომ, რომ შარშან და იმის წინ სახელისუფლო ბლოკი არ იყო შემდგარი და მეგზეურები არ იყვნენ ჩაბმული ფერხულში „ახალი საქართველოსთვის..."

„ეი-ი-ეს"-ის წასვლის შემთხვევაში მთავრობა, არჩევნების პერიოდში, მოახერხებს საბიუჯეტო სახსრების მობილიზებას და შუქის უზრუნველყოფას, მაგრამ მერე? ზამთარი ხომ დადგება? ვინ მოუვლის „თელასს", რომლის თვიური ბრუნვა, დაახლოებით, 15-18 მილიონი ლარია... ვინ აპირებს ამ თანხის ჩადებას?1

**- ასეთი კომპანიები საქართველოში არ არსებობენ?**

- თეორიულად, შეიძლება არსებობდეს ის, ვისაც ჰგონია, რომ ამას შეძლებს.... ხელისუფლების ასეთი ორკესტრირებული მოქმედებით მივიღებთ თურქმენეთის ვალს... ეს იყო გაზის მოწოდებისთვის დაგროვილი ვალი და ყველაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ საბოლოოდ, ზოგიერთის დავალიანებები გადარეცხილიყო და საქართველოს ბიუჯეტს 400 მილიონი დოლარის ვალის გასტუმრება აჰკიდებოდა.

„ეი-ი-ეს"-ი საქართველოს დატოვებას არ აპირებს გაუჭირდებათ ამ კომპანიის ხელში ჩაგდება და ვალების სახელმწიფო ბიუჯეტისთვის აკიდება.

**- თქვენი საუბრის მიხედვით, მსხვილ ინვესტორთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლა მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლა გამოდის. იმედია, უცხოელები თავის თავს მოუვლიან, მოსახლეობას ვიღა დაიცავს?**

- ჩვენ, ერთობლივად.

უცხოელი ინვესტორები ხვდებიან, რომ ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდი – ის, თუ რა გზას აირჩევს საქართველო - გადამწყვეტი იქნება.

დიდი ბიზნესიდან ფულის ამოღება არ ხდება. სამაგიეროდ, მცირე ბიზნესი იბეგრება თავიდან ბოლომდე და მისი განვითარებისთვის არანაირი პირობები არ არსებობს. რადგანაც ბიუჯეტი ამ ორი წყაროდან არ ივსება, რჩება ე.წ. „პროკრუტკებისა" და წინასწარი სესხების (გადახდების) გზა... მაგალითად: პირველი აპრილისთვის „ენგურჰესს" დარიცხულ გადასახადებზე 147 პროცენტით მეტი ჰქონდა გადახდილი (მილიონ 300 ათასი ლარით მეტი) - ასეთი ინფრასტრუქტურის, ფინანსურ პირობებში „ენგურჰესმა" უნდა გადაიხადოს ზედმეტი და სხვადასხვა კონტრაბანდისტებმა ფული საკუთარ მიზნებს უნდა მოახმარონ?! აი, ეს არის არჩევანი, რომელიც ხელისუფლებამ გააკეთა... გამოსავალი არსებობს, მაგრამ დღეს ეს მთავრობის პრიორიტეტი არ არის.

არ ვარ დარწმუნებული, მივიღებ თუ არა მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ აქტიურ პოლიტიკაში ვბრუნდები და ეს ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა.

**- ამ ბოლო ხანს ბევრი რამ მოხდა, კერძოდ, რა მოვლენებს გულისხმობთ?**

- რჩეულიშვილის გამონათქვამებს... 10 წლის განმავლობაში პოლიტიკაში ვიყავი და დემოკრატიული ღირებულებებისადმი და თავისუფალი ეკონომიკისადმი ერთგულება კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა. ისედაც არ გამოვირჩეოდი ამ თვისებით, მაგრამ კომპრომისის უნარი სულ დავკარგე. ამ საკითხებზე არანაირ კომპრომისზე არ წავალ და თანამოაზრეებსაც მოვუწოდებ, უკომპრომისონი იყვნენ ძირითად ღირებულებებში.

ჩვენს ქვეყანას ორი მთავარი ამოცანა აქვს გადასაჭრელი - 2003-2005 წლების არჩევნების სამართლიანად ჩატარება და ეკონომიკური და პოლიტიკური (არა პიროვნული) მემკვიდრეობის შენარჩუნება.

სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. დღეს კი არ ჩანს, რომ ხელისუფლება სამართლიანი არჩევნების ჩატარებას აპირებს.

15 თუ უფრო მეტი პოლიტიკური ძალის გაერთიანების მიუხედავად, სამთავრობო ბლოკის რეიტინგი 4-5 პროცენტია. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში ეს ბლოკი დაწესებულ 7 პროცენტსაც ვერ გადალახავს. ამაში დარწმუნებული ვარ.

**- წინა, 1999 წლის არჩევნებზე რას იტყვით?**

- მაშინ მთავრობის რეიტინგი 5-ჯერ მაღალი იყო. 2003 და 2005 წელს ჩვენ არა ჩვენს წარსულს, არამედ მომავალს ვსაზღვრავთ. მთავრობა დარწმუნებულია, რომ არჩევნების შედეგებით მანიპულირებას და ოპოზიციური ძალების დიდ ნაწილთან მოლაპარაკებას შეძლებს. დარწმუნებულია, რომ არასამართლიანი არჩევნების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია მსუბუქი იქნება...

ოპოზიციურმა ძალებმა დღესვე მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ არანაირ გარიგებებში არ მიიღებენ მონაწილეობას. ეს არჩევნებში დამარცხების ფასადაც უნდა ითქვას. პოლიტიკაში დაბრუნების ჩემი ძირითადი მიზანი ამ მიმართულებით მუშაობაა. სამართლიანი არჩევნები საქართველოს ერთადერთი მომავალია. არასამართლიანი არჩევნების შემთხვევაში კი 2005 წელს საზოგადოებას არჩევანის გაკეთება ჯორბენაძეს, კაკო ჩხაიძეს, ვახო რჩეულიშვილსა და ლევან მამალაძეს შორის მოუწევს. ამ არჩევანს ჩვენ დღეს გვთავაზობენ... ეს არის ძალზე მარტივი გზა დესტაბილიზაციისკენ და ამ გზით სიარული მთავრობას აჯანყებამდე მიიყვანს.

**- თქვენი მეგობრებისადმი მიყენებული შეურაცხყოფა და პარლამენტში მომხდარი ჩხუბი რომ არა, პოლიტიკაში დაბრუნდებოდით?**

- არ ვიცი, რას ვიზამდი, მაგრამ ამ მოვლენებმა სერიოზული დეტონატორის როლი შეასრულეს.

**- მინისტრობის ჟამს არჩევნების დაფინანსება მოგიხდათ?**

- არა... მაგრამ, ფინანსებზე უფრო მეტად არჩევნების პროფესიონალი ვარ.

**- მით უმეტეს, საინტერესო იქნება თქვენი აზრი თემაზე - ფინანსთა სამინისტრო და არჩევნები...**

- რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, შემოსავლების შესრულება გაჭირდება. ე.წ. „ურჩი" გადამხდელები თავის პრობლემებს მოაგვარებენ. მართლაც ურჩი გადამხდელები პოლიტიკით არიან დაკავებული და ფული სულ სხვა ადგილას აქვთ მისატანი. შესაბამისად, არჩევნების წინ მხოლოდ დაცულ მუხლებში, დაახლოებით, 50 000 ლარის ოდენობის დავალიანება იქნება დაგროვილი. მთავრობის ტაქტიკა სწორედ აქეთ მიდის.

**- ადმინისტრაციული ბერკეტების გარდა, რა ხერხებს შესთავაზებს ხელისუფლება ოპოზიციას და, ალბათ, ისიც კარგად იცით, თუ როგორ უნდა შეეწინააღმდეგოს ამას ოპოზიცია.**

- იშვიათია ადამიანი, ვისაც იმხელა გამოცდილება აქვს არჩევნების ჩატარების საქმეში, როგორც მე. არჩევნების სტრატეგიულ დაგეგმარებაშიც ვიღებდი მონაწილეობას, არჩევნებს ქალაქშიც და რაიონშიც ვგეგმავდი და პლაკატის გაკვრიდან დაწყებული, ყველაფერი გაკეთებული მაქვს...

მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, ატარებს თუ არა სამართლიან არჩევნებს. როგორც გავიგე, ხელისუფლება აპირებს, დანიშნოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი და ხელმძღვანელი. ასეთ შემთხვევაში არჩევნებში, უბრალოდ, არავინ უნდა მიიღოს მონაწილეობა. არჩევნებს აზრი არ ექნება.

შეუძლებელია, გქონდეს 5 პროცენტიანი რეიტინგი და 35 პროცენტის მოპოვება გინდოდეს - ამისთვის 25 პროცენტიანი მხარდაჭერა მაინც უნდა გქონდეს. ოპოზიცია ვერ შეეგუება იმას, რომ ლევან მამალაძე თავისი რეგიონიდან ხელისუფლებას გარანტირებულ 8-10 პროცენტს მიართმევს და რომ აჭარაში „აღორძინება" გარანტირებულ 12-14 პროცენტს დააგროვებს...

**- ამ ტრადიციის დარღვევას ხელს რა შეუშლის?**

- ეს უნდა იყოს პოზიცია და მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ოპოზიციისგან შეთანხმებას კი არა, სერიოზულ ბრძოლას მიიღებს... დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკური ავანსცენიდან წასვლას უნდა შეეგუოს.

**- მაგრამ, ამდენ ხანს ოპოზიცია ვერ გაერთიანდა, სამაგიეროდ მრავალი მოულოდნელი გაერთიანება შედგა და სიურპრიზებს კიდევ ველით...**

- ყველა ოპოზიციური ძალა არა, მაგრამ ოპოზიციის დიდი ნაწილი ამ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს.

არჩევნების სამართლიანად ჩატარების გასაღები უფრო მეტად ოპოზიციის ხელშია. მათ მკაფიოდ უნდა თქვან, რომ მიუხედავად იმისა, გაერთიანდებიან თუ არა, ყველაფერს გააკეთებენ სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად. ეს მთავრობა აჯანყების ღირსია და ამას მიიღებს კიდეც. ოპოზიციის გაერთიანება მათ გასამარჯვებლად არის საჭირო, სამართლიანი არჩევნები კი - საქართველოს გასამარჯვებლად...

**- ორი წელი ფინანსთა მინისტრი იყავით. თქვენს დროს რომ ისეთი მონიტორინგი ჩატარებულიყო, როგორსაც დღეს თქვენ აკეთებთ, რა სურათს მიიღებდით?**

- უპირველესად ყოვლისა, ამ ინფორმაციის მიღება არ იქნებოდა პრობლემა. ხაზინის უფროსს ყოველ ორშაბათს ჰქონდა ბრიფინგი, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება... როგორ გავბედავდი მიღებული გადაწყვეტილებების საზოგადოებისთვის დამალვას?! როგორ გავბედავდი დაძინებას, თუ 18-დან 23 რიცხვამდე ლტოლვილთა შემწეობა არ მექნებოდა დაფინანსებული?! შენიშვნებსა და შეკითხვებს აუცილებლად ვპასუხობდი... ჩემი პოზიცია ყველასთვის მკაფიოდ არის ცნობილი. ყოველთვის ვსაუბრობდი მკაცრად და არ არსებობდა ისეთი ზეწოლა, რომელსაც ვერ გავუმკლავდებოდი... ალბათ, ამიტომაც არ ვარ დღეს თანამდებობაზე.

**- ამდენი ხანი გავიდა. რა პროფესიული თვისება გაკლდათ მინისტრობისას? რა ვერ შეძელით?**

- იგივეს გავიმეორებ, რაც თანამდებობიდან მოხსნის დღეს ვთქვი - უნდა შენარჩუნდეს სახარჯო პოლიტიკა და ფინანსთა მინისტრი 20-ჯერ უფრო პრინციპული უნდა იყოს.









# ევგენი გრიშკოვეცის სამყარო

## ადამიანი-ორკესტრი

*გრძელდება ფესტივალ "საჩუქარის" ფარგლებში წარმოდგენილი სპექტაკლების ჩვენება. მორიგი წარმოდგენა გახლდათ ვაკის თეატრალურ სარდაფში ევგენი გრიშკოვეცის მონო-სპექტაკლი "დრედნოუტი". თეატრალური წარმოდგენა, ჩვეულებრივ, დრამატურგის, რეჟისორის და მსახიობის ერთობლივ ნამუშევარს წარმოადგენს. მოკლედ, ურთიერთობა ან შედგება, ან არა. ამაზეა, დამოკიდებული სპექტაკლის წარმატება. ევგენი გრიშკოვეცის შემთხვევაში მსგავსი ალბათობა გამორიცხულია, რადგან მას საკუთარ თავთან აქვს შესანიშნავი დამოკიდებულება – ერთდროულად დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი, სცენაზე საოცარ, საკუთარ სამყაროს ქმნის, რომელსაც თამამად შეიძლება გრიშკოვეცის სამყარო ვუწოდოთ. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ მის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი მაინცდამაინც მონოა და მონოლოგია - იგი უფრო მაყურებელთან დიალოგს ჰგავს. თუმცა, სანამ უშუალოდ "დრედნოუტზე" დავიწყებდეთ საუბარს, ცოტა რამ ევგენი გრიშკოვეცის შესახებ – საშუალო ტანის, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა ებრაელი, რომელიც კემეროვოში დაიბადა, განათლებით ფილოლოგია და სამხედრო სამსახური რუსეთის საზღვაო ფლოტში მეზღვაურად გაატარა, კემეროვოში საკუთარ თეატრს "ლოჟას" ქმნის და წარმატებასაც აღწევს. ათი სპექტაკლის დადგმით გრიშკოვეცს მოსკოვშიც შეამჩნევენ და სათანადო ჯილდოებით – "ტრიუმფი", "ოქროს ნიღაბი", "ანტიბუკერი" – დააჯილდოებენ, წარმატებით სარგებლობს მისი წიგნიც – "ქალაქი". ისიც აღსანიშნავია, რომ გრიშკოვეცი ბავშვობაში ბათუმში და ოთხმოციან წლებში თბილისშიც არის ნამყოფი.*

ნათია ვადაჭკორია

"დრედნოუტის" წარმოდგენა კი მაყურებლისთვის საკმაოდ უჩვეულოდ იწყება - დარბაზში შესულს სცენაზე მინიმალური დეკორაცია და თავად მსახიობიც გვხვდება მობილურით ხელში და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს, სცენაზე მსახიობი კი არა, ვიღაც შემთხვევით მოსული ზის და მობილურს ათამაშებს. მაყურებელიც ნელ-ნელა იკავებს თავის ადგილს და დიალოგიც იწყება. ევგენი მობილურს თავს ანებებს და მაყურებელს მიმართავს, – "ადრე ვითხოვდი, მობილურები გამორთეთ-მეთქი, იმიტომ კი არა, რომ მე ხელს მიშლის, არამედ სხვებს ეწყინებათ, ვისაც მობილური არ აქვს. ახლა ეს მიმართვა აქტუალობასაა მოკლებული, რადგან მობილური, თითქმის, ყველას აქვს, თუმცა მელოდია, რომელიც მფლობელის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, მაინც მოსაბეზრებელია. ქალის ჩანთაში არსებულ მობილურზე ხომ ნუღარ იტყვით, სანამ მას ამოიღებენ... მოკლედ, მამაკაცებს ვურჩევ მობილურის გამორთვასთან ერთად შარვლის ელვაც შეამოწმონ."

დარბაზში ისტერიული სიცილი ტყდება... და მთელი სპექტაკლი მაყურებლის ასეთი რეაქციითაა თანხლებული. მას ხომ სინამდვილეში კომიკური ფორმით აწვდიან ტრაგიკულ ისტორიას ინგლისის, გერმანიის, რუსეთის ფლოტის საბრძოლო გემებზე, "დრედნოუტებზე" და არა მხოლოდ მათზე.

სიმართლე რომ ვთქვათ, სპექტაკლის შინაარსის გადმოცემა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან ის განწირულ მეზღვაურებზე, მათ გმირობაზე, ღალატზე, თავგანწირვაზე, სიყვარულზე და, საერთოდ, სიცოცხლის სიყვარულზეა. სპექტაკლის პრემიერა 2001 წლის დეკემბერში შედგა მოსკოვის კლუბ Огород–ში, სადაც რეზო გაბრიაძე თავის ცნობილ "სტალინგრადის ბრძოლას" წარადგენს ხოლმე. ავტორის თქმით, სპექტაკლის ევროპული პრემიერა თბილისში გაიმართა, ხოლო 23 მაისს "დრედნოუტს" ვენა იხილავს.

თავად გრიშკოვეცი სპექტაკლს ასე უწოდებს – სპექტაკლი ქალებისთვის, რომელიც ვერ შედგა... რატომ ქალებისთვის? რადგან, მისივე თქმით, ქალები არასათანადოდ იცნობენ მამაკაცებს, მათ თავგანწირვას. აი, მათ რომ წაკითხული ჰქონდეთ წიგნები მეზღვაურებზე, ადმირალებზე და, საერთოდ, გემებზე, მაშინ აზრი შეეცვლებოდათ.


დრამატურგი. რეჟისორი. მსახიობი - ევგენი გრიშკოვეცი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

მამაკაცთა ამბიციები, იმედები და სურვილები სულაც არ არის აღწერილი იმ წიგნებში, რომლებსაც ჩვეულებრივ ქალები კითხულობენ და ზოგჯერ, ჩვენდა გასაკვირად ზოგიერთ გვერდზე წითელი ფანქრით რაღაცას აღნიშნავენ ხოლმე. ეს ყველაფერი იმ წიგნებშია, სადაც მათი საქმენი საგმირონია აღწერილი.

სიტყვა "გმირობა" გრიშკოვეცის სპექტაკლში ნახსენებიც არ არის, მაგრამ ავტორი მასზე ყოველთვის მიგვანიშნებს. "დრედნოუტში" ავტორი გვიყვება, როგორ იღუპებიან მეზღვაურები, ერთ-ერთი მათგანის სიცოცხლის ბოლო საღამოს თავად განასახიერებს. მეზღვაური ბრძოლაში გასვლის წინა საღამოს დუქანში ზის, ერთ ბოთლ წითელ ღვინოს წრუპავს, შეჰყურებს შეყვარებულის ფოტოს და მისთვის ამ წუთში ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფოტოზე გამოსახული ქალი მისი ერთგული დარჩეს. მძაფრი შეგრძნებაა, როცა ვინმე გიღალატებს... თავად კი დუქანში შემხვედრ პირველივე მეძავთან გაატარებს სიცოცხლის ბოლო საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დილით პირში საზიზღარი გემო და საშინელი შეგრძნება ექნება; სამაგიეროდ იცის, რომ ფოტოზე გამოსახული ქალი მისი ერთგულია და ისიც უყოყმანოდ იღუპება საკუთარი ქვეყნის დროშის ქვეშ...

დროშას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპექტაკლში, თუმცა მსახიობი სვამს კითხვას – რა საჭიროა დროშა? ის ხომ მატერიაა, ნაჭრის ნაწილი, თუნდაც ისეთი, როგორიც მამაკაცის პერანგი. არადა, თავგანწირული მეზღვაურები თუ ადმირალები მის ქვეშ იღუპებიან. გაინტერესებთ, როგორ იღუპებიან მეზღვაურები? – ინგლისელები ჩასაძირად გამზადებულ გემზე მღერიან, რუსები კი კინგსტონებს აღებენ... ასეთი გემები მტრის წინაშე დროშას არასდროს უშვებენ. სწორედ ეს უნდა იცოდნენ ქალებმა მამაკაცების შესახებ და მაშინ უფრო ესიამოვნებათ მამაკაცების დანახვა – ასე ფიქრობს ევგენი.

ჩემი აზრით, გრიშკოვეცის მიზანი ის არის, რომ ადამიანს სიცოცხლე შეაყვაროს და იგი უფრო მგრძნობიარე და ლმობიერი გახადოს და, მგონი, მას ეს შესანიშნავად გამოსდის.

"დრედნოუტის" განხორციელების იდეა ერთგვარად ეხმიანება კურსკის ატომური წყალქვეშა ნავის კატასტროფას. როცა "დრედნოუტი" იღუპება, გემი მღერის... „კურსკზე" დაღუპულებს კი, ალბათ, არ ექნებოდათ შეგრძნება, რომ ისინი ვინმესთვის მნიშვნელოვანნი არიან.

ტრაგიკული ისტორიების მოყოლას გრიშკოვეცი მთელ სპექტაკლში მაყურებლის სიცილ-ხარხარის ფონზე აგრძელებს და ისეთი გრძნობაა, თითქოს, კომედიას უყურებ, არადა სპექტაკლიდან გამოსული ზოგიერთი მაყურებელი ცრემლებს იწმენდდა. შთამბეჭდავია პლასტმასის ტაშტში გრიშკოვეცის მიერ ჩაშვებული ქაღალდის გემების დაწვის სცენა, რომელიც მან ფინალისთვის შემოინახა.

ჩვენთან საუბრისას კი განაცხადა, - ის რაც სცენაზე ხდება ქალაქელი რომანტიკოსის ნამუშევარია, თუმცა ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა პიანისტებზე ან სხვა პროფესიის ადამიანებზე მომეყოლაო. დროშის თემას რაც შეეხება, მისი თქმით, ეს ის დროშა არ არის, რომლის ქვეშაც იგი სიცოცხლეს გაწირავდა. **"მე ისეთ ქვეყანას, ისეთ სახელმწიფო მეთაურს და ისეთ დროშას ვისურვებდი, რომლისთვისაც მე, ზრდასრული ადამიანი უყოყმანოდ და სიხარულითაც კი გავწირავდი სიცოცხლეს საკუთარი ქვეყნისთვის. სულ მალე 9 მაისს ვიზეიმებთ, მაშინ სამართლიანი ომი იყო, დროშაც და, ეშმაკმა დალახვროს, მეთაურიც შესაბამისი იყო."**

მომავალი სპექტაკლის დადგმას, რომელიც არავინ იცის, როგორი გამოვა, გრიშკოვეცი მსახიობ ანა დუბროვსკაიასთან ერთად აპირებს. აი, ასეთია ამ ადამიანი-ორკესტრის – ევგენი გრიშკოვეცის სამყარო.

# ბესო გულაშვილის თავისუფალი ცეკვა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ბესო გულაშვილი, ფოტოგრაფი. დაიბადა თბილისში, 1967 წელს. განათლებით რესტავრატორია. სწორედ სარესტავრაციო სამუშაოების დროს, გელათში, 1988 წელს, პირველად აღმოაჩინა, რომ ფოტოგრაფია მშვენიერი საქმეა: "ვიღაცეები ჩამოდიოდნენ, იღებდნენ, და მეც დავიწყე". ციფრული ფოტოგრაფიით, ცხადია, უკანასკნელ წლებში დაკავდა, და შარშან, "ნიუ არტში", საქართველოში ციფრული ფოტოგრაფიის პირველ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ფოტოსურათების ციკლი, რომელიც გალერეა N-შია გამოფენილი, ერთ საღამოში შეიქმნა. ბესო რუსთაველის თეატრში ბრიტანული საბალეტო ჯგუფის საღამოზე, Random Dance-ზე აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ, მისივე თქმით, ბესოს ბალეტი არ უყვარს და არ აინტერესებს. ბავშვობაში მშობლებს დაჰყავდათ ხოლმე, ეგ იყო და ეგ. მაგრამ ამ საღამოს, თავისთვის მოულოდნელად, აღმოაჩინა, რომ თანამედროვე ბალეტი მოსწონს. ამიტომ ის ფოტოსურათების სავალდებულო მინიმუმით არ შემოფარგლულა, 140 კადრი გადაიღო. შემდეგ მან ორი პაკეტი შეკრა - 19 და 30 ფოტოსურათიანი, "მერე რკინის ქალამნები ჩავიცვი და სპონსორის საძებნელად წავედი".

ბესოს გაუმართლა: ბრიტანეთის საბჭო, მოგეხსენებათ, საქართველოში თავის 10 წლისთავს აღნიშნავს, და ბესო გულაშვილის შემოქმედება მის თვალსაწიერში ძალიან დროულად აღმოჩნდა. ნამუშევრები მოიწონეს, ხელოვანი დაასპონსორეს და ბესომ გამოფენა თავის მეგობარს, სერგო გოცირიძეს უძღვნა. ყველაფერ ამის შედეგად, გალერეა N-ში მიბრძანებულებმა შეგიძლიათ 30 ფოტოსურათი იხილოთ და თავად განსაჯოთ, როგორია თავისუფალი ცეკვა ბრიტანელ მოცეკვავეთა შესრულებით და ქართველი ფოტოხელოვანის თვალით.

ბესო გულაშვილი გაზეთ "24 საათის" თანამშრომელია ანუ, ნეიტრალური სიტყვა რომ ვიხმარო, ჩემი კოლეგაა. ამიტომ საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარებას ვამჯობინე, გუშინ, გალერეა N-ში, ვერნისაჟზე მობრძანებულთა აზრი მომეხსენებინა.

გალერისტი **ლელა ბაკურაძე** ფრიად კმაყოფილი მიდი-მოდიოდა, რაც საუკეთესო ქათინაურია: ამ ქალბატონს თავის მოკატუნება არ გამოსდის (არადა, დიდი გოგოა, დროა, ყველაფერი სახეზე არ ეწეროს ხოლმე). დანარჩენი სტუმრების შეფასებას კი სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ:


ბესო გულაშვილი
ლევან ხერხეულიძის ფოტო

**ლიზა ოსეფაიშვილი**, ფოტოგრაფი: "ციფრული ტექნიკა, მატრიცა, მწვანე ფერი... არ მეგონა, რომ ბესო ამას შეძლებდა, არა როგორც ფოტოგრაფი – მაგას ვერაფრით წავართმევ, არამედ, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ჩემთვის ეს გამოფენა დიდი სიურპრიზია. ბესომ ციფრულ კამერას აჯობა. ამ კამერას ერთი თვისება აქვს – გიმონებს, მისი ხარ. ბესომ ეს კამერა დაიმორჩილა და გააგებინა, რომ ისაა მისი ბატონი. ამ გამოფენაზე სულ სხვა ბესო დავინახე. ხომ არ ვამბობ, რომ გენიალური – მაგრამ ძალიან ნიჭიერი ხელოვანი, და, რაც უფრო კარგია - ადამიანი".

**გურამ წიბახაშვილი**, ფოტოგრაფი: "ეს პროფესიონალის ნამუშევარია. ნახე: ციფრული ტექნიკის "შუმები" (ქართული შესატყვისი ვერც მე მოვნახე და ვერც თავად გურამმა – ა.კ.ს.) ესთეტიკაშია გადასული, და ეს დიდი ხიბლია. ისიც კარგია, რომ ციფრული თანამედროვეობა კლასიკურ ჩარჩოებშია ჩასმული, მდიდარი გამოსახულება გამოვიდა. თუმცა სულ ერთი თემაა, გამოფენაზე ნამდვილად ვერ მოიწყენ, ყოველ სურათს იმდენად სხვადასხვაგვარი ექსპრესია აქვს".

**დავით ბუხრიკიძე**, ჟურნალისტი (და თანამედროვე ბალეტის მცოდნე): "ამ ბალეტის შესახებ თავის დროზე დავწერე კიდეც. თბილისისთვის ეს თანამედროვე ცეკვის იშვიათი გაკვეთილი იყო. გამოფენა კარგია. ერთადერთი, კონცეფციაში ცოტა ვერ გავერკვიე – რა ნიშნითაა რომელიმე ნამუშევარი ფერადი, და კიდევ რაღაც-რაღაცეები... რა ვქნა, მე მკვეთრი გამოსახულების მომხრე ვარ..."

**მაია კახურაშვილი**, ფსიქოლოგი: "ყველაზე მშვენიერი მაინც ადამიანის სხეულია. ბესომ სწორედ ეს გადაიღო. ალბათ, ფოტოგრაფი რომ ვყოფილიყავი, ამასვე ვიზამდი. ძალიან ლამაზია".

**გოგი ცაგარელი**, ფოტოგრაფი: "კარგია. ძალიან კარგია. ერთ ბალეტზე ამდენი კარგი სურათის გადაღება ძნელი საქმეა. ბესომ კი შეძლო. ყოჩაღ, ბესო".

ყოჩაღ, ბესო.

**P.S**. ნამუშევრების შეძენის მსურველი ჯერ არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, საჩუქრად ბევრს უნდა.

# ყველაზე სუფთა მუსიკა

## თბილისის კონცერტინო გვიანი რომანტიზმის მუსიკის კონცერტს გვთავაზობს

მადი სერებრიაკოვა

„სუფთა მუსიკა" - თავის დროზე ასე განსაზღვრავდა ყოველგვარი პროგრამულობისგან თავისუფალ საკუთარ მუსიკალურ კონცეფციას იან სიბელიუსი. გვიანდელი რომანტიკოსი კომპოზიტორების, და საერთოდ, მეოცე საუკუნის მუსიკა საქართველოში არცთუ ხშირად სრულდება. ნაკლებად ვრცელდება ეს მუსიკა ჩანაწერების სახითაც, რაც საბოლოოდ ახალი პროფესიული მუსიკის არაპოპულარობას განაპირობებს. ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების კამერული ორკესტრი, „თბილისის კონცერტინო" დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში სწორედ ახალი მუსიკის კონცერტს გვთავაზობს. სიბელიუსის, ელგარისა და პულენკის ნაწარმოებებს კამერული ორკესტრი მოწვეულ სოლისტთან, საკმაოდ ცნობილ უკრაინელ ორღანისტთან, ვალერი მიხაილიუკთან ერთად შეასრულებს.

ვალერი მიხაილიუკი კიევის ორღანისტთა ეროვნული კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატია. მიუხედავად იმისა, რომ მას ასეულობით კონცერტი აქვს ჩატარებული ყოფილი საბჭოთა ბანაკის, თითქმის, ყველა ცენტრალურ ქალაქში, თბილისში იგი პირველად დაუკრავს. შესაძლოა, ამის მიზეზი ის არის, რომ კონსერვატორიის დიდი დარბაზის ორღანი დიდი ხნის მანძილზე არ ფუნქციონირებდა (რემონტის გამო). კიეველი სოლისტის რეპერტუარი ორღანისთვის შექმნილ, თითქმის, ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს მოიცავს პალესტინადან თანამედროვეობამდე, მათ შორისაა 27 საორღანო კონცერტიც. სოლისტის განსაკუთრებულ განსწავლულობაზე მეტყველებს ის, რომ უკრაინის ეროვნული ფილარმონიის ორღანი სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით აიგო. მისივე პროექტითაა შექმნილი „ვისკონტისა" და „როჯერსის" ფირმების კომპიუტერული ორღანები.

დღევანდელი ღონისძიება „თბილისის კონცერტინოს" მეორე დირიჟორის, გიორგი შილაკაძის ინიციატივით იმართება. თავდაპირველი პროფესიით იგი ორღანისტი და პიანისტია (ამ სპეციალობებით დაამთავრა მან თბილისის კონსერვატორია). „თბილისის კონცერტინოში" მან კლავესინისტად დაიწყო მუშაობა, ხოლო ასისტენტურა-სტაჟირების გავლის შემდეგ დირიჟორობას მოჰკიდა ხელი. ორი წელი იგი ბათუმის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი იყო, ამჟამად კი გერმანიაში, საარბრიუკენის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში გადის სტაჟირებას.


ორკესტრის რეპეტიცია
ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღევანდელი კონცერტი ორი დაგვიანებულ პრემიერით იქნება საინტერესო. საქართველოში პირველად შესრულდება ედვარდ ელგარის კვარტეტი და სიბელიუსის Voces Intimae („შინაგანი ხმები", ასევე სიმებიანი კვარტეტისათვის). ეს ნაწარმოებები გიორგი შილაკაძემ თავად გადაამუშავა საორკესტრო შემადგენლობისათვის: **„გვიანი რომანტიზმის მუსიკა განსაკუთრებით მიყვარს,** - აღნიშნავს დირიჟორი, - **თუმცა, სამწუხაროდ, ამ პერიოდის მუსიკალური ლიტერატურა არ არის მდიდარი კამერული ორკესტრებისათვის შექმნილი ნაწარმოებებით. ამის გამო, ხშირად მიმართავენ სხვა შემადგენლობისთვის შექმნილი ნაწარმოებების გადამუშავებას."**

პულენკის კონცერტი, ორღანის, სიმებიანი ორკესტრისა და ლიტავრებისთვის, გიორგი შილაკაძეს არაერთხელ აქვს შესრულებული სოლისტის სტატუსით. მათ შორის - გერმანიაში გასტროლების დროს.

„თბილისის კონცერტინო" ახლო მომავალში კიდევ ერთ საინტერესო პროექტს - ბრამსის საღამოს შემოგვთავაზებს. შემოდგომაზე კი უფრო მასშტაბური ღონისძიებას - ამიერკავკასიის თანამედროვე კამერული მუსიკის ფესტივალის მოწყობას გეგმავენ. როგორც ორკესტრის მთავარი დირიჟორი შავლეგ შილაკაძე აღნიშნავს, - "**ასეთი ფესტივალები ადრე ყოველწლიურად იმართებოდა თბილისში, ბაქოსა და ერევანში. მაგრამ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბული ურთიერთობების გამო, დღეს თბილისი ერთადერთი ქალაქია, სადაც შეიძლება ყველამ ერთად მოიყაროს თავი.**"

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## მოკლედ

**ფეხბურთი.** ფრანგი მცველი ლორან ბლანი უკვე სერიოზულად ფიქრობს პროფესიული კარიერის დასრულებაზე. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ადრეც განაცხადა, ამიერიდან ფეხბურთს მხოლოდ ტრიბუნიდან ან ტელევიზორში ვუყურებო, მაგრამ მერე "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა ფრანგ მცველს აზრი შეაცვლევინა და დაითანხმა, სეზონის ბოლომდე დარჩენილიყო გუნდში.

ბლანმა "წითელი ეშმაკების" რჩევა ყურად იღო და ფეხბურთთან გამომშვიდობება ზაფხულისთვის გადადო. ახლა კი, როცა სეზონი მიიწურა და "მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ლორან ბლანმა თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა და კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. "მან იუ" ძალიან კარგი კლუბია, არა მგონია, ჩემი წასვლით მანჩესტერელებს რამე დააკლდეთ. გუნდი ჩემამდეც არსებობდა და ჩემს შემდეგაც წარმატებით გააგრძელებს არსებობას. ასე რომ, ჩემი წასვლა პრობლემა ნამდვილად არ იქნება", - განაცხადა ბლანმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატებში მოთამაშე ფორვარდები ყოველწლიურად ეცილებიან ერთმანეთს თავდამსხმელისთვის უმაღლეს ჯილდოს - "ოქროს ბუცს". საუკეთესო გოლეადორის ვინაობა სეზონის ბოლოს ხდება ცნობილი, მანამდე კი ბომბარდირები თავს არ ზოგავენ ქულების დასაგროვებლად. "ოქროს ბუცის" მფლობელის ავტორიტეტი ხომ ერთიორად იზრდება ჩავლილი დამღლელი სეზონის შემდეგ.

წლეულს "ოქროს ბუცის" ბედი ბოლო ტურებში გადაწყდა. მილანის "ინტერის" ფორვარდს კრისტიან ვიერის დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა შანსი, გამხდარიყო ევროპის საუკეთესო გოლეადორი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ვალენსიასთან" მიღებულმა ტრავმამ ვიერის საშუალება აღარ მისცა, ბოლომდე ებრძოლა "ოქროს ბუცისთვის". ვალენსიადან იტალიელი ფორვარდი ტრავმირებული ჩამოიყვანეს და მაშინვე ჰოსპიტალში გააქანეს. ვიერიმ 24 გოლის გატანა მოასწრო და 48 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. "ინტერის" თავდამსხმელს ლა კორუნიას "დეპორტივოს" ჰოლანდიელმა ფორვარდმა როი მაკაიმ გაუსწრო.

პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში "დეპორტივომ" საკუთარ "რიასორზე" "რეკრეატივო" მიიღო და შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. გალისიელების მიერ გატანილი ხუთი გოლიდან სამი მაკაის ანგარიშზეა. ამ მატჩამდე მაკაისაც, ვიერის მსგავსად, 24 გოლი ჰქონდა გატანილი, მაგრამ "რეკრეატივოსთან" შესრულებული ჰეთ-თრიკის შემდეგ ჰოლანდიელმა ვიერი უკან ჩამოიტოვა და საფუძვლიანად დამკვიდრდა პირველ ადგილზე. ფაქტობრივად, მაკაის უკვე განაღდებული აქვს ევროპის საუკეთესო გოლეადორის ტიტული, რადგან კრისტიან ვიერი ტრავმირებულია და თავის შედეგს ველარ გააუმჯობესებს. მესამე ადგილზე მყოფი რუდ ვან ნისტელროიმ "მანჩესტერთან" ერთად უკვე დაასრულა სეზონი, დანარჩენები კი ჰოლანდიელ ფორვარდს ნამდვილად ველარ დაეწევიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ეს ქალივით ლამაზი, გრძელთმიანი პორტუგალიელი ევრო 2000-ის შემდეგ მთელ მსოფლიოში უაღრესად პოპულარული იყო. როცა ნუნუ გომეში "არტემიო ფრანკიზე" დარბოდა "ფიორენტინას" იისფერი მაისურით, ტრიბუნაზე შეკრებილ იტალიელ ქალებს ელეთმელეთი მოსდიოდათ. პორტუგალიელი ფორვარდი, გოლების გატანაზე მეტად, სწორედ შთამბეჭდავი გარეგნობით იქცევდა საზოგადოების ყურადღებას, თუმცა, არც სტადიონზე ირჯებოდა ურიგოდ.

"ფიორენტინას" ჩაძირვის შემდეგ ნუნუ გომეშის ვარსკვლავიც ნელ-ნელა ჩაესვენა. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე ის იშვიათად ხვდებოდა პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში, "ბორდოს" ფორვარდს პედრო პაულეტას ვერ უწევდა სათანადო კონკურენციას. ბოლოს, როცა სამხრეთ კორეასთან მატჩში ცარიელ კარში გოლი ვერ გაიტანა და პორტუგალია ჩემპიონატს გამოეთიშა, მასზე ყველამ ხელი ჩაიქნია.

2002-03 წლების სეზონი ნუნუ გომეშმა ლისაბონის "ბენფიკაში" დაიწყო. ოცდაექვსჯერ ითამაშა "ბენფიკას" მაისურით და ცხრა გოლი გაიტანა. შემდეგ ტრავმა მიიღო და იძულებითი პაუზის აღება მოუხდა. ფეხბურთელს კოჭის ტრავმა აქვს, რომელიც იმდენად სერიოზულია, რომ ექიმები ოპერაციას ურჩევენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ეკვადორელი მსაჯი ბირონ მორენო, რომელმაც მსოფლიოს იმით დაამახსოვრა თავი, რომ მუნდიალის მერვედფინალში იტალიისა და სამხრეთ კორეის მატჩში ყველაფერი გააკეთა მასპინძელთა გამარჯვებისთვის და ვარსკვლავებით სავსე "სკუადრა აძურა" უბოდიშოდ მიაბრძანა ჩემპიონატიდან, იტალიაში იმდენად პოპულარული გახდა, რომ სპორტულ ჟურნალისტებს ამ ექსცენტრული არბიტრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უკვე პირობით რეფლექსად ექცათ.

ასე, მაგალითად, იტალიაში ყველამ იცის, რომ მორენოს ლამის ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა ეკვადორის ჩემპიონატში ჩატარებული საშინელი მატჩის შემდეგ, როცა ყველა დროის დიდმა არბიტრმა ორივე გუნდიდან ორ-ორი ფეხბურთელი გააძევა და სამი პენალტი დანიშნა. ახლა იტალიელმა ჟურნალისტებმა საზოგადოებას ისიც აცნობეს, მორენო ფეხბურთს ისევ დაუბრუნდაო. "უნივერსიდად კატოლიკასა" და "აუდას ოკტუბრინოს" მატჩში მორენომ ისევ ისახელა თავი: ერთი ფეხბურთელი გააძევა, ექვსი ყვითელი ბარათი ააფრიალა და ერთი პენალტი დანიშნა. ამ კაცის უცნაურობებს, მართლაც, ბოლო არ უჩანს...

■ ■ ■

**ფეხბურთი.** აქამდე მილანის "ინტერის" პრეზიდენტს მასიმო მორატის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სეზონის ბოლოს აუცილებლად შეიძენდა "ვალენსიას" ნახევარმცველს რუბენ ბარახას, მაგრამ ბოლო დროს მოვლენები ისე განვითარდა, რომ, შესაძლოა, "ინტერს" ეს საგულდაგულოდ მომზადებული ტრანსფერი ჩაეშალოს. ბარახას შეძენის სურვილი გამოთქვა თვით მადრიდის "რეალმა" და ვალენსიელებიც, ალბათ, უარს არ ეტყვიან მადრიდელებს, რადგან მათ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ "სამეფო კლუბის" მიმართ.

საქმე ის არის, რომ, უკვე დიდი ხანია, "ვალენსია" ცდილობს, "რეალს" ფერნანდო მორიენტესი დაათმობინოს. მიუხედავად იმისა, რომ ვინსენტე დელ ბოსკე მორიენტესს იშვიათად აყენებს ძირითად შემადგენლობაში, მადრიდელებს მაინც არ სურთ მისი გაშვება. რაკი "ვალენსია" თავისას არ იშლის და ჯიუტად ითხოვს მორიენტესის გაყიდვას, "რეალმა" დათმო – მორიენტესის სანაცვლოდ ვალენსიელებს სწორედ რუბენ ბარახა მოსთხოვა. ასე რომ, თუ "ვალენსიას" მორიენტესი უნდა, მაშინ ბარახას უნდა შეელიოს...

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თანდათან მწვავდება ურთიერთობა ბრემენის "ვერდერსა" და გერმანელთა ბრაზილიელ ფორვარდს აილტონს შორის. ბრაზილიელს ხან პირადი პრობლემები აწუხებს, ხან დისციპლინას არღვევს, ხან ბრემენის რომელიმე კაფეში გათენებამდე ცეკვავს სამბას, რასაც "ვერდერის" ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, ფილოსოფიური სიმშვიდით არ ხვდება. აილტონს გამუდმებით კონფლიქტი აქვს კლუბის ბოსებთან და არაერთხელ უთქვამს, რომ "ვერდერიდან" წასვლა სურს.

ახლახან აილტონი და "ვერდერის" ადმინისტრაცია ისევ შეეტაკნენ ერთმანეთს. ბუნდესლიგის გასულ ტურში "ვერდერი" ბერლინის "ჰერტას" შეხვდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. აილტონმა ამ მატჩში ვერაფრით გამოიჩინა თავი – ბრემენელებმა ოთხივე გოლი ბრაზილიელის გარეშე გაიტანეს. აილტონის უიღბლობა საბოლოოდ უხეშობით და ყვითელი ბარათით დასრულდა, რამაც "ვერდერის" ხელმძღვანელობა ძალიან გააღიზიანა. ბრაზილიელისთვის ეს მეორე გაფრთხილება იყო, რის გამოც შემდეგ მატჩს ("შტუტგარტთან") გამოტოვებს. ამის გამო "ვერდერმა" გადაწყვიტა, აილტონი დააჯარიმოს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა თანხას გადაიხდის ბრაზილიელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს ცოტა ხნის წინ არავინ იცნობდა, მას შემდეგ კი, რაც გერმანიის თასზე "კიოლნს" ორი გოლი გაუტანა და ოტმარ ჰიტცფელდმა "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში აიყვანა, ბასტიენ შვაინშტაიგერი უცებ საოცრად პოპულარული გახდა. თვრამეტის წლის ფეხბურთელმა სეზონის ბოლოს გერმანიის ჩემპიონატიც მოიგო, რაც კარიერის დასაწყისისთვის მეტად შთამბეჭდავი მოვლენაა.

თუმცა, ასეთმა წარმატებამ შვაინშტაიგერს მტრებიც გაუჩინა. საცოდავ "ბასტინიოს" ფეხი ველარ გადაუდგამს თავისუფლად –გამუდმებით ვილაც უთვალთვალებს და თუ რამეში გამოიჭერს, მაშინვე დასასმენად გარბის.

ცოტა ხნის წინ ოტმარ ჰიტცფელდს ამბავი მიუტანეს, "ბასტინიო" "ბორუსიასთან" მატჩის წინა დღეს დისკოთეკაზე იყოო, რისთვისაც ფეხბურთელს მთელი თვის ხელფასი დაუკავეს. სულ ახლახან კი შვაინშტაიგერი პოლიციაში დააბეზღეს, მართვის მოწმობა არა აქვს და მანქანა ისე დაყავსო. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ "ბასტინიოს" "ბაიერნისგან" ნაჩუქარი ახალი "აუდი" ჩამოართვეს, რამაც ახალგაზრდა ვარსკვლავი ძალიან დაადონა. რას იზამ, ადვილი არ არის თვრამეტი წლის ასაკში "ბაიერნში" თამაში. ამით კაცი თაყვანისმცემლებსაც იძენს და მტრებსაც, რომელთაც ფეხბურთელის წარმატება შურთ...

■ ■ ■

**კალათბურთი.** სავსებით შესაძლებელია, მაიკლ ჯორდანი "ჰორნეტსის" ყოფილ მფლობელთან, რობერტ ჯონსონთან ერთად, NBA ერთ-ერთი კლუბის თანამფლობელი გახდეს. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ჯორდანი და ჯონსონი ერთობლივი ბიზნესის წარმოების თაობაზე მოლაპარაკებებს მართავდნენ. ბოლო კვირების განმავლობაში მათმა მოლაპარაკებებმა უფრო მკაფიო და კონკრეტული ხასიათი მიიღო: შარშან, დეკემბერში, ჯონსონმა შარლოტის გუნდი შეიძინა, ხოლო ჯორდანს გაცილებით მეტი თავისუფალი დრო გაუჩნდა მას შემდეგ, რაც მისი კლუბი "ვაშინგტონ ვიზარდსი" პლეი-ოფებს მიღმა დარჩა, თვითონ კი თამაშს თავი დაანება. ანონიმური წყაროს ცნობით, შეთანხმების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარმა თიხნარ კორტზე თამაშის ჩოგბურთის ისტორიის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა. ინფორმაცია ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც უმსხვილეს ამერიკულ კომპანია CBS ინტერნეტ-საიტზე ინტერაქტიული გამოკითხვა ჩატარდა. კითხვაზე, "ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო მეთიხნარედ?" 2 332 ადამიანმა უპასუხა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (51,5%) სწორედ ბორგს მიანიჭა უპირატესობა.

სპორტული კარიერის განმავლობაში შვედ ჩოგბურთელს 45 ტურნირი აქვს მოგებული, აქედან 11 - დიდი სლემისა.

იმავე გამოკითხვის თანახმად, მეორე საფეხურზე აღმოჩნდა (თუმცა, საკმაო ჩამორჩენით - 15,1%) 1997 წლის "როლან გაროსის" ტრიუმფატორი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი. ბორგსა და კუერტენს მოყვება ჩეხი ამერიკელი ივან ლენდლი (11,7%).

ცხრილის ბოლოში უკავია ადგილი კიდევ ერთ ამერიკელს ჯიმ კურიეს (7,3%). იქვეა ბორგის თანამემამულე მატს ვილანდერი (4,7%).

■ ■ ■

**კრივი.** უკრაინელი მოკრივის ვიტალი კლიჩკოს პრომოუტერის კლაუს-პეტერ კოლის ცნობით, მისი კლიენტი WBA (ასოციაცია) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრიტანელ ლენოქს ლუისს შეხვდება. კოლის თქმით, ლუისთან კონტრაქტზე ხელი მოწერილია. კონტრაქტის თანახმად, ორთაბრძოლა დეკემბრამდე გაიმართება.

"ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა. მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბრძოლა შედგება. ლენოქსმა დაგვანახა, რომ იგი ნამდვილი ჩემპიონია და არავისი არ ეშინია", - განაცხადა პრომოუტერმა.

ვიტალი კლიჩკო კი ფიქრობს, რომ მას გაუმართლა: "თავად ჩემპიონთან ტიტულისთვის ბრძოლა (ლუისი WBC (საბჭოს) მსოფლიო ჩემპიონია. - რედ.) ეს დიდი იღბალია."

## ფეხბურთი

# "რეალი" ფრეს გადაურჩა

A1 გვერდიდან

ეს იყო უაღრესად დაძაბული, საინტერესო მატჩი, მაგრამ არ იყო ის, რაც ჩვენ "რეალისა" და "მანჩესტერის" მეოთხედფინალურ შეხვედრებში ვიხილეთ. ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, რადგან მადრიდელთა მოწინააღმდეგე გუშინ "იუვენტუსი" იყო – შესანიშნავი გუნდი, მაგრამ მაინც "იტალიური". ტურინულ კლუბთან შეხვედრის წინ, "რეალის" კაპიტანი ფერნანდო იერო აცხადებდა, რომ ამ იტალიური კლუბის წინააღმდეგ შეუძლებელი იქნებოდა ისეთივე ლაღი და ლამაზი ფეხბურთის ჩვენება, როგორიც "მანჩესტერთან" მატჩებში ვიხილეთ. იერო მართალი აღმოჩნდა.

გუშინდელ მატჩში "რეალის" უპირატესობა არ იყო ისე საგრძნობი, როგორც წინა შეხვედრებში. რაშიც, ცხადია, უდიდესი წვლილი მიუძღვით ტურინელებს. თუმცა, "რეალის" არც თუ ისე წარმატებულ თამაშს მხოლოდ მის მოწინააღმდეგეს ნუ მივაწერთ. ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მადრიდელებმა 1:5 წააგეს "მაიორკასთან", თანაც საკუთარ მოედანზე. გაიხსენეთ, როდის მოხდა ეს უკანასკნელად? – ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი საკუთარ მოედანზე "რეალმა" ბოლოს 2,5 წლის წინათ წააგო. ეს ფაქტი ყველამ შემთხვევითობად აღიქვა, თუმცა, სამეფო კლუბი არც ჩემპიონთა ლიგის გუშინდელ მატჩში ბრწყინავდა. მოედანზე გამოსვლის საშუალება კვლავინდებურად არ ჰქონდა რაულს, რომელიც ბრმანაწლავზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ არ მოშუშებულა. მის შემცვლელად ყველას გუტი გვესახებოდა. სწორედ ეს ფეხბურთელი არის "რეალის" ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელთა უპირველესი ალტერნატივა. რაულის მაგივრად მან მანჩესტერშიც ითამაშა და თითქოს გუშინდელ შეხვედრაშიც ის უნდა შეწყვილებოდა რონალდოს. გუტი მართლაც გამოჩნდა მოედანზე, თუმცა...

გუტისთან ერთად, დელ ბოსკეს მიერ მოძულებული ფერნანდო მორიენტესიც გამოვიდა. რონალდოს გვერდით დარჩენილი ვაკანტური ადგილი სწორედ მორიენტესმა დაიკავა, ხოლო გუტი... გუშინდელ შეხვედრაში გუტის ადგილი კლოდ მაკელელეს გვერდით, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე იყო. ძნელი სათქმელია, რა ჩანაფიქრი ჰქონდა მადრიდელთა დამრიგებელს. ამ პოზიციაზე ხომ ბევრად უკეთ ითამაშებდა ფლავიო კონსეისაო, კამბიასო ან თუნდაც მაკმანამანი. გუტის ამპლუა ხომ ნახევარმცველ/თავდამსხმელია?



რობერტო კარლოსმა "რეალს" გამარჯვება მოუტანა

მიღებული ყვითელი ბარათების გამო, გუშინდელ მატჩში "იუვენტუსს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა: ტაკინარდი, მონტერო, დავიდსი. სამაგიეროდ, ტურინელებს თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე დაემატათ, მოედნის ცენტრში კი ვეტერანმა კონტემ დაიკავა ადგილი.

მარჩელო ლიპიმ საკუთარი დანაპირები შეასრულა და "იუვენტუსიც" მხოლოდ მოწინააღმდეგის ხელის შეშლით არ იყო დაკავებული. ტურინელები საკმაოდ თამამად თამაშობდნენ თავდასხმაში და პირველი სახიფათო მომენტიც თავად შექმნეს, როდესაც მატჩის მე-8 წუთზე დავიდ ტრეზეგემ 10 მეტრის დაშორებიდან ააცილა ბურთი კასილიასის კარს.

ნელ-ნელა "რეალიც" ათამაშდა, ზიდანმაც ხელთ იგდო მატჩის სადავეები, რასაც იტალიელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა, ხოლო 23-ე წუთზე - რონალდოს გოლიც. "სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილი მაყურებელი, ალბათ, უკვე ტურინელთა განადგურების მოლოდინში იყო, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ. ერთ-ერთი შეტევისას, დელ პიეროს მიერ მოწოდებულ ბურთს მიჩელ სალგადომ მიმართულება შეუცვალა, ტრეზეგეს მისამართით... 1:1.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, "რეალი" საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე დადგა: ტრავმა მიიღო რონალდომ და დელ ბოსკე იძულებული გახდა, მის ნაცვლად 20 წლის პორტილიო გამოეყვანა. ასე რომ, მადრიდელების თავდასხმა დიდი ხნის უთამაშებელი მორიენტესის და გამოუცდელი პორტილიოს ამარა დარჩა. ვისენტე დელ ბოსკე ჯიუტად არ ცვლიდა სათამაშო სქემას და გუტი მატჩის ბოლომდე საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე დატოვა.

"რეალი" ფრეს მაინც გადაურჩა: 73-ე წუთზე ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა 18 მეტრის დაშორებიდან, მეკარე ბუფონისგან მარცხენა, შორ კუთხეში გაგზავნა ბურთი – 2:1. გვერდითა მსაჯმა ალამი აწია, რითაც თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. კარლოსის დარტყმის მომენტში, მადრიდელთა სამი ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა ბრაზილიელი აშკარად კარში ურტყამდა და ოფსაიდში მოყოლილ მადრიდელებს ამ გოლზე არავითარი ზეგავლენა არ ჰქონიათ. მთავარმა მსაჯმა ჰაუგემ ეს ბურთი ჩათვალა.

დარჩენილ წუთებში "რეალი" კიდევ ცდილობდა გოლების გატანას, მაგრამ ამაოდ. ისევე, როგორც მთელი მატჩის განმავლობაში, მათი შეტევები, ცოტა არ იყოს, ინერტული იყო. ეს ნამდვილად არ იყო ის "რეალი", რომელსაც მივეჩვიეთ.

რაც შეეხება ტურინელებს, გუშინდელ მატჩში მიღწეული შედეგის გამო, მათ საკმაოდ კარგი შანსები აქვთ, რათა განმეორებით შეხვედრაში ფინალში გასაღწევად იბრძოლონ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ გუშინდელ მატჩში ყვითელი ბარათები მიიღეს ფერარამ და იულიანომ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურინში ისინი ველარ ითამაშებენ. "რეალს" კი, შესაძლოა, რაული დაემატოს.

# ოთხი დერბი ერთ სეზონში

დიმიტრი ობოლაძე

ქართველ მცველს, კახა კალაძეს უნიკალური შანსი მიეცა: მას შეუძლია, გახდეს პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს. კარლო ანჩელოტის "მილანს" ერთი დაბრკოლება დარჩა გადასალახავი. დღეს სან-სიროზე სეზონის მესამე დერბი გაიმართება. როგორც "ინტერის" ფანები თვლიან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ორჯერვე "მილანმა" მოიგო. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი იტალიური გუნდი გავიდა. მათ შორის "ინტერი" აშკარად ყველაზე სუსტია და, წესით და რიგით, ფინალში სწორედ "მილანი" და კალაძე უნდა გავიდნენ.

არგენტინელ ჰექტორ რაულ კუპერს სერიოზული პრობლემები აქვს: მოედანზე ვერ გავა კრისტიან ვიერი, რომელსაც მყესი დაეჭიმა და, სავარაუდოდ, ვერც განმეორებით მატჩში ითამაშებს. "ნებისმიერი ფეხბურთელის შეცვლა შეიძლება, - განაცხადა კუპერმა, - ვიერი კი ნამდვილად შეუცვლელია." თავდამსხმელმა მესტალიას სტადიონზე, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში მიიღო ტრავმა. მან გაიტანა გოლი, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა და 32-ე წუთზე ალვარო რეკობას დაუთმო ადგილი. კარლო ანჩელოტის ნაკლები სანერვიულო აქვს. ტრავმა მოიშუშა და კვლავ მწყობრშია კლარენს ზეედორფი, რომელმაც, შესაძლოა, რეკორდი დაამყაროს. ჰოლანდიელს ორჯერ (1995 და 1998 წლებში) "აიაქსისა" და "რეალის" რიგებში აქვს მოგებული ჩემპიონთა თასი. ამჯერად იგივეს გამეორებას "მილანთან" ერთად ცდილობს. თუ ეს მოხდა, ზეედორფი გახდება ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც სამი სხვადასხვა კლუბის რიგებში ექნება მოგებული ჩემპიონთა ლიგა. ზეედორფმა თავისი ყოფილი გუნდის, "აიაქსის" წინააღმდეგ მატჩში მიიღო ტრავმა და, როგორც ექიმები ამბობდნენ, სეზონის დარჩენილი ნაწილი უნდა გამოეტოვებინა. თუმცა, საოცრად სწრაფად გაიარა რეაბილიტაციის პერიოდი და სათამაშოდ მზადაა. კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი: გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი ანდრეა პირლო. სამი იტალიური გუნდის ნახევარფინალში გასვლამ ევროპულ და იტალიურ პრესაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მაღალი შეფასება მიიღო "იუვენტუსისა" და "მილანის" თამაშმა. განსაკუთრებით აღინიშნა ამ კლუბების საიმედო თამაში დაცვაში. რაც შეეხება "ინტერს". "გუნდი ნახევარფინალში ფრანჩესკო ტოლდომ "გაათრია", – წერს "Gazzetta dello Sport". – დაცვაში შესანიშნავად გამოიყურებოდა." აბსოლუტურად სხვა სახის მასალები გამოაქვეყნა ესპანურმა "Marca"-მ, რომელიც თვლის, რომ "ვალენსია" გაცილებით უფრო იმსახურებდა ნახევარფინალში თამაშს." "ინტერი" ფეხბურთის მესაფლავეა, - წერს გაზეთი, - მადლობა ღმერთს, ყველა ასეთ ფეხბურთს არ თამაშობს." ჟურნალისტებს მხარი დაუჭირა რაფაელ ბენიტესმაც, რომელმაც კუპერი და "ინტერი" ანტიფეხბურთის პროპაგანდაში დაადანაშაულა. ბევრი მოსაზრება არსებობს, თუმცა, მთავარი მაინც ფაქტია. ნახევარფინალში გავიდა იტალიის სამი წარმომადგენელი, რაც საფუძველს გვაძლევს, განვაცხადოთ: "კატენაჩიო" დაბრუნდა. დღევანდელი დერბი კი, შესაძლოა, ნაკლებად სანახაობრივი გამოდგეს, მაგრამ უაღრესად დაძაბული იქნება. ამ მატჩში ქართველი მცველი კახა კალაძეც მიიღებს მონაწილეობას. ანჩელოტი კმაყოფილი დარჩა კალაძის თამაშით რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ. გაზეთი "24 საათი" კალაძეს გუშინ, საღამოს დაუკავშირდა. "ძნელია ამ სიტუაციის გადმოცემა, - განაცხადა ფეხბურთელმა, - მეოთხედფინალების დასრულების დღიდან ვემზადებით. ჩვენც და გულშემატკივარიც. ქუჩაში ფეხბურთელებს აჩერებენ და მატჩის მოგებას ითხოვენ. ეს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაა. ისე, ნახევარფინალში მაინც "ინტერთან" თამაში მერჩივნა. იმედი მაქვს, მოედანზე გავალ და ჩემს გუნდს ფინალში გასვლაში დავეხმარები." დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში. "მილანი"-ინტერი". მაყურებელს სურპრიზიც ელის. შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟის დასრულების შემდეგ პირდაპირ ეთერში ჩაერთვება კახა კალაძე, რომელიც მაყურებლის შეკითხვებსაც უპასუხებს.

# "ნუ გაგვიფუჭებთ ჩემპიონატს!"



ზეპ ბლატერი ხულიო ბრონდონას ვალშია



ხულიო ბრონდონას

ნინო პირველი

მოითხოვენ ფიფა-სგან გერმანელები. როცა ცნობილი გახდა, რომ ფრანც ბეკენბაუერის მონდომებამ თავისი ქნა და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში უნდა ჩატარდეს, მთელი გერმანია ეიფორიამ მოიცვა. უკვე 29 წელიწადია, გერმანელებს მსოფლიო ფეხბურთის ზეიმისთვის აღარ უმასპინძლიათ. გულშემატკივარს საშინლად მოენატრა მძაფრი განცდები – გერმანიაში ხომ ასე ძალიან უყვართ ფეხბურთი...

აზიური ჩემპიონატი ჯერ დასრულებულიც კი არ იყო, როცა გერმანელებმა მომავალი ჩემპიონატისთვის დაიწყეს მზადება. ეჭვი არავის ეპარება, რომ მასპინძლები ყველაფერს უმაღლეს დონეზე მოამზადებენ და 2006 წლის ზაფხულს ღირსეულად შეხვდებიან. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ამქვეყნად იოზეფ ბლატერი რომ არ არსებობდეს...

ფიფა-ს მხცოვანი შეფი მუდამ გამოირჩეოდა თავისი ექსცენტრულობით და უჩვეულო ინტრიგებით. როგორ არ ეცადნენ მის თავიდან მოშორებას, მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა. ბლატერი ისევ თავის ადგილზეა და განაგრძობს თვითნებობას. ამჯერად მისი საკბილო გერმანიის ჩემპიონატი გახდა. ბლატერი აპირებს, 2006 წლისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების რიცხვი გაზარდოს – 32-ის ნაცვლად 36 გუნდს მისცეს დასკვნით ეტაპზე მონაწილეობის მიღების უფლება. ფიფა-ს გადაწყვეტილება ჯერ არ მიულია, ბლატერის ოფიციალური ვერდიქტი ივნისში გახდება ცნობილი, მაგრამ გერმანიაში უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ სამი წლის შემდეგ ოთხი გუნდით მეტს უნდა უმასპინძლონ, რაც გერმანელებს საშინლად აღიზიანებთ. მასპინძლებს მიაჩნიათ, რომ ოთხი გუნდის დამატება ზედმეტ პრობლემებს შექმნის და ჩემპიონატიც მოსაწყენი გახდება.

ფრანც ბეკენბაუერი ფიქრობს, რომ ერთი სამხრეთამერიკული გუნდისა და დაბალი კლასის ევროპული ნაკრებების დამატება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. "აბა, რა უნდა შემატოს ჩემპიონატს ვენესუელის ნაკრებმა, რომელიც რეიტინგში 65-ე ადგილზეა, ანდა, 58-ე პოზიციაზე მყოფმა უნგრელებმა? ასეთი გუნდების ხილვა მაყურებელს სიამოვნებას არ მიანიჭებს, ეს მხოლოდ ფულის კეთებისთვისაა გამიზნული", - აცხადებს კაიზერი.

მაინც ვინ აპირებს მუნდიალის სტრუქტურის შეცვლით ფულის გაკეთებას? რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა ზეპ ბლატერი. ჯერ კიდევ მარტში ბლატერი მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის წინააღმდეგი იყო, ახლა კი უცებ თანხმობა განაცხადა. რამ გამოიწვია გადაწყვეტილების ასე უცებ შეცვლა? საქმე ის არის, რომ სამხრეთ ამერიკის ზონის "შეფი", არგენტინელი ხულიო გრონდონა თავგამოდებით იბრძვის იმისთვის, რომ მისი კონტინენტის ათი ქვეყნიდან ხუთმა მაინც შეძლოს ჩემპიონატზე გამგზავრება. ბლატერი ვალშია გრონდონას წინაშე. როცა შვეიცარიელი მეორედ იყრიდა კენჭს ფიფა-ს პრეზიდენტის პოსტზე, არგენტინელმა მას დიდი დახმარება გაუწია და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბლატერს გაემარჯვა. გარდა ამისა, გრონდონა კარგად ერკვევა ფიფა-ს ფინანსურ საქმიანობაში და დიდი გავლენითაც სარგებლობს. ბლატერი მას ვერ გაანაწყენებს - ასეთი ძლიერი მომხრე ყოველთვის გამოადგება კაცს... სწორედ ამიტომ გერმანიაში უკვე დარწმუნებული არიან, რომ ბლატერი თავის მეგობარს უარს არ ეტყვის და სამხრეთ ამერიკას კიდევ ერთი გუნდის გამოყვანის უფლებას მისცემს. ივნისამდე დრო კიდევ არის, მაგრამ ფრანც ბეკენბაუერს იმედი არა აქვს, რომ ბლატერის დარწმუნებას შეძლებს და მონაწილეთა რიცხვი უცვლელი დარჩება.

ახალი მონაწილეების დამატებით ბლატერი ზედმეტ თანხებსაც მოუყრის თავს. აბა, რომელი ქვეყანა იტყვის უარს თავისი ნაკრების თამაშების ჩვენებაზე? "ახლებს" გულშემატკივრებიც ჩამოჰყვებიან, ვიპ-ლოჟების ბილეთებიც ბევრად მეტი ელირება, სპონსორებიც აქტიურად ჩაერთვებიან საორგანიზაციო საკითხებში. მოკლედ, ფული შემოვა, ფული, რომელიც ბლატერისთვის თავად ფეხბურთზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია...

Fox Kids

# ქუთაისის "მუხრანი" იმერეთის ჩემპიონია

## "ფოქს კიდსმა" იმერეთის რეგიონისა და ხაშურის საქალაქო ტურნირის გამარჯვებულები გამოავლინა

აკა ტონია

"ფოქს კიდსის" ტურნირზე თბილისში გუშინ შესვენება იყო, თუმცა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მატჩები გაიმართა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. გუშინვე გახდა ცნობილი იმერეთის რეგიონის გამარჯვებულის ვინაობაც. იმერეთის თასის ფინალში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, ქუთაისის "მუხრანი" და ზესტაფონის "მარგვეთი" შეხვდნენ ერთმანეთს. ისევე როგორც ქუთაისის საქალაქო პირველობის ფინალი, ეს მატჩიც 1:1 დასრულდა და მისი გამარჯვებულის ვინაობაც პენალტების სერიაში გამოვლინდა. გაიმარჯვა "მუხრანმა". ის "ფოქს კიდს"-საქართველოს ფინალურ ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას. გოგონებს შორის იმერეთის თასის ფინალშიც ქუთაისისა და ზესტაფონის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მატჩიც ფრედ, 1:1 დასრულდა. ზესტაფონის მე-7 სკოლის გუნდმა "აისმა" "TV ქუთაისის" გოგონებს პენალტების სერიაში აჯობეს და საქართველოს თასის ფინალური ეტაპის საგზურები მოიპოვეს.

დღეს დასავლეთ საქართველოს ქვეგანაყოფი გადაინაცვლებს სენაკში, სადაც ტელეკომპანია "ეგრისის" ხელშეწყობით სენაკის საქალაქო ტურნირი გაიმართება. ამ ტურნირის გამარჯვებული, სამეგრელოს სხვა ქალაქების გამარჯვებულებთან ერთად, სამეგრელოს თასისთვის იბრძოლებს.

გუშინ გაიმართა მატჩები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშიც. ხაშურის საქალაქო ტურნირის ფინალში "ივერიამ" 2:0 მოუგო "უღელტეხილს", ხოლო გოგონებს შორის გაიმარჯვა "დიანამ", რომელმაც ფინალში "მზიურს" მოუგო - 1:0.

დღეს ქართლის თასის შესარჩევი მატჩები დასრულდება გორის საქალაქო ტურნირით, რომელსაც ტელეკომპანია "თრიალეთი" გაუწევს ორგანიზებას.

დღესვე განახლდება შეხვედრები თბილისშიც. ამჯერად "ფოქს კიდსი" ნაძალადევის რაიონს ესტუმრება და ამ უბნის გამარჯვებულს გამოავლენს.

ჭადრაკი

# ევროპამდე გაშლილი საჭადრაკო დაფები

*ვიდრე ქართველი მოჭადრაკეები ევროპულ დაფას მიუსხდებოდნენ, მათ ქართულ სარბიელზე უწევთ ურთიერთობის გარკვევა. გუშინ სტარტი აიღო ვაჟ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატმა. ქვეყნის ჩემპიონატზე მიღწეული შედეგები კი პირდაპირ კავშირშია თვის ბოლოს სტამბოლში გასამართ ევროპის მე-4 ჩემპიონატთან.*

გიგა გურასაშვილი

ვაჟ მოჭადრაკეთა საქართველოს 63-ე ჩემპიონატს ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს. ჩემპიონატში 32 მოჭადრაკე გამოდის. მათ შორის სამი ქალია. ქართველი მოჭადრაკეები საქართველოს ჩემპიონის ტიტულთან ერთად თურქეთში გასამგზავრებელ საგზურებსაც ეცილებიან ერთმანეთს, რადგან პირველ ოთხეულში გასული მოჭადრაკეები 29 მაისიდან 15 ივნისამდე გასამართ ევროპის ჩემპიონატის საგზურს ავტომატურად დაეუფლებიან. თუმცა, ზომა-წონით არანაკლები მნიშვნელობისაა საქართველოს ჩემპიონატიც. აქ დაშვებულ მოჭადრაკეებს შორის არიან 2002 წლის საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები (სამი), შარშანდელი ჩემპიონატის პირველი სამი პრიზიორი და ფიდეს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) რეიტინგ-სიის პირველი 23 საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მოთამაშე (01.01. 2003 წლის ჩათვლით). მათ შორისაა 12 საერთაშორისო კლასის დიდოსტატი, 8 საერთაშორისო ოსტატი და ერთი ფიდეს ოსტატი.

ქვეყნის უმთავრესი ასპარეზობა ნოკ-აუტ (გამოთიშვით) სისტემით მიმდინარეობს. ძირითადი მატჩების პარტიებში დროის კონტროლი 90-90 წუთია (პარტიის ბოლომდე ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით). ძირითადი მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში (ფერებზე ახალი კენჭისყრის შემდეგ) მეორე დღეს გათამაშდება ორი პარტიისგან შემდგარი პირველი დამატებითი მატჩი ფიქსირებული დროით – 25-25 წუთი სწრაფ ჭადრაკში. მატჩს იგებს 1,5, ან 2 ქულა. თუ ეს მატჩიც ფრედ დასრულდა, მაშინ იგივე პრინციპით გათამაშდება მეორე დამატებითი მატჩი ფიქსირებული დროით – 15-15 წუთი. კვლავ ფრეს შემთხვევაში ინიშნება მესამე დამატებითი 5-5-წუთიანი მატჩი, ამჯერად ბლიცში. თუ აქაც იგივე შედეგი დაფიქსირდა, მაშინ ფერებზე ახალი კენჭისყრის შემდეგ გათამაშდება ერთი პარტიისგან შემდგარი მეოთხე დამატებითი მატჩი ბლიცში. ამასთან, თეთრი ფიგურებით 6, ხოლო შავით ფიგურებით მოთამაშეს 5 წუთი ექნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თეთრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს.

ტურნირში დაითვლება ფიდეს რეიტინგი და მეოთხე წრეში გასულთათვის დაწესდება საერთაშორისო ოსტატისა და დიდოსტატის ნორმატივი (რა თქმა უნდა, თუ სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც შესრულდება).

ნახევარფინალში დამარცხებულნი გაითამაშებენ III-IV ადგილს. საქართველოს ჩემპიონი და მეორე პრიზიორი ავტომატურად ჩაირიცხებიან საქართველოს ნაკრებში, რომელიც ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გაემგზავრება.

გუშინ კი პირველი წრის პირველი პარტიები გაიმართა. ასე რომ, დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია. 16 პარტიიდან ხუთი ყაიმით დასრულდა.

კალათბურთი

# მეორე რაუნდი დაიწყო

კვირას დეტროიტმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო ორლანდოს, დალასმა კი, როგორც იქნა, დაძლია პორტლენდის წინააღმდეგობა. ამით გამოვლინდა ყველა ნახევარფინალისტი, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებს. დეტროიტს ორლანდოს წინააღმდეგ პრობლემა არ ჰქონია – 108:93. ის NBA-ის ისტორიაში მეშვიდე გუნდია, რომელმაც 1:3-ის შემდეგ მოახერხა სერიაში გამარჯვება. დალასმა კი ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში, გერმანელი დირკ ნოვიცკის გარჯის წყალობით, დაძლია ამბიციური პორტლენდის წინააღმდეგობა – 107:95. ასეა თუ ისე, წლევანდელი პლეი-ოფის პირველი რაუნდი ისტორიას ჩაბარდა. გუშინ კი მეორე რაუნდის ორი მატჩი გაიმართა.

პლეი-ოფი NBA-ის დამაგვირგვინებელი, ჯადოსნური დროა. ამ პერიოდში სასწაულები ხდება, ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ვის ხვდება. აქ სუსტი ძლიერს ამარცხებს, თანაც, ერთხელ კი არა, არამედ სერიაშიც იმარჯვებს. შესანიშნავი ფრაზა წარმოთქვა კენი სმიტმა – ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის კომენტატორმა: "რეგულარულ ჩემპიონატში მოთამაშე სახელს იკეთებს, პლეი-ოფში მოთამაშე კი – დიდებას".

მაინც ვინ მოასწრო ამ ორ კვირაში სასწაულის მოხდენა? რა თქმა უნდა, ბოსტონმა, რომელმაც კარგად ორგანიზებული და უაღრესად პერსპექტიული ინდიანა ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა. "სან-ანტონიო სპერსს" კი ძალიან გაუჭირდა პირველი რაუნდის აუტსაიდერის "ფინიქს სანსის" დამარცხება. ეს იმიტომ მოხდა, რომ ტიმ დანკანმა ვერ აჩვენა წლის საუკეთესო კალათბურთელის შეასფერისი თამაში, რისი პატივიც, ზედიზედ მეორე წელიწადია, დანკანს ეღირსა.

როგორც უნდა ვილაპარაკოთ, ეს ყველაფერი წარსულია. დანკანიც და სან-ანტონიოც მეორე წრეში გავიდნენ და ამ ეტაპზე NBA-ის მოქმედ ჩემპიონთან, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" გაარკვევენ ურთიერთობას.

**სან-ანტონიო – ლეიკერსი 87:82**
*(სერიის ანგარიში – 1:0)*

პირველ სერიაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ აჩვენა მისთვის დამახასიათებელი უმაღლესი დონის თამაში, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მათგან ამას არც არავინ ითხოვდა. პლეი-ოფის ოთხი საფეხური რომ გადალახო, ამისთვის საჭიროა, იცოდე ძალების მინიმალური დანახარჯით მოგება და მომავლისთვის თამაშის გაუმჯობესების რეცეპტი. ეს ცოდნა პირველ რაუნდში ორივე გუნდმა დაადასტურა, მაგრამ ამ წყვილში მაინც ჩახლართული მდგომარეობაა და ფავორიტის ხელაღებით გამოცნობა უაღრესად ძნელი საქმეა.

"სპერსის" სასარგებლოდ საკუთარი მოედნის უპირატესობა და წლევანდელი რეგულარული სეზონის სტატისტიკა მეტყველებს (4:0). "ლეიკერსის" არგუმენტი კი პლეიოფში გამარჯვებაა, კერძოდ, "სან-ანტონიო სპერსზე" (4:0 და 4:1 – ბოლო ორი წლის ჯამში). ჩარლზ ბარკლის თუ ვკითხავთ, NBA-ის მომავალი ტრიუმფატორი სწორედ "ლეიკერს"-"სპერსს" შორის გამარჯვებული იქნება. "მე შეიძლება შევცდე, მაგრამ... რაღაც არ მგონია", – ამბობს ბარკლი.

პირველ მატჩში ნერვების ბრძოლა გაჩაღდა. "ლეიკერსის" დიდი დუეტი – ბრაიანტი (37) და ო`ნილი (24 +21 მოხსნა), "სპერსის" ლიდერების - დანკანისა (28 +8 მოხსნა, +7 გადაცემა) და რობინსონის (14 +11 მოხსნა) წინააღმდეგ. მატჩის მსვლელობისას სტუმრები 10 ქულასაც აგებდნენ, მაგრამ მეოთხე მეოთხედში დეფიციტი ერთ ქულამდე შეამცირეს. თამაშის გადასარჩენად კი ძალა არ ეყოთ. შაკილ ო`ნილმა ექვსი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა.

**ნიუ-ჯერსი – ბოსტონ სელტიკსი 97:93**
*(სერიის ანგარიში – 1:0)*

"ბოსტონ სელტიკსმა" წლევანდელ სეზონში ისეთი სიურპრიზი გამოაცხო, რომ მის ქომაგებს დიდხანს გაჰყვებათ ნუგეშად. ამ სიტყვებს ამბობენ ნიუ-ჯერსიში, სადაც ბოსტონელთა გამარჯვების აღარავის სჯერა. უფრო სწორად, სურთ, არ დაიჯერონ, რადგან ამ წყვილში "ნიუ-ჯერსი ნეთსის" დივიდენდები ძალიან ძვირად ფასობს. დივიდენდი დივიდენდად, მაგრამ "ბოსტონ სელტიკსმა", წაგებულ მატჩში ბრჭყალები მაინც გამოაჩინა.

სტუმართა ლიდერმა პოლ პირსმა (34 +8 გადაცემა) თავის ანგარიშზე 34 ქულა ჩაიწერა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა და "სელტიკსიც" დამარცხდა. მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე პირსი მარტო დარჩა სამქულიან რკალთან, მაგრამ არაზუსტად ტყორცნა.



მანუ ჯინობილი შაკილ ო`ნილის წინააღმდეგ

ფოლიანტი

კახა ფაჩუაშვილი

## მიდი, მოადე!

გასული საუკუნის ოციან წლებში ამერიკის რინგზე ჯეკ დემპსი (ნამდვილი სახელი უილიამ ჰარისონი) გამეფდა. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე 1895 წლის 24 ივნისს ამერიკის შტატ კოლორადოში დაიბადა. სხარტი გონებითა და ძლიერი დარტყმებით გამორჩეულმა, სწრაფად მიიპყრო ამერიკელთა ყურადღება. მისთვის, როგორც მოსახლეობის უკიდურესად ღარიბი ფენის წარმომადგენლისთვის, დამხმარე მუშად სამსახურიც დიდი შეღავათი იყო. 19 წლამდე იმუშავა ჯეკ დემპსმა მაღაროში, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ბედმა არ გაუღიმა.

1914 წელს, იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ, მას რინგზე ჩხუბი შესთავაზეს. დემპსი არც დაფიქრებულა, ისე დათანხმდა და დესერტად რინგზე ბრძოლისთვის შესაფერისი ფსევდონიმი - კიდ ბლეკი წაიმძღვარა. დებიუტი იმედისმომცემი გამოდგა. კიდ ბლეკი ძალასთან ერთად სიფიცხით, დიდი ტემპერამენტითა და შეუპოვრობით ხასიათდებოდა. ეს ბუნებრივიც იყო. მის ძარღვებში ხომ ინდიელისა და ირლანდიელის სისხლი ჩქეფდა.

ჯეკ დემპსი მატჩიდან მატჩამდე იძენდა რწმენასა და გამოცდილებას და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისთვის ლუკმაპურის შოვნა რინგზე უფრო ადვილია, ვიდრე მაღაროებში. ამ შეგნებით ცხოვრობდა კიდ ბლეკი, მაგრამ ფსევდონიმი რატომღაც აითვალწუნა. მოეჩვენა, რომ ის ძალიან თავმდაბლურია და გადაწყვიტა, რინგზე ახალი სახელით გამოსულიყო - ჯეკ დემპსი! ამ სახელს, ერთ დროს, კრივის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი (1884-1891 წ.წ. საშუალო წონით კატეგორიაში) ატარებდა.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში (1915-1916 წ.წ.) მეორე ჯეკ დემპსმა 29 ბრძოლა ჩაატარა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. 18 შეხვედრა კი ნოკაუტით მოიგო. ამერიკელები ჯეკ დემპსზე ალაპარაკდნენ. ახალგაზრდა მოკრივემ ყველაზე უკეთ აითვისა ახლო დისტანციიდან ბრძოლის ხელოვნება და ამ საქმეში ის შეუდარებელი იყო. დემპსი ორივე ხელით უძლიერეს დარტყმას ფლობდა, თან, უაღრესად სწრაფად და მოხერხებულად მოძრაობდა. მან აბსოლუტურად შეისისხლხორცა მეტსახელი - „ჯეკ ვეფხვი", რომელიც გულშემატკივრებმა შეარქვეს.

ჯეკ დემპსის კარიერაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ფრედ ფულტონთან შეხვედრა (1918 წლის ივლისში). 190,5 სმ. სიმაღლის ფულტონი 118 კილოგრამს იწონიდა და, რაც მთავარია, მას მსოფლიო ჩემპიონთან, ჯეს უილარდთან ბრძოლის უპირობო კანდიდატად მიიჩნევდნენ. ჯეკისთვის კი მეტოქის გაბარიტებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის საუკეთესო ფორმაში იყო. ფულტონის მენეჯერმა მაიკლ კოლინზმა ივარაუდა, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდებისკენ მიმავალ გზაზე, მის ფავორიტს დემპსთან გაჯიბრება არ აწყენდა და ფულტონ-დემპსის მატჩის ორგანიზებას შეუდგა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გიგანტმა ფულტონმა დემპსს მხოლოდ 23 წამის განმავლობაში გაუწია მეტოქეობა და უძლიერესი დარტყმებით თავზარდაცემული რინგზე გაიშხლართა.

ეს უკვე დემპსის აღიარება იყო. მართალია, სკეპტიკოსმა მიმომხილველებმა მისი გამარჯვება შემთხვევითობას მიაწერეს, მაგრამ ჯეკის შემდგომმა გამარჯვებებმა (ოთხი ნოკაუტი ოთხ შეხვედრაში) ცხადყო, რომ „ჯეკ-ვეფხვი" მომავლის მოკრივეა. ამრიგად, 1919 წლის 4 ივლისს ფულტონ-უილარდის ბრძოლის თარიღი, დემპსი-უილარდის შეხვედრის დღედ გადაიქცა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ჯეკ დემპსი რაიმეს გააწყობდა ისეთი კოლოსის წინააღმდეგ, როგორიც ჯეს უილარდი იყო (111 კგ. 198 სმ.). პრეტენდენტთან შედარებით, მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა სიმაღლეში 11 სანტიმეტრი, ხოლო წონაში 26,2 კილოგრამი იყო.



ჯეკ დემპსი

...და ისევ სიურპრიზი. იმ იოლმა გამარჯვებამ, რომელიც ჯეკ დემპსს ერგო, თვით ყველაზე გამოუსწორებელი სკეპტიკოსების ეჭვებიც კი გააქარწყლა. კრივის სამყაროში დემპსის მიმართ უნდობლობა გაქრა. ამერიკა მოესწრო ჩემპიონს, რომელსაც სპეციალისტები წარსულის ყველაზე გამოჩენილ ოსტატებს ადარებდნენ. 7 წელიწადზე მეტ ხანს ბატონობდა ჯეკ დემპსი პროფესიულ რინგზე. მხოლოდ 1926 წლის 23 სექტემბერს დაუთმო მან ტახტი „მოკრივე-ფილოსოფოსს" - ჯინ ტუნეის. ერთი წლის შემდეგ გამართული მატჩ-რევანშიც ტუნეის გამარჯვებით დასრულდა. ჯეკ დემპსის ეპოქა წარსულისკენ მიექანებოდა. პროფესიულ რინგზე ახალი ლეგენდა გამოჩნდა - ჯინ ტუნეი.

დემპსმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ფიზიკური კონდიციები. ერთხელ, როდესაც დემპსი ცოლთან ერთად სეირნობდა, ორმა ახალგაზრდამ, ყოვლად უცერემონიოდ, საფულე წაგლიჯა ლეგენდარული მოკრივის მეუღლეს და მიმალვა სცადა. ჯეკ დემპსი დაეწია მძარცველებს და თვალის დახამხამებაში ისე ეფექტური ზნეობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაუტარა, რომ პოლიციას თვითონ ჩაბარდნენ... იქნებ ეს კაცი მოგვაშოროთო, - ამბობდნენ გამწარებული "თავგადასავლის მაძიებლები". ეს ამბავი 1977 წელს მოხდა. ჯეკ დემპსი უკვე 82 წლის იყო.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 7 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა.
13:15 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი.
15:00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა.
15:55 ლიბერტადორესის თასის მიმოხილვა.
16:50 "გასული კვირის ჰიტ-პარადი".
18:30 ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა.
19:25 თავისუფალი დარტყმა.
19:45 "გასული კვირის ჰიტ-პარადი".
21:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე".
22:00 "დარტყმა გოლის მიმართულებით".
22:15 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
23:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.

**НТВ+СПОРТ**
4:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. *ტრანსლაციის დასრულების შემდეგ 11:00-მდე შესვენება.*
11:00, 14:00, 17:15, 20:00 "პრეს-ცენტრი".
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები".
11:20 აერობიკა.
11:45 ჰოკეი სტენლის თასი. ფინალი.
14:15 "ვარსკვლავური სამშაბათი".
15:15 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები და ქალები. ფინალი.
17:30 ჩოგბურთი. "Masters Series". რომი პირდაპირი ტრანსლაცია.
19:15 "NHL-პლუსი".
19:25 ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ტრადიციული რბოლა ტემზაზე.
20:15 "Power week NHL-ის კვირა".
20:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. შესვენებისას (22:00) "პრეს-ცენტრი".
23:10 პოკერი. "One Million Poker-2003". მეორე ნაწილი.
0:00 ჩოგბურთი. "Masters Series". რომი პირდაპირი ტრანსლაცია.
1:30 ახალი ამბები.
1:45 "NHL-პლუსი".
1:55 კიკბოქსინგი. პროფესიონალთა ბრძოლა.

**EUROSPORT**
11:30 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:00 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:30 საფეხბურთო ჟურნალი "ევროგოლი".
14:00 მსოფლიო ჩემიონატი სნუკერში.
15:00 ჩოგბურთი. ქალები. პირდაპირი რეპორტაჟი ბერლინიდან.
19:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 17 წლამდელთა შორის. პორტუგალია – დანია.
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 17 წლამდელთა შორის. ესპანეთი – იტალია.
22:45 ფეხბურთი. სპეცმიმოხილვა.
23:30 გოლფი. ტელეჟურნალი.
0:30 ცხენოსნობა. საჩვენებელი ხტომები.
1:30 აფროსნობა.
2:30 სუმო.

საქართველოს სპორტულ მოედნებზე

ოთხშაბათი. 7 მაისი

**თბილისი.** ფეხბურთი. საქართველოს თასი. ნახევარფინალი. ეროვნული სტადიონი. დინამო – ლოკომოტივი 18:00
**ქუთაისი.** ფეხბურთი. საქართველოს თასი. ნახევარფინალი. ტორპედო – სიონი 18:00
**თბილისი.** ჭადრაკი. ვერის ბაღი. ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის.
**თბილისი.** კალათბურთი. ვერის ბაღი. მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის დარბაზი. საქართველოს ჩემპიონატი. მატჩი მე-5 – მე-8 ადგილებისთვის. მაკაბი – ქუთაისი 15:00
**ბათუმი.** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ბასკო – სტუ-ჯეოსელი 17:00
**თბილისი.** რაგბი. სასტუმრო "მარიოტი". საქართველოს შვიდკაცას საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენცია მომავალ ტურნირთან დაკავშირებით 17:30
**თბილისი.** ფოქს კიდსის თასი. ნაძალადევის რაიონის თამაშები
**სენაკი.** ფოქს კიდსის თასი. სენაკის ჩემპიონატი
**გორი.** ფოქს კიდსის თასი. გორის ჩემპიონატი

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

2003 წლის 11 მაისს, 12 საათზე, სააქტო დარბაზში ჩატარდება **ღია კარის დღე.**

**მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 45.**

**ტელ: 23-05-03.**

„ხალხის პირისპირ" – ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი:

1

2

3

4

5

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შესადგენად:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოუწერელი ბლანკი არ მიიღება.

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი კაპიტალური კერძო სახლი 2 მიწის ნაკვეთით სოფ. დიდი ცემი.
ფასი: 10 000$
ტელ: 899 263209 კახა.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442**

## სხვადასხვა

ვაკეთებ "ციკლოვკას" უმაღლესი ხარისხით. 8(99) 10 22 16

იყიდება მალაზიის ალჭურვილობა და დახლ-მაცივარი თავისი ალჭურვილობით. 62 20 23

იყიდება მინი ფოტოლაბორატორია "ნორიცუ-1801". 79 69 28

იყიდება უნგრული დასაშლელ-ასაწყობი მოდული (50X30X15)მ; 8(99) 54 13 37

სარეკლამო სააგენტო სამუშაოდ იწვევს თანამშრომლებს. ცნობებისათვის დარეკეთ: 55 21 02, 55 21 03

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**

ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**










# აფიშა

## თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
"კარმენი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლში, მარინა ჯანაშია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"სამი პიესა" რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**N გალერეა**
ბესო გულაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა Random Dance
გახსნა 18:00 სთ

**არტ ორიენტი**
"აბრეშუმის გზა"

**ეროვნული გალერეა**
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ქართული სახლის დიზაინისა და არქიტექტურის თემაზე შექმნილი ფოტოგამოფენა

**ჰობი**
ცირა კალანდაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
"ქართული საფლავის ქვები"
ფოტოების ავტორი გოჩა ღულელაური
გახსნა 16 საათზე

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ფრიდა"
დას: 13:30; 22:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"გააანალიზე-2"
დას: 16:00 სთ; ფასი 6,7 ლარი-
"აგენტი ჯონი ინგლისში"
დას: 18:00; 20;00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

**„რუსთაველი"**
"მზის ცრემლები"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კუპონი

[illegible]

4.05.03 N-120

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მწიერი"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

# TV პროგრამა 7 მაისი

### რუსთავი - 2
07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „საშიში ქალი" მთ. რ-ში: დებრა უინგერი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი
07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.10 მხ. ფილმი „წითელი მზე"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი „ქამელეონი"
16.40 პალიტრა
17.10 რამპა
17.15 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.30 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 საქართველო არის ესე
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „სილამაზის სალონი „ვენერა"

### პირველი სტერეო
08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „საკუთარი ბიჭი"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „ტაქსი-2" მთ.რ-ში სამი ნასერი
01.40 ფილმი ღამურა „მფატრავი" მთ.რ-ში მაიკლ იორკი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი
19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „დუმილის ზონაში"

### იბერია
08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „დიდი უსიამოვნებანი"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „სამოთხე"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „შურისძიების ანგელოზი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ქოფაკი მეომრები"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა
10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საგავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საგავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 თინეიჯერი
23.30 მუსიკალური პაუზა
23.45 ტელესერიალი „ყავახანა"

### მეცხრე არხი
09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
12.45 მხ. ფილმი „ძალიან მაგარი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „ჟანა დარკი" მე-2 ს.
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „სიგიჟის ზღვარზე"
00.20 მხ. ფილმი „მარკიზ დე სადი"

### იმედი
17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 „არტ-ბულვარი"
19.50 ფანების კინოკლუბი „რა სურთ ქალებს" მ. გიბსონი
21.00 ფანების კინოკლუბი (გაგრძელება)
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი"
23.40 „არტ-ბულვარი"

### აჭარა
08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკ. ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 კომედია „მოჩვენებებზე მონადირენი"
10.55, 14.10 მუსიკა
11.15 დოკ. ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „ხელმწიფის მოწყალება"
14.30 კომედია „ცირკი"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „ახალი ბრემენელები"
17.15 მუსიკა
17.25 მელოდრამა „პონეტი"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი"
19.40, 22.50, 00.40, 01.00 მუსიკა
20.10 სათავგადასავლო ფილმი „ფათერაკების მაძიებელნი"
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.25 კომედია „ჯენტლმენები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ"
03.20 დოკუმენტური ფილმი
04.10 მხატვრული ფილმი „მისტერ ჰონკონგი"

### VII არხი
09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „გიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.50 „კინოკლუბი „ - „აბსოლუტური ძალაუფლება" თრილერი. რეჟ: კლინტ ისტვუდი როლებში: კლინტ ისტვუდი და ჯინ ჯეკმანი
01.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.40 „გიორითმი" - .

### ОРТ
07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Худ.фильм „Женская логика", 2 с.
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд 2"
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Худ.фильм „Война на западном направлении", 5 с.
14.40 „Смак"
15.00 „Русский экстрим"
15.30 „Тайны забытых побед". „Лунная гонка"
16.15 „Солдаты свободы". „Штурм Берлина"
17.05 Док.сериал „Дикие штучки"
18.00 „Большая стирка"
19.30 „Смехопанорама"
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „У опасной черты"
01.10 „Ударная сила". „Звездная катапульта"
01.40 „Формула власти". Г.Алиев
02.25 „Апология"
03.15 Сериал „Пришелец"

### РТР
06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Детектив „Без срока давности"
11.40 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Мелодрама „Арабский принц"
14.15, 17.45 „Экспертиза"
14.30 „Вся Россия"
14.45 Вести - Москва
15.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех 2"
17.15, 04.10 „Агентство одиноких сердец"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50 „Дорожный патруль"
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Праздничный концерт, посвященный Дню радио
00.15 Худ.фильм „Мы не ангелы"
02.30 „Синемания"
03.00 „Дорожный патруль"
03.15 Сериал „Твин Пикс"

### НТВ
07.00 Утро на НТВ
09.50, 21.50 Сериал „Свободная женщина"
11.00 „Сегодня утром"
11.25 Док. драма „Преступление и наказание"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 „Сегодня"
12.05 „Растительная жизнь"
12.35 „Вы будете смеяться!"
13.05 Худ.фильм „Пароль знали двое"
14.40 Криминал
15.05 „Широка страна. Колея"
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 Что сон грядущий нам готовит? „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Улицы разбитых фонарей"
19.20 „Чистосердечное признание"
23.00 „Страна и мир"
23.35 Футбол. Лига чемпионов. 1/2 финала. „Милан" - „Интер"
01.40 Комедия „Третий не лишний"
03.00 „Ночь"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# ყველაზე სახელგანთქმული კოშკი

სიმაღლე საუკუნეების განმავლობაში შთააგონებდა ხუროთმოძღვრებს, და აი, ოცნება ასრულდა: 114 წლის წინათ, 1889 წლის 7 მაისს, პარიზში ეიფელის კოშკის მშენებლობა დაამთავრეს. ეს გამომწვევი, ცაში ამაყად აჭრილი ნაგებობა მანამდე შეუძლებელი საშუალებებით შეიქმნა, და ის მე-19 საუკუნის ტექნიკური აზროვნების მწვერვალი, ახალი, ინდუსტრიული ეპოქის სიმბოლოდ იქცა. დამთვალეიერებელი დღესაც განცვიფრებით შესცქერის ეიფელის კოშკს. უკვე ას წელიწადზე მეტია, ისინი გაიგივებული არიან – ეიფელის კოშკი და პარიზი.

მე-19 საუკუნის ბოლოს სწრაფმა ტექნიკურმა პროგრესმა არქიტექტურასა და მშენებლობაში რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ასეულობით მეტრის სიმაღლის ნაგებობების გრანდიოზული პროექტები იქმნებოდა, მაგრამ მრავალმა იმთავითვე მარცხი განიცადა.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთში მცხოვრები ინჟინერი, გუსტავ ეიფელი, თავის ტრიუმფში სრულიად დარწმუნებული იყო. მას უკვე ჰქონდა საინჟინრო სამუშაოების ჩატარების გამოცდილება, სხვათა შორის, თავისუფლების ქანდაკების ლითონის კარკასიც მისი ნახელავია. გარდა ამისა, რამდენიმე სარკინიგზო ხიდიც ჰქონდა აშენებული, და ცნობილი იყო, რომ გუსტავ ეიფელი ყველაზე რთულ ტექნიკურ პრობლემებს არაორდინარული საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღებით უმკლავდებოდა.

ძალიან მაღალი შენობების დაპროექტების ტალღა მასაც მისწვდა, და 1884 წელს ეიფელმა და მისმა კომპანიამ 300 მეტრამდე სიმაღლის კოშკის მშენებლობის პროექტზე დაიწყეს მუშაობა. ამ საქმეში დიდი წვლილი მის მთავარ დამგეგმარებელს, მორის კელშინს მიუძღვოდა.

1886 წელს კი პარიზში 1889 წლის მსოფლიო გამოფენისთვის არქიტექტურული პროექტების კონკურსი გამოცხადდა. გამოფენას ტექნიკური პროგრესის მიღწევების დემონსტრირება უნდა მოეხდინა. კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა საზოგადოებრიობას შეატყობინა, რომ დავალებებს შორის ლითონის კონსტრუქციისგან შექმნილი კოშკის პროექტიც უნდა ყოფილიყო, 1000 ფუტის (304,8 მეტრის) სიმაღლისა. შესაძლოა, იმხანად უკვე სრულიად კონკრეტულ, გუსტავ ეიფელის პროექტსაც გულისხმობდნენ. ასე თუ ისე, საკონკურსოდ ასზე მეტი პროექტი იყო წარდგენილი, მაგრამ საბოლოოდ საუკეთესოდ მაინც ეიფელის კონსტრუქცია აღიარეს. ახლა ინჟინერს სულ მცირე დროში, ორ წელიწადში, მისი აგება ევალებოდა.

ჰორიზონტალურ პროექციაში ეიფელის კოშკი 1,6 ჰექტარის ფართობის კვადრატზეა დამყარებული. ანძასთან ერთად მისი სიმაღლე 320,75 მეტრს შეადგენს. კოშკი 8600 ტონას იწონის, და, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მისი მშენებლობის პროცესში 2,5 მილიონი მოქლონი გაკეთდა. კოშკის 12 ათასი დეტალი დაწვრილებითი ნახაზების მიხედვით დამზადდა, და ეიფელი ყოველი მათგანის გაკეთებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. იმ დროისთვის მსოფლიოს ყველაზე მაღალი კოშკი 250-მა მუშამ განსაცვიფრებლად მოკლე დროში – 26 თვეში დაამონტაჟა.

კოშკი ასე სწრაფად მხოლოდ იმის წყალობით აშენდა, რომ გუსტავ ეიფელი ყველაფერს ყოველთვის წინასწარ გეგმავდა და მაქსიმალური სიზუსტით მუშაობა იცოდა. რაც მთავარია, ზუსტად იცოდა, რასთან ჰქონდა საქმე. ასე, 16 საყრდენი, რომლებზეც კოშკი დგას (ოთხივე "ფეხში" ოთხ-ოთხი საყრდენია) ჰიდრავლიკური ასაწევი დანადგარებით აღჭურვეს, რომ პირველი ბაქანის აბსოლუტურად ჰორიზონტალური დონე უზრუნველეყოთ. ეიფელს დასცინეს, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რომ ამის გარეშე ვერასოდეს შეძლებდა კოშკის აღმართვას.

შემდგომში პირველ ბაქანზე რესტორანი გახსნეს. ცხადია, მსოფლიო გამოფენის დროს ის არნახული პოპულარობით სარგებლობდა. მეორე ბაქანზე, 116 მეტრის სიმაღლეზე, გაზეთმა "ფიგარომ" თავისი რედაქცია გახსნა.

1931 წლამდე, ნიუ იორკის "ემპაირ სტეიტ ბილდინგის" აგებამდე, ეიფელის კოშკი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო. მსოფლიო გამოფენის დროს მას 2 მილიონი ადამიანი ეწვია. პირველ, მეორე და მესამე ბაქანზე ასასვლელად ისინი ლიფტით სარგებლობდნენ, შემდეგ კი ფეხით შეეძლოთ კოშკის წვერზე ასვლა.

იაპონელები, პოლონელები, ბრაზილიელები, ამერიკელები და ქართველებიც კი – ყველა ცდილობს, თავისი სახელი ცივ ლითონზე ამოკაწროს. საოცარია: კოშკიდან მთელი პარიზი ხელისგულზე მოჩანს, ესენი კი რაღაცას ჯღაბნიან... თან, არამარტო თავიანთ სახელებს. უამრავ ენაზე დაწერილი მათი შთაბეჭდილებების წაკითხვაც შეიძლება: "მსოფლიოს მწვერვალზე ვდგავარ", "ეს პარიზია, ეს საფრანგეთია", "ჩვენი რკინის ლედი, ჩვენი სატრფო". როგორც ჩანს, ყველას უნდა, რომ მარადისობას ეზიაროს. "ის მარად იქნება ზეცაში აჭრილი," ამაყად განაცხადა კოშკის დამცველი და მომვლელი საზოგადოების წევრმა.

არადა, ეს სიტყვები რომ 114 წლის წინათ ეთქვათ, აბუჩად აიგდებდნენ. მაშინ, როცა გუსტავ ეიფელმა საზოგადოებრიობას თავისი პროექტი წარუდგინა, კოშკს "პარიზის სირცხვილი", "მართლაც, ტრაგიკული ქუჩის ლამპიონი" და მრავალი სხვა მსგავსი საშინელება უწოდეს.

სულ მალე დამტკიცდა, რომ ეიფელის მოწინააღმდეგეები შეცდნენ. 1889 წელს, მსოფლიო გამოფენის დროს, ორი მილიონი ადამიანი გულის კანკალით ავიდა ავიაციამდელი ეპოქისთვის არნახულ სიმაღლეზე. საფრანგეთის რევოლუციის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა 18 წლით ადრე გერმანიასთან სამარცხვინოდ დამარცხებული ქვეყნის აღორძინების და მისი ტექნოლოგიური სიძლიერის დემონსტრაციად იქცა, და ამ გამოფენის მთავარი მოვლენა სწორედ ეიფელის კოშკი იყო.

დღეს, მასობრივი ტურიზმის ხანაში, როცა ეიფელის კოშკს უკვე 200 მილიონზე მეტი ადამიანი ეწვია, ის ნამდვილ ფულის საჭრელ დაზგად იქცა. მისგან მიღებული შემოსავალი (2001 წელს მან 6 მილიონ დოლარს მიაღწია) პარიზის ხაზინაში მიედინება, რადგან კოშკის მფლობელი სწორედ საფრანგეთის დედაქალაქი გახლავთ. გუსტავ ეიფელი არამარტო დიდი ინჟინერი, არამედ გასაოცრად უანგარო ადამიანი ყოფილა: მან უარი განაცხადა "თავისი პირმშოს" საავტორო უფლებებზე, ჩათვალა, რომ ისიც ეყოფა, რაც აქვს – საფრანგეთის სიმბოლოს მისი სახელი ჰქვია.

ეიფელის კოშკი ყველასთვის სხვადასხვაა: ვიღაცა მასში საინჟინრო საქმის ტრიუმფს ხედავს, ვიღაცისთვის ის გამოწვევაა - აბა, ვნახოთ, რისი მაქნისი ხარ? მართალია, ის უამრავ თვითმკვლელსაც იზიდავს. პირველი 1891 წელს გამოცხადებულა: ტიპოგრაფიის მუშამ კოშკზე თავი ჩამოიხრჩო და თავისი ტანსაცმელი გუსტავ ეიფელს უანდერძა, ერთობ არასახარბიელო გზით მოხვდა ისტორიაში. ამ ცუდ სიაში ბოლო ადგილი ახალგაზრდა ქალს უკავია, ორი წლის წინათ გადმომხტარა. იმედია (ალბათ, ამაო), რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა იყო.

მთავარია, რომ ეიფელის კოშკი შეყვარებულებს უყვართ. მათთვის ის რომანტიკის მწვერვალია. თან, როგორც ჩანს, გულის სიღრმეში ყველას ჰგონია, რომ ასეთ სიმაღლეზე ნაგრძნობი სიყვარული მტკიცე და მარადიული იქნება, ისევე, როგორ პარიზის სიმბოლო – ეიფელის მაქმანივით კოშკი.


*ეიფელის კოშკი*

# არმანის მუზა და ბრიტანეთის ყინულის დედოფალი

ბრიტანული კომედია "ოთხი პანაშვიდი და ერთი ქორწილი", პირველ რიგში, იმიტომ არის კარგი, რომ ფილმში ბრიტანული იუმორია. თუმცა, ის კიდევ იმიტომ არის კარგი, რომ მასში ცისფერთვალება ჰიუ გრანტისა და ენდი მაკდაუელის გარდა ერთი არისტოკრატი, მედიდური გარეგნობის ქალი თამაშობს. ამ ქალს კრისტინ სკოტ ტომასი ჰქვია და ამ ეპიზოდურ როლშიც კი მაყურებელი უმალ ხვდება, რომ არის ამ ქალბატონში რაღაც განსაკუთრებული და იდუმალი.

"ოსკაროსანი" ფილმი "ინგლისელი პაციენტი". ის მაყურებელს შესანიშნავი ოპერატორული ნამუშევარის, სცენარის და მსახიობების – ჟულიეტ ბინოშისა და რალფ ფაინსის გამო უყვარს. თუმცა, ის ასევე უყვართ კრისტინ სკოტ ტომასის გამოც. ის ფილმში მშვენიერი ქეთრინ ქლიფტონის როლს ასრულებს. ქალისას, რომელსაც ინგლისელი პაციენტი ეტრფის და რომელთან ერთადაც ვნებიან სასიყვარულო სცენებში თამაშობს.

...იმ ფილმების ნუსხა, რომელთაც კრისტინი ალამაზებს, ვრცელია. ახლახან ლონდონში კიდევ ერთი ბრიტანულ-ფრანგული ფილმის Small Cuts-ის პრემიერა გაიმართა. რეჟისორი გახლავთ პასკალ ბონიცერი – კაცი, რომელზეც, ამბობენ, რომ გიჟდება ქალებზე და თავის ყველა ფილმში თითოეულ ლამაზ ქალბატონს კიდევ უფრო მშვენიერს წარმოაჩენს. ბუნებრივია, ცდას რეჟისორი არც კრისტინ სკოტ ტომასის გარეგნობას დააკლებდა. ასე რომ, არ არის გასაკვირი, თუ მის ფილმშიც ქალი, რომელსაც ბრიტანეთის ყინულის დედოფალს უწოდებენ, მართლაც მომხიბვლელად გამოიყურება.

სწორედ ამ ახალი სურათის გამოსვლის შემდეგ კრისტინი კიდევ ერთხელ მოექცა ევროპელთა ყურადღების ცენტრში. "ბერლინალეზე" ნაჩვენებმა ფილმმა კინოთეატრებში, მართლაც, მრავალი ევროპელი შეიტყუა და დაატკბო კრისტინ სკოტ ტომასის ცივი სილამაზით. მანამდე კი ტომასი ახალ ამბებში ჯორჯო არმანის გამო მოხვდა. მაშინ არმანმა, ფრანგი რეჟისორის მსგავსად, გადაწყვიტა, მის გარეგნობაზე ეზრუნა და ეს ინგლისელი ქალი თავის მუზად გაიხადა.

გასაგებია, რომ კრისტინ სკოტ ტომასი მართლაც ფლობს დიდ არისტოკრატულ ხიბლს. მაგრამ საინტერესოა, მაინც რა მოეწონა 41 წლის ქალში არმანს ისე, რომ თავისი სამოდელო სახლის ერთ-ერთ წამყვან სახედ აქცია?

არმანი ამბობს: "ეს ქალი თავის გარშემო ჰიპნოზურ აურას ქმნის იმიტომ, რომ ის აბსოლუტურად ბუნებრივი და თავისთავადია და არასდროს ყალბი. მომწონს მისი ბრიტანული გაწონასწორებულობა, სიმშვიდე და იუმორის უცნაური გრძნობაც. ვგულისხმობ იუმორს, რომლის გადაღებასაც, წაბაძვასაც იტალიელები ცდილობენ, მაგრამ არასდროს გამოსდით".

არმანის თქმით, კრისტინ სკოტ ტომასს თავისებური, ფარული სილამაზე აქვს, ყველას რომ არ აქვს, ისეთი – ფერმკრთალი, თითქმის გამჭვირვალე კანი, ღრმადჩამჯდარი ლურჯი თვალები, მაღალი და გამოკვეთილი, ძვლიანი ღაწვები. სწორედ ასეთი ცივი, მაგრამ მიმზიდველი გარეგნობის გამო სკოტ ტომასი არმანის 2003 წლის გაზაფხული-ზაფხულის სარეკლამო კამპანიის სარეკლამო სახე ხდება.

თუმცა, კრისტინს მოდელობაზე მეტად მსახიობობა მოსწონს: გადასაღებ მოედანზე სამი შვილის დედა ახერხებს, საოჯახო საქმეებს თავის ახალ როლში დაემალოს. ფოტოების გადაღების დროს კი საკუთარი ცხოვრებიდან გაქცევა და სხვისი ცხოვრების საშუალებით განტვირთვა შეუძლებელი ხდება – მან უნდა განასახიეროს ერთადერთი ადამიანი – საკუთარი თავი. ანუ უნდა იყოს კრისტინ სკოტ ტომასი და თანაც შეუდარებლად ლამაზი და სექსუალური.

თუმცა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეთი ამაღლებული განწყობის შენარჩუნებას ვერ ახერხებს. "ძირითადად, თავს სექსუალურად ვერ ვგრძნობ. დილას ვდგები, ვიყურები სარკეში და ვფიქრობ, ღმერთო, ეს რა საშინელებაა! როგორსაც თქვენ ეკრანზე მხედავთ, სინამდვილეში ისეთი არ ვარ... უფრო სწორად, ვარ მაგრამ, ჩემს გარეგნობაზე ხომ ვიზაჟისტთა მთელი ჯგუფი მუშაობს", - უყვება კრისტინი "სანდი ტაიმსის" ჟურნალისტს და იქვე დასძენს, რომ ძალიან ხშირად აცვია ჯინსი "ეს იმიტომ, რომ ვერ ვიტან აშკარად სექსუალურ ტანსაცმელს. ვაფასებ მოულოდნელობას. მაგალითად ქვემოდან ზევით აჭრილი კაბის ნაცვლად, რომელიც ფეხს აჩენს, მომწონს კაბა, რომელიც ზურგს მიშიშვლებს".


*კრისტინ სკოტ-ტომასი არმანის პიჯაკით*

იყო არმანის მუზა, კრისტინ სკოტ ტომასისთვის მაღალი ჰონორარების გარდა, ახალ გარდერობსაც ნიშნავს. თუმცა, კრისტინს ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ მოდელობა მისგან ხანგრძლივად მუშაობას არ მოითხოვს და საშუალება აქვს, თავის ფრანგ გინეკოლოგ ქმართან და სამ შვილთან ერთად მეტი დრო გაატაროს.

კრისტინი მის სარეკლამო პარტნიორს, ფრანგ მსახიობ ოლივიე მარტინესსაც ძალიან უყვარს. "უფროსი ქალები რაღაც განსაკუთრებულ ენერგიას აფრქვევენ. მაშინვე ხვდები, რომ მათ ესმით ცხოვრების, ისინი ბევრ რამეს გრძნობენ. ეს კი ძალიან მომწონს".

რაც შეეხება კინოს პარტნიორებს, კრისტინზე ისინიც გიჟდებიან. თუმცა, მსახიობი ამბობს, რომ მის ქმარს საეჭვიანოდ საქმე ნამდვილად არ აქვს. ფრანსუა მან 21 წლის ასაკში გაიცნო და ერთი ნახვით შეუყვარდა. მას შემდეგ ცოლ-ქმარი სულ ერთად ცხოვრობს და ურთიერთობა არც რობერტ რედფორდის გამო გაფუჭებიათ, არც ჰიუ გრანტის, ჰარისონ ფორდის და არც რალფ ფაინსის გამო. "რედფორდი? კარგით, რა... ჰარისონ ფორდი? მაგ შემთხვევაში ჩემი ქმარი კიდევ უფრო მშვიდად უნდა გრძნობდეს თავს. თუმცა, ერთი კია – როდესაც ეკრანზე საკუთარ სასიყვარულო სცენებს ფრანსუასთან ერთად ვუყურებ, თავს უცნაურად ვგრძნობ ხოლმე. მაგრამ მერე ვამბობ – ფრანსუა ხომ გინეკოლოგია და ყოველდღიურად ათობით შიშველ ქალს ხედავს. ანუ, ცდუნებები არც ერთს გვაკლია, მაგრამ ამას მნიშვნელობას არასდროს ვანიჭებთ. ეს, უბრალოდ, სამსახურია".

ასე რომ, ჯორჯო არმანის თაყვანისმცემლებო, გახსოვდეთ, არმანის წლევანდელი გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის სახე სწორედ ის ქალბატონია, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ. თუმცა, კრისტინ სკოტ ტომასი აცხადებს, რომ არმანთან თანამშრომლობით დაასრულებს კიდეც სამოდელო კარიერას. "კრისტინი მოდელად არც არის დაბადებული. მას მსახიობობა უყვარს, ანუ გარდასახვა, რეალური ცხოვრებიდან სხვაგან გაქცევა", - აცხადებს არმანის ფოტოგრაფი როვერსი. ასე რომ, ვისაც ბრიტანეთის ყინულის დედოფლის ხილვა კვლავ გსურთ, ისევ მისი ფილმების მოძიება დაგჭირდებათ. მას სამომავლოდ ჰიუ გრანტთან ერთად კიდევ ერთი კომედიის გადაღება სურს. მანამდე კი, 2004 წელს ტომასს ედუარდო ნორიეგასთან ერთად ახალ ინგლისურ ფილმში "დანაშაულის სამ ეტაპში" ვიხილავთ.

### კალეიდოსკოპი

## მის სამყარო ალესია

იოჰანესბურგში ჩატარებული საერთაშორისო სილამაზის კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ გამარჯვებულის მედიებმა სახელი გამოაქვეყნეს. "მის სამყაროს" წოდება 18 წლის სარატოველმა გოგონამ, ალესია კუზმიჩოვამ მოიპოვა. ის ვოლგისპირეთის სახელმწიფო მოხელეთა სახელმწიფო აკადემიის სტუდენტია, მის მშვენიერ გარეგნობაზე კი სარატოვის ოლქის შეიპინგის ფედერაცია ზრუნავს.

ალესიასთვის პირველი სილამაზის კონკურსი "მის სარატოვის გუბერნია – 2000" იყო. მაშინ არ გაუმართლა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია, და ერთი წლის შემდეგ რუსეთის ლამაზმანთა ათეულში შევიდა.

იოჰანესბურგში წასვლამდე ალესიამ თქვა, რომ პირველი ადგილის დაკავების იმედი არა აქვს. "იმავე "მის რუსეთზე" გოგონები გავიცანი, რომლებიც სულ ამბობდნენ: "აუცილებლად უნდა გავიმარჯვო!" მერე კი ათეულშიც ვერ გავიდნენ. რა დღეში იყვნენ! ისტერიკა ჰქონდათ, მოთქვამდნენ. ეს ძალიან დიდი შეცდომაა, როცა გა-



მარჯვებისთვის წინასწარ განეწყობი. მთავარია, ღირსეულად წარდგე, თავი ღირსეულად წარმოაჩინო, რომ შენზე კარგი შთაბეჭდილება დარჩეთ".

სკოლაში ალესია ეკოლოგიური სააგიტაციო ბრიგადის აქტიური წევრი იყო და სანამ აღმოაჩენდა, რომ ლამაზია, სახელმწიფო მოხელეობაზე ოცნებობდა. ისე, ათწლედში ტოპ-მოდელობაზე ვერც იფიქრებდა, ძალიან მაღალი იყო და "აყლაყუდას" ეძახდნენ. "მაგრამ მასწავლებლები სულ მამშვიდებდნენ ხოლმე," იხსენებს ალესია, "გაიზრდები და ლამაზი გოგო იქნები, თავიდან ყველა უშნოაო". ასეც მოხდა.

ახლა ალესიას ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა. ის ბევრს ვარჯიშობს, ჩვენებებში მონაწილეობს, პრეზენტაციებზე დადის. მართალია, სწავლისთვის და პირადი ცხოვრებისთვის ნაკლები დრო რჩება, მაგრამ მაინც ყველაფერს ასწრებს. მას შეყვარებულიც ჰყავს, საშა. "მთავარია, რომ ახლობლები ვართ და ერთმანეთის გვესმის. ბევრი ვიცი, თავიანთ გოგოებს მოდების ჩვენებაში მონაწილეობას უკრძალავენ. საშა ასეთი არაა".

ალესიას მშობლები თავიანთი ქალიშვილით ძალიან ამაყობენ. გაზეთ Комсомольская правда - Саратов-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ალესია მოჰყვა: "დედა თავიდანვე ყველაფერში ხელს მიწყობდა. მამაც ამაყობს, ჩემი ფოტოსურათი სულ თან დააქვს და ყველას აჩვენებს".

### დღეს ოთხშაბათი, 7 მაისს



2001 წელი: 1963 წელს მომხდარი ცნობილი ფაქტის - მატარებლის დიდი გაძარცვის შემდეგ ყაჩაღი რონი ბიგსი ბრიტანეთში პირველად დაბრუნდა.

1888 წელი: ჯორჯ ისტმენმა გამოუშვა იოლად გამოსაყენებელი კოლოფის ფორმის კამერა - "კოდაკი".

1945 წელი: გერმანია დანებდა მოკავშირეთა ჯარს, რითაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა.

1973 წელი: "უოტერგეიტის" სკანდალის გამომზეურებისთვის "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტებმა, კარლ ბერნშტეინმა და ბობ ვუდვორდმა "პულიცერის" პრემია მოიპოვეს.

1999 წელი: ნატო დიპლომატიური კრიზისის ეპიცენტრში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს "სტელსის" ტიპის თვითმფრინავმა შემთხვევით დაბომბა ჩინეთის საელჩო ბელგრადში, რასაც სამი ჩინელის სიცოცხლე შეეწირა.

2000 წელი: გაიმართა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ინაუგურაცია.

Picture: Popperfoto © GRAPHIC NEWS

# სადა მოდის დიდოსტატი




დღეს ბერლინში, მოკრძალებული სახელწოდებით "ჯორჯო არმანი", გამოფენა იხსნება. 68 წლის იტალიელი დიზაინერი ეროვნულ გალერეაში 30-ზე მეტი წლის ნამუშევარს – 500 კოსტუმს წარმოადგენს. გამოფენის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარება – სამი წლის წინათ ანალოგიური ღონისძიება ნიუ იორკის გუგენჰაიმის მუზეუმში ჩატარდა და დიდი გამოძახილი ჰქონდა.

ამ დღისთვის ამერიკელმა რეჟისორმა, დიდ ესთეტად ცნობილმა რობერტ ვილსონმა არმანის ესკიზების მიხედვით დადგმული შოუ წარმოადგინა. მათ, ვისაც ამ შოუს ნახვის საშუალება ექნებათ, დიდი სიამოვნება ელით – კვლავ იხილავენ უსაყელო კოსტუმებსა და პერანგებს, თავისუფალ ტანსაცმელს და ამაღელვებელ საღამოს კაბებს. ეს შოუ დიდი პროგრამის ერთი ნაწილია. გამოფენის საზეიმო გახსნის შემდეგ კი ზეიმი გერმანიის ისტორიული მუზეუმის ახალ შენობაში გაგრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტორ ი.მ.პაის შედევრი – კრიტიკული ბერლინელებიც კი მას სწორედ ასე აფასებენ – პირველად გახდება საზოგადოებრივი თავყრილობის ადგილი.

თან, როგორი თავყრილობისა! მრავალ სხვა ცნობილ ადამიანთან ერთად არმანის წვეულებაზე დიზაინერები ვილი ბოგნერი და იეტ იუპი, მსახიობი ვერონიკა ფერესი, ლეგენდარული ჩოგბურთელი, ბორის ბეკერი და ტელევარსკვლავი ვერონა ფელდბუში არიან მიწვეული.

კოკო შანელთან, ივ სენ ლორანთან და კრისტიან დიორთან ერთად ჯორჯო არმანის შეიძლება მეოცე საუკუნის უდიდესი დიზაინერი ეწოდოს. თავშეკავებული, "გრილი" ელეგანტურობა, ნეიტრალური ფერები, ძვირფასი, მაგრამ სადა ქსოვილი... თავის მოდელებში გამოყენებული ქსოვილებისთვის არმანი ყოველთვის თვითონ ქმნის ესკიზებს. მისი ნაცრისფერი, თეთრი და ლურჯი სამოსი წვრილი გეომეტრიული ნახატითაა დაფარული, ელეგანტურია და ხაზგასმით არათვალშისაცემი.

ის სადა მოდის დიდოსტატია. მათი თქმით, ვინც არმანის პირადად იცნობს, ჯორჯოს ცხოვრების წესი მის ესკიზებს ძალიან ჰგავს: ბრჭყვიალსა და ხმაურს ერიდება, ცდილობს, თვალში არავის მოხვდეს. მაგრამ საკმარისია, სადმე გამოჩნდეს, ეს ფაქტი უმალვე დიდ მოვლენად იქცევა ხოლმე.

ერთხელ არმანის უთქვამს, რომ ადამიანს ბევრი არაფერი სჭირდება: "კარგი ქურთუკი და შარვალი, და, რა თქმა უნდა, სკამი და მაგიდა". მიუხედავად ამისა, 80-იანი წლებიდან მან სუნამოს წარმოება დაიწყო, შემდეგ ქუდებზე, ყელსახვევებზე, ტყავის ნაწარმზე, ფეხსაცმელზე, სამკაულზე, სათვალეებზე, ავეჯსა და ბინის დიზაინზეც გადავიდა. მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეულმა ხელოვანმა კინემატოგრაფიც არ დაივიწყა და ჰოლივუდის ფილმების კოსტუმების ავტორადაც მოგვევლინა. და კიდევ: საგანგებოდ იტალიელი ეპისკოპოსების კონფერენციისთვის მან 1989 წელს სახარების ნაცრისფერი ტყავის გარეკანი შექმნა; ამბობენ, ძალიან ლამაზიაო.

არმანის წარმოებას მთელ მსოფლიოში 2 ათასი ფილიალი და 36 საკუთარი ბუტიკი აქვს გახსნილი. დღეს უკვე 2 300 ადამიანი ემსახურება იმ საქმეს, რომელიც მან 1957 წელს, მილანში, ვიტრინების დეკორატორობით დაიწყო.

უცნაური დეტალი: არმანის ცხოვრების უდიდესი სიყვარული დედა ყოფილა, რომელიც სამი წლის წინათ გარდაეცვალა. მის პორტრეტს ის მუდამ თან ატარებს, ხოლო თუ შემთხვევით სახლში დარჩა, მძღოლს გზავნის ხოლმე მის მოსატანად.




"ნათლიმამა - II"

# „ნათლიმამა" - ვარსკვლავების აკვანი

ინგლისური ტელეარხის, Channel 4-ის მიერ კინომოყვარულთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ დიდი ბრიტანეთის მცხოვრებთა უმრავლესობას ყველა დროის უდიდეს მსახიობად კინოფილმ "ნათლიმამას" წყალობით "ამობრწყინებული ვარსკვალავი", ალ პაჩინო მიაჩნია. ამავე ფილმის, "ნათლიმამა – 2"-ის წყალობით ასობით მსახიობიდან მეორე ადგილი რობერტ დე ნირომ დაიკავა.

აბა, სად ხედავთ ბრიტანელების საქვეყნოდ ცნობილ ნაციონალურ ამბიციას? ვარსკვლავთა სიას ორი ამერიკელი მსახიობის შემდეგ კვლავ ჰოლივუდელები აგრძელებენ: ჰარისონ ფორდი და ჯეკ ნიკოლსონი.

# მიქელანჯელო მიქელანჯელოს შესახებ

სახელგანთქმულმა იტალიელმა რეჟისორმა, მიქელანჯელო ანტონიონიმ, უკანასკნელი სრულმეტრაჟიანი ფილმი, "ღრუბლებს მიღმა", 1995 წელს გადაიღო. 2002 წელს ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე მისი ნამუშევრების რეტროსპექტივას საგანგებო პროგრამა მიეძღვნა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ანტონიონი მიღწეულს არ დასჯერდა. რეჟისორი, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა, კვლავ ფილმს იღებს. "მიქელანჯელო მიქელანჯელოს თვალით" მისი დიდი სეხნიას, მიქელანჯელო ბუანოროტის ცხოვრებას და ჩვენს დროში მისი შედევრების სარესტავრაციო სამუშაოებს ეძღვნება.

იტალიის კინოს ინსტიტუტის პრეზიდენტის, ანდრეა პიესარტის განცხადებით, ამ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობა მომავალ წელს დასრულდება.

## კროსვორდი



სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA
MSc
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 სანახევროდ 15.

... BA (Hons) ... 10 950$ (£ 6950 ...).
... B. Eng (Hons) ... £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

... 1600$-ის (£ 1000) ...

... 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.